

504

/2

1944

6. 2.

БИБЛИОТЕКА
СОВЕТСКОГО
ВОЕННО-ВОЗДУШНОГО
ФЛОТА

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

აკად. იმ. ჯავახიშვილის სსრ ისტორიის ინსტიტუტი
Институт истории им. акад. И. А. Джавахишвили

504/2
1944

504/2

მ ა ს ა ლ ე ბ ი

საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის

МАТЕРИАЛЫ

ПО ИСТОРИИ ГРУЗИИ И КАВКАЗА

1944

13

ნაკვეთი II ВЫПУСК

თბილისი
1945

აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტი
Институт истории им. акад. И. А. Джавахишвили

მ ა ს ა ლ ე გ ი

საქართველოში და კავკასიის ისტორიისათვის

МАТЕРИАЛЫ

ПО ИСТОРИИ ГРУЗИИ И КАВКАЗА

1 9 4 4

გაგზოთი II ВЫПУСК



თბილისი
1945

დამბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
პრეზიდიუმის განკარგულებით

ნაკვეთის რედაქტორი აკ. გაწერელი

სერიის რედაქტორი აკად. ს. ჯანაშია

შევ. 3807

შე 07534

ტირაჟი 1000

საქ. სსრ ადგ. შრეწვ. საზ. კომის. სტამბა, ფურცელაძის ქ., № 5

სოლომონ დოდაშვილის

წ ე რ ი ლ ე ბ ი

1825—1832

ს. ხუციშვილის

შესავალი წერილითა და შენიშვნებით

შ ი ნ ა ა რ ს ი

შ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა	88-
სოლომონ დოდაშვილი, ცხოვრება და მოღვაწეობა	5
წ ე რ ი ლ ე ბ ი	8
შენიშვნები	57
აკუთარ სახელთა საძიებელი	152
	172

წინასიტყვა

საქართველოს მეცხრამეტე საუკუნის პირველი ათეული წლების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქართველ სწავლულს, ფილოსოფოსს სოლომონ დოდაშვილს შესანიშნავი ადგილი უჭირავს მისი ხანმოკლე მეცნიერული და პრაქტიკული მოღვაწეობის სრულად გამომჟღავნება ახლო მომავლის საქმეა, ჯერჯერობით-კი ეს შესანიშნავი პიროვნება არც ისე შორეული წარსულიდან ბურუსით მოცული იცქირება.

სოლომონ დოდაშვილის სახელი დაკავშირებულია ხალხისა და ქვეყნის განთავისუფლებისთვის ბრძოლასთან, ეროვნული შეგნების გამომუშავებასა და განმტკიცებასთან; ამასთანავე ერთად იგი სერიოზული დამწყებია ქართულ ნიადაგზე აღმოცენებული პროგრესული აზროვნებისა მე-19 საუკუნის ოცდაათიან წლებში. ჩვენთვის სოლომონ დოდაშვილი საინტერესოა, რადგან მის მუშაობაში და თავისუფლების სიყვარულში მოიპოვება ბევრი ისეთი რამ, რაც მას თანამედროვეობასთან აახლოვებს.

საქართველოს ჰქონდა შესაძლებლობა თავის წიაღში წარმოეშვა დიდი ადამიანები. ქართულ კულტურას შარავანდედი მოჭვინა მრავალმა შესანიშნავმა მოღვაწემ, რომელთაც სამშობლოს სახელი აღამალღეს და თავისივე უკვდავჰყვეს. უფრო მეტად მნიშვნელოვანია იმ მოღვაწეთა მუშაობა, ვინც ჩამობნელებულ მონარქიული წყობისა და თავისუფლებასმოკლებულ პირობებში შეჰქმნეს ნაციონალური შეგნება და საუკუნეებით გამომუშავებული კულტურული ტრადიციები ჩვენ დრომდე ღირსეულად, უნაკლოდ და ზოგჯერ ახლის დამატებითაც მოიტანეს.

იმ დროს სოლომონ დოდაშვილმა მაინც შესძლო გაბედული სიტყვა ეთქვა, თანამედროვეთათვის სასარგებლო



საქმიანობის მაგალითი ეჩვენებინა და სამშობლოსთვის სიცოცხლეც შეეწირა. სოლომონ დოდაშვილი ქართველ მეცნიერთა იმ წყებას ეკუთვნის, რომელმაც სამამულო მეცნიერებას საფუძველი ჩაუყარა, რასაკვირველია, კულტურული მემკვიდრეობის გამოყენების მიზნით. ის და სხვებიც გარკვეულ ნიადაგს ჰქმნიდნენ და ათვითცნობიერებდნენ ხალხს სამშობლოს თავისუფლების ძიებისათვის.

სოლომონ დოდაშვილი არა მხოლოდ ფილოსოფოსი, გრამატიკოსი და ქართული პრესის პირველი პერიოდის აქტიური მუშაკია, იგი მასწავლებელი და აღმზრდელია ახალი თაობისა, ხელმძღვანელია ახალგაზრდობის ჯგუფისა, საზოგადოებრივი ცხოვრების სარბიელზე რომ გამოდიოდა გასული საუკუნის 30-ან წლებში. სოლომონ დოდაშვილის მიზნები მისმა ბევრმა ნიჭიერმა მოწაფემ გამოიყენა, როგორც შემოქმედებაში, ისე სხვა სფეროშიც. სოლომონ დოდაშვილი თავისი დროის გამოჩენილი ინტელიგენტია, რომლის სახელი უკვდავი რჩება ქართული კულტურის ისტორიაში.

წინამდებარე ნაშრომი მხოლოდ მცირე ნაწილია იმ მუშაობისა, რაც უნდა ჩატარდეს ახლო მომავალში შესანიშნავი ფილოსოფოსის, მეცნიერის, მწერლისა და მასწავლებლის შესწავლისთვის. ამ მუშაობის წინასაფუძველი უნდა იყოს მისი ცხოვრების შესწავლა, პიროვნების გამორკვევა-გამოჩენა. ეს აუცილებელია მისი მსოფლმხედველობის გამოსარკვევადაც. ჯერ კიდევ გადასაჩხრეკია სიძველეთსაცავები ჩვენში და ჩვენი ქვეყნის გარეთაც. წინამდებარე ნაშრომი მხოლოდ პირველი, ამასთანავე სუსტი ნაბიჯია ამ დიდი საქმისა.

სოლომონ დოდაშვილის ცხოვრებითა და მოღვაწეობით დაინტერესებას მეტად შეუწყო ხელი ჩემი და ჩემი მეგობრის ნიკო ტატიშვილის მუშაობამ ქართული პერიოდული გამოცემების ირგვლივ. ჩვენი ერთად მუშაობის შედეგების ნაწილი ცნობილია დაინტერესებული მკითხველისათვის, დიდი ნაწილი გამოქვეყნების მოლოდინშია. სოლომონ დოდაშვილის შემოქმედებისა და ცხოვრების ოდნავ მაინც სრულსაყოფად შესანიშნავი ნაწერები აღმოჩნდა საქართველოს სახელმწიფო

მუზეუმში, რაზედაც მიმითითა მუზეუმის თანამშრომელმა
ლ. ქუთათელაძემ. ამის შედეგად გადმოწერილ იქნა წე-
რილები სოლომონ დოდაშვილისა ყველა იმ ხელნაწერიდან, რაც
ამ სიძველეთ საცავშია თავმოყრილი. მაგრამ, რომ უფრო სრუ-
ლი ყოფილიყო საქართველოში, უკეთ თბილისში, დაცული წერი-
ლების კრებული, მივმართე სხვა დაწესებულებებსაც და აქამდე
გამოქვეყნებულ მასალასაც. ეს წიგნი ამის შედეგია. ნაშრომის
ზოგიერთი მხარის უფრო გამახვილებისთვის დახმარება გა-
მიწია აკაკი გაწერელიამ, რისთვისაც მადლობას მო-
ვახსენებ, ხოლო თუ ხელნაწერმა საბეჭდი მანქანა იხილა, ამის-
თვის ვმადლობ აკადემიკოს სიზმონ ჯანაშიას, რომე-
ლიც გულისხმიერად მოეკიდა ნაშრომს სოლომონ დოდა-
შვილის შესახებ.

ს. ხუციშვილი

თბილისი, 1943 XII.

სოლომონ დოდაშვილი

ცხოვრება და მოღვაწეობა

1

სოლომონ დოდაშვილი ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურაა მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის კულტურულ-საზოგადოებრივი ცხოვრების ფონზე. ს. დოდაშვილის ცხოვრება-მოღვაწეობის შესწავლა იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც მას ურთიერთობა ჰქონდა მაშინდელ ქართველ მოწინავე, რუსეთის მონარქიული წყობილების წინააღმდეგ ამხედრებულ საზოგადოებასთან, რამდენადაც მას პირადი და იდეური ურთიერთობა ჰქონდა რუსეთში მცხოვრებ ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციასთან და იყო ერთ-ერთი აქტიური მონაწილე და ორგანიზატორი 1832 წლის შეთქმულებისა; ს. დოდაშვილის ცხოვრება და შემოქმედება აგრეთვე საინტერესოა, როგორც ერთ-ერთი პირველთაგანისა ქართველთა შორის, რომელმაც პეტერბურგის უნივერსიტეტი დაამთავრა წარჩინებით, დასწერა თავისი დროისთვის სერიოზული გამოკვლევა ფილოსოფიის ისტორიის კურსიდან; დასასრულ, ს. დოდაშვილის ცხოვრება და შემოქმედება საინტერესოა, როგორც ქართული კულტურისა და კერძოდ ქართული პრესის წინა, დაწყებითი პერიოდის მუშაკისა, ნაყოფიერი ჟურნალისტიკისა და ქართულ მეცნიერულ-პოპულარულ და ბელეტრისტულ თხზულებათა ავტორისა; იგი საინტერესოა, როგორც თავგამოდებული მებრძოლი საქართველოს ეროვნული განთავისუფლებისთვის, რასაც შესწირა მთელი თავისი ახალგაზრდული ენერგია, ნიჭი და სიცოცხლე...

სოლომონ დოდაშვილის შესახებ ბევრი ცნობა არ შემონახულა. ყველაზე მეტი მასალა დაგროვილია ე. წ. „ყაზარმობის“ საქმეებში, სოლომონისა და სხვა შეთქმულთა პირადი ჩვენებებისა, დაკითხვებისა და სასამართლო აქტების სახით რომ არის დაცული საქართველოს სახელმწიფო ცენტრალურ არქივში.

გარდა შეთქმულების საქმეებისა, ს. დოდაშვილის შესახებ ცნობები მოცემულია ქართულ პრესაში, ოღონდ ისინი შემთხვევითი ამბებითაა გამოწვეული. ასეთი, მაგ., გაზ. „დროებაში“ მოთავსებული მეთაური წერილი რედაქტორის ს. მესხისა (1875 წ. № 50) და მისი გამოხმაურება იმავე წელს („დროება“, № 54 და 61). სხვათა შორის, ყველაზე მეტი სოლომონ დოდაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ არსებულ მასალათა შგვრების თვალსაზრისით გაუკეთებია დაუღალავ ზაქარია ჭიჭინაძეს, რომელმაც დაგროვილ მასალათა საფუძველზე . 1893 წელს დაბეჭდა წიგნაკი „სოლომონ დოდაშვილი“. ოცდაათგვერდიან პატარა ზომის წიგნაკში ზ. ჭიჭინაძე იძლევა ცნობებს, სამწუხაროდ, ხშირად წყაროთა დაუსახელებლად, დოდაშვილის ცხოვრებაზე, მის სწავლაზე თბილისსა და პეტერბურგში და მოღვაწეობა-გარდაცვალების შესახებ.

სამწუხაროა ის ფაქტი, რომ შეთქმულების მონაწილენი, რომელთაც საშუალება მიეცათ სამშობლოში დაბრუნებისა, თავის ჩანაწერებში და მოგონებებში არ იძლევიან ცნობებს საინტერესო თანამებრძოლისა და თანამეგობრის შესახებ. იმ ზღვა ეპისტოლარულ ლიტერატურაში, რომელიც დაუტოვებია გრ. ორბელიანს ან და სხვათ, არსად არ გამოხიან ს. დოდაშვილის პიროვნება. მაგრამ მდგომარეობა სრულიად ნათელია. მთავრობის წყალობით სიცოცხლე შენარჩუნებული და სამშობლოში დაბრუნებული შეთქმულნი უკვე აღარ ახსენებდნენ იმ დროს და იმ მოღვაწეთაც, რომლებთანაც მათ ურთიერთობა ჰქონდათ პოლიტიკური საქმიანობის ასპარეზზე.



სულ პირველად ს. დოდაშვილი სკოლის ამხანაგმა პლატონ იოსელიანმა, გაიხსენა რუსულად დაწერილ ზენიშენებში, კახეთის შესახებ, 1847 წელს. შედარებით ვრცელი წერილი დაიბეჭდა რუსულადვე გაზ. „Кавказ“-ში — „Воспоминание о Соломоне Ивановиче Додаеве-Магарском“¹ — ის ხელმოწერით¹. ამის შემდეგ ს. დოდაშვილი აღარავის გახსენებია 1875 წლამდე, ვიდრე ს. მესხმა არ მოაგონა მკითხველ საზოგადოებას, რომ სულ რაღაც 40—50 წლის წინ მოღვაწეობდა ს. დოდაშვილი, რომ მას ჰქონდა გაზეთი, რომლითაც ავრცელებდა პროგრესულ აზრებს სამშობლოს განთავისუფლებისთვის². ს. მესხს რამდენიმე ადამიანი გამოეხმაურა, რომელთაც შეეკრიბათ ცნობები ს. დოდაშვილის შესახებ. სულ მალე გაზეთმა გამოაქვეყნა ცნობა ინგილო (დიმიტრი) ჯანაშვილისა, სათაურით — „სოლომონ დოდაევი“³. და სამარადღონ დ[ოდაე]ვისა — „კიდევ სოლომონ დოდაევი“⁴. ყველა ამათ საფუძველზე და მრგონებებზე დაყრდნობით 1893 წელს გამოქვეყნდა ზემონახსენები წიგნაკი ზ. ჭიჭინაძისა — „სოლომონ დოდაშვილი“⁵, ხოლო 1919 წ. კი მისივე „სოლ. დოდაშვილი და ნიკ. ბარათაშვილი ფარული საზოგადოების წინაშე და ნიკ. ბარათაშვილის პოეზიის იდეის აღორძინება ქართულ მწერლობაში“.

მცირე ადგილი ს. დოდაშვილის მოღვაწეობას დაუთმო პროფ. ალ. ხახანაშვილმა რუსულად დაწერილ ლიტერატურულ ნარკვევებში⁶. ყველა ამ ცნობით ამოიწურება ამ ფრიად სერიოზული მოღვაწის შემოქმედებისა და ცხოვრებას მიმოხილვა. რაც ეეზება ზვენს დროს, ს. დოდაშვილის შესახებ კმაყოფილდებოდნენ მარტოდენ მცირე საგაზეთო და საჟურნალო წერილებით, რომლებშიც მოცემული იყო მხოლოდ

¹ „Кавказ“, 1856 г., № 48.

² „დროება“, 1875 წ., № 50.

³ „დროება“, 1875 წ., № 54.

⁴ იქვე, № 61.

⁵ „სოლომონ დოდაშვილი“, თბილისი, 1893 წ. 30 გვერდი.

⁶ „Черки...“, вып. IV, გვ. 35—36.

გამეორება და ხშირად დაუსაბუთებელი ფაქტებიც ს. დოდაშვილის ცხოვრებისა¹. უკანასკნელ ხანს ჟურნ. „ბიბლიოგრაფიის მოამბეში“ დაიბეჭდა ლიტერატურულ-ანოტირებული ბიბლიოგრაფია ს. დოდაშვილის რედაქციით გამოცემულ პირველ სალიტერატურო ორგანოსი, რომელშიც მოცემულია სახე ჟურნალის სულის ჩამდგმელის ს. დოდაშვილისა².

ყველა ზემოთჩამოთვლილ გამოქვეყნებულ მასალას ემატება ს. დოდაშვილის მიწერ-მოწერა იონა ხელაშვილთან, ფილადელფოს კიკნაძესთან და სხვებთან, რაც მისი შემოქმედებითი ფიგურის სრულყოფილად წარმოდგენისთვის ძვირფას მასალას იძლევა. ამ ეპისტოლარული ლიტერატურის მიხედვით გარკვეულია ერთ-ერთი, მეტად საინტერესო პერიოდი ს. დოდაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობისა, კერძოდ პეტერბურგში ცხოვრებისა და თბილისში დაბრუნების დრო, რაც 1824—1832 წლებით განისაზღვრება.

ს. დოდაშვილის დაბადების შესახებ რამდენიმე ცნობა არსებობს, მათ შორის ყურადღებას იქცევენ ისინი, რომლებიც მოცემულია მე-19 საუკუნის ქართულ პრესაში.

ზოგიერთი ცნობით სოლომონი დაბადებულია 1803 წელს³, ზოგი მის დაბადების წლად 1804 თვლის⁴, ზოგიც 1805 წელს⁵. ამ მხრივ ძვირფასია შეთქმულთა საქმეებში შენახული მასალა, რომელიც არკვევს სოლომონის როგორც დაბადების წელს, ისე სხვა, მისი ცხოვრებისა და მრავალმხრივი მუშაობის საინტერესო მხარეებსაც. ერთ-ერთ პასუხში სასამართლოსადმი სოლომონი „სრული ჭეშმარიტებითა და გულის


¹ ლ. კუჭუხიძე — „ჩვენი თაობა“. 1937, № 10; ს. ცაიშვილი — „საბჭოთა მასწავლებელი“, 1938 წ. № 34; დ. დანგაძე — „კოლმეურნე“ (სიღნაღი), 1940, № 127.

² „ბიბლიოგრაფიის მოამბე“, № 1, 1940, გვ. 65—98. ს. ხუციშვილი და ნ. ტატიშვილი — „სალიტერატურონი ნაწილნი“...

³ „Всказ“, 1856, № 48 — „Воспоминания“...

⁴ ზ. ჭიჭინაძე და ალ. ხაჩანაშვილი.

⁵ სამარაგდონ დ[ოდაშვი]ი „დროებაში“ 1875 წ. № 61. ვ. გუნიას „საქართველოს კალენდარში“ (1892 წლ.) დაბადების თარიღად 1802 წ. ნაჩვენები.



ბელნაწერში შემდეგი განმარტებები აქვს მიწერილი: ¹ მღვდელი, მეუღლე ბარბარე ქალიშვილი, სამი ცოლი ყვანდა. ², ⁴ ყრობაშივე დაიხოცნენ. ³ დაიბადა 1829. 21 IX. ⁵ დაიბადა 1831. 1 VIII. ⁷ დაიბადა 1832. XII; ს. დოდაშვილი საგამომძიებლო კომისიის სახელზე დაწერილ პასუხებში წერდა, რომ მას ჰყავდა ორი ვაჟი-შვილი მხოლოდ: ივანე 3 წლისა და კონსტანტინე 2 წლისა, მესამე შვილს იგი არ იხსენიებს (1838 წლის 7 თებერვალს). როგორც ჩანს გენეალოგიის შემდგენის იგი ზუსტად ვერ შეუდგენია, ყოველ შემთხვევაში კონსტანტინე უფროსია ნინოზე. ს. დოდაშვილის შვილების შესახებ ცნობა მოცემულია აგრეთვე ა. გერცენის თხზულებათა სრული კრებულის მე-12 ტომის კომენტარებში (გვ. 390-391), იქ სწერია: „2 малолетних сыновей и дочь, которые находятся при нем“...

სიწმინდით“ აუწყებს სასამართლო კომისიას თავისი ცხოვრების შესახებ და სწერს, რომ იგი „შობიდან ოცდარვა წლისა“ არის¹. ეს პასუხი სასამართლო კომისიის შეკითხვაზე სოლომონს დაუწერია 1833 წლის 7 თებერვალს. ამრიგად, იგი, 1833 წლის თებერვალში თუ 28 წლისა იყო, უნდა დაბადებულიყო 1805 წელს. აღსანიშნავია ის, რომ ტრადიციულად ს. დოდაშვილის დაბადება მეტწილად მიეკუთვნება 1804 წელს. შესაძლებელია, როცა ს. დოდაშვილი პასუხებს სწერდა, გულისხმობდა დაპატიმრების წელიწადს, 1832 წელს, მაშინ იგი 1804 წელს დაბადებული გამოდის. მაგრამ მისი საკუთარი ხელიდან გამოსული დოკუმენტი 1805 წლის სასარგებლოდ ლაპარაკობს.

სოლომონ დოდაშვილი დაიბადა სოფ. მაღაროში, რომელიც სიღნაღიდან ოთხიოდე კილომეტრით არის დაშორებული. მამა მისს, მღვდელს იოანეს, სხვადასხვა ცნობების მიხედვით, ჰყოლია ცხრა შვილი—ექვსი ვაჟი და სამი ქალი².

სოლომონ დოდაშვილის ოჯახის წევრთა შესახებ ცნობებისთვის და საერთოდ მისი გენეალოგიისთვის მეტად კარგ მასალას იძლევა ერთი მინაწერი რუსულ-ქართული ლექსიკონის ხელნაწერის ყდაზე³. ეს ცნობები შემდეგი სახის გრაფიკულ გამოსახულებას ჰქმნიან (იხ. სქემა გვ. 12).

სოლომონის ძმათაგან, გარდა ბავშვობაში დახოცილებისა, სტეფანეს და იასეს უსწავლიათ თბილისის სასულიერო სემინარიაში. იასეს თავის შესახებ ცნობები დაუტოვებია ზემონახსენებ, ილია ჭავჭავაძის მიერ შეწირულ ლექსიკონის ყდაზე: „ღვთის შეწევნითა გავათავე კურსი მე იასე

¹ დიდი მადლობით მიიღა მოვიხსენო გ. გოზალაშვილი, რომელმაც ჩვეული თავაზიანობით მასარგებლა „შეტკმულების“ მეორე ტომის მასალებით.

² „დროება“, 1875, № 61 „კიდევ სოლომონ დოდაშვიტი“—სამარაგდონ დოდაშვიტისა.

³ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, წერა-კითხვის საზოგადოების ფონდი № 22-ს. ხელნაწერი წ. კ. გ. ს. მუზეუმისთვის. შეუწირავს ილია ჭავჭავაძეს.



დოდაემა წელსა ჩემგ იენისის, მდაბიურ ლექსით თიბაღის კე-სა რიცხვსა“. მეორე ძმა, სოლომონის მომდევნო—სტეფანე, პეტერბურგში ცხოვრობდა, რომელიღაც კანცელარიის მოხელედ მუშაობდა და 1832 წლის კვლევაციების შემდეგ მთავრობის საიდუმლო მეთვალყურეობის ქვეშაც იმყოფებოდა¹. სოლომონისავე ძმა უნდა იყოს ჟურნალ „ცისკარის“ ერთ-ერთი თანამშრომელი (ერთადერთი წერილის ავტორი)—სფირიდონ დოდაევი, დამწერი წერილისა „სიძველე ქართუტლთ ჩამომავლობისა“, რომელშიც ლაპარაკია საქართველოს ახლანდელი ტერიტორიისა და მოსახლეობის გაჩენისა და ბერძენ-რომაელთა იმიგრაციის შესახებ².

სოლომონს პირველად სიღნაღის სასულიერო სასწავლებელში უსწავლია³. 1818 წელს თბილისის სასულიერო სემინარიის მოსამზადებელ კლასშია, ხოლო შემდეგი წლიდან ამავე სემინარიაში შესულა და კურსის დასრულებისას გამწესებულია სიღნაღში, სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლად. იქ მას უმუშავნია 1822 და 1823 წლებში. თვით სოლომონი ერთ-ერთ ჩვენებაში სწერდა ამის შესახებ: „1822 და 1823 წლ. როდესაც მე სიღნაღის სასულიერო სასწავლებელში მასწავლებლად ვიყავი“-ო⁴.

პედაგოგიური მოღვაწეობის პირველ პერიოდში სოლომონს გამოუჩენია ნიჭი და მიდრეკილება მეცნიერებათა დაუფლების საქმეში, მაგრამ მამას, იოანე მღვდელს თურმე არ უნდოდა უფროსი ვაჟის მოშორება. იოანე ბოდბელ მიტროპოლიტს ხშირად მიუცია რჩევა იოანე დოდაშვილისთვის, რათა ამ უკანასკნელს გადაეწყვიტა შვილის რუსეთს გაგზავნა.

¹ „1832 წლის შეთქმულება“, გვ. 497. გერცენის თხზულებათა რედაქტორი ლემჟე მის შესახებ ამბობს: „и еще брата сужающего в прав. сенате“... (ტ. XII, გვ. 390—1).

² „ცისკარი“, 1857 წ. VI.

³ გ. გოზალიშვილის მასალებიდან. ზ. კიკინაძე და სამარაგდონ დოდაევი სწერდნენ, რომ სოლომონმა ჯერ წმ. ნინოს ბოდბის მონასტერთან არსებულ სკოლაში ისწავლაო.

⁴ „1832 წლის შეთქმულება“, გვ. 430; ცენტრარქივი, თბილისის სასულიერო სემინარიის საქმე № 16;

იოანე ბოდბელი მიტროპოლიტი, ერის კაცობაში მაყაშვილი, თავისი დროის განათლებული და გავლენიანი ადამიანი იყო, შეამჩნია რა მან სოლომონის სწრაფვა სწავლა-განათლებისკენ, ხელი შეუწყო კიდევ მის გამგზავრებას რუსეთში¹.

1824 წელს სოლომონ დოდაშვილი გაემგზავრა „ჩრდილოეთის პალმირასაკენ“, რომ იქ დასწაფებოდა მეცნიერებას, რათა იქაურ უნივერსიტეტში მიეღო სწავლა-განათლება. მაგრამ უცხო ქალაქში, უცხო ქვეყანაში ვის მიაგნებდა 19 წლის ჯაბუკი, რომელიც ასეთ დიდ გზაზე გამოდიოდა პირველად. ამიტომ დასჭირებია სარეკომენდაციო წერილი სოლომონს, რომ ქართველთა ჯგუფს შეჰყვებოდა და გზა გაეკვლია დასახული მიზნისკენ. ძველ ხელნაწერებში შენახულა გიორგი ავალიშვილის ასეთი წერილი იონა ხელაშვილისადმი. აი წერილიც: „ღირსო მამაო წმიდაო იოანე! ჩემო მოწყალე კელმწიფეო. მოგილოცავ წმიდასა მარხუასა ამას ღის—მშობლის მიძინებისასა და გისურვი მრავალთა წელთა მშვიდობით მიგებებასა ესე ვითართა დღესასწაულთასა; ქისიყის სოფელს მალაროდამ მოვიდა აქ მანდ წამოსასვლელად სოლომონ ივანოვიჩი დოდაევი, რომელსაც უსწავლია თბილისის სემინარიაში, და აწ გამოუსტუმრებიათ სწავლის შესასრულებლად, ალექსანდრე ნემსკის მონასტერის სემინარიაშია, და ვინაჲღგან არავინ ჰყავს ამას მანდ მცნობი, ამისთვის შეგვედრებ და გთხოვ დაუგდებლობასა მისსა, რომლისგანაცა მიიღებთ წერილსა ამას. სხტუბრ დავჰმთებთ მარად თქვენის მაღალ კურთხევისა უმორჩილესი მოსამსახურე გიორგი ავალოვი. 1824 სა წელსა, აგვისტოს 2 დღესა“².

სოლომონი რუსეთის ჩასვლისთანავე იონა ხელაშვილის მფარველობის ქვეშ იყო, მისი დახმარებით დაიწყო იქ ცხოვ-

¹ იოანე ბოდბელი გარდაიცვალა 1837 წელს. იხ. „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“, გვ. 257. მის შესახებ ცნობები ინახება „მცირე უწყებებში ქართველ მწერალთათვის“, „ძველი საქართველო“, ტ. I, განკ. III, გვ. 58.

² საქ. სახ. მუზეუმი, წ. კ. გ. ს. ხელნაწერთა ფონდი № 1532.



რება და სწავლაც. ერთგან სოლომონი სწერს ამის შესახებ: 1824 წელს საკუთარი ხარჯით გავემგზავრე პეტერბურგს მეცნიერული გაწვრთნის მიზნით და შევედი იქაურ უნივერსიტეტში. პეტერბურგის უნივერსიტეტში სოლომონი შევიდა ღვინოსაფიურ-იურიდიულ ფაკულტეტზე.

სოლომონ დოდაშვილი პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში არ კმაყოფილდებოდა მხოლოდ იმით, რასაც სასწავლო პროგრამა აწვდიდა, იგი დაუხარებლად, დიდი ენერგიით მოეკიდა თვითგანვითარებას. მისი წერილები სავესტა შენიშვნებით იმის შესახებ, თუ რა წაიკითხა, რა თარგმნა, რა დაწერა და სხვ. და ყოველთვის, როცა სოლომონი რაიმე საქმიანობას ჰკიდებდა ხელს, ერთადერთი მიზანი იყო გაკეთება საქმისა „სიყვარულისათვის მამულისა, სარგებელად სულისა და კეთილდღეობისათვის მემამულეთასა“... ან კიდევ „უმეტესად ვიტყვ, არა თავისა თვისისათვის მხოლოდ, განა ბედნიერებისათვის ვჰმუშავებ, არამედ სიყვარულისათვის მამულისა, რათა ევროპამან ოდესმე ჰსცნას ივერია საშუალობითა წერილთა სარწმუნოთა“... მას, პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტს, ერთი დიდა მიზანი ამოჰმედებდა, მის მისალმევად შრომობდა და ატარებდა დღეებს გაჭირვებასა და სიმშოლში.

სოლომონ დოდაშვილი პეტერბურგში ცხოვრებისას გაეცნო და დაუახლოვდა ქართველ ბატონიშვილებს და საერთოდ ქართული კოლონიის წევრებს. მას პირადი და ახლო ურთიერთობა ჰქონდა იოანე, ბაგრატ, ოქროპირ, მიხეილ, თეიმურაზ, ფარნაოზ, დიმიტრი¹ ბატონიშვილებთან, ანა დედოფალთან და სხვ. მათთან ჰქონდა მოწერ-მოწერა, აზრთა გაცვლა-გამოცვლა, მათგან ისმენდა გარდასულ დროთა ამბავს, ეცნობოდა ცოცხალ მომსწრეებს საქართველოს სამეფოს უკანასკნელ

¹ შეთქმულების საქმეებში შენახულა წერილი დიმიტრი ბატონიშვილისა თამარ ბატონიშვილთან: Любевная сестрица, я получил письмо Содомона, оно также смешно, как он сам; пожалуйста не говорите ему об этом-он предобрый человек, он поэт, певец и проч.“ იხ. „1832 წლის შეთქმულება“, გვ. 107—108.

წლებისას და ყველაფერს იყენებდა თავისი ისტორიული მუშაობის ნაშრომებისთვის და მომავალი აღმზრდელობითი მუშაობისათვის.

დიდი ჯაფა აწვა სოლომონს პეტერბურგში. ამასთან ერთად, კახეთის თბილი მზის კაცისთვის მეტად უსიამო ყოფილა ჩრდილოეთის ქვეყნის ჰავა, და როგორც ჩანს, მის ჯანმრთელობაზე ძლიერ უმოქმედია კლიმატურ პირობებს. 1826 წლის თებერვალს ის მძიმედ ავად გამხდარა, რაც ექვს თვეს გაგრძელებულა და ეს იმ დროს, როცა ახლოვდებოდა საგაზაფხულო გამოცდები და კურსიდან კურსზე გადასვლის დრო. ხშირად შესჩივის ამის გამო თავის მფარველს, იონა ხელაშვილს. დიდი ავადმყოფობისგან შეწუხებული თვეობით ძალაუვნებურად სტოვებდა საყვარელ საქმიანობას: „მე მდებარე ხარეცელსა ზედა ხნეული სენისაგან სენთასა, რომელსა მაქლის სასმენელი და სახილველი მტკივნეულებისა გამო თავისა, ათი დღე შეუძლებელი საქმობისა, გუშინდელისა დღიდან ღამესა ამას მკურნალმან დამაკრა შპანსკი მუხა, რომელი იდჳა ჟამსა ცამეტსა და მეათოთხმეტესა აღიღეს, მივიღე მწუხარება დიდი ფრიადი და მრავალი წყალი და სისხლი მედინა, ნივთიერება ყურიდან მოდის მსგავსად უწინარესისა, გარნა თავბრუ არ მეშტება და დიდად მიშლის საქმობასა და ხილვასა, წამსა ერთსა ვიხილავ და მეორესა ვერა; უკანასკნელ ვსთქჳა, ესრეთ მიბნელდება თქალი, რომელ არა ძალმიძს ერთი მეორისაგან გარჩევა და ერთის სახლიდან მეორესა შინა გასტლა...“ ხშირი ავადმყოფობა ხელს უშლიდა საინტერესო მუშაობის წარმოებაში, ამასთან ერთად, ახალგაზრდობაშივე აკლდებოდა ჯანი და ღონე. ეს ავადმყოფობა ხომ, საბოლოოდ, საბედისწერო გამოდგა სიცოცხლით სავსე სოლომონისთვის.

პედაგოგიური მუშაობა სოლომონ დოდაშვილისთვის თავიდანვე მეტად საყვარელი და სახალისო საქმიანობა იყო. რუსეთში წასვლამდე ჯერ სიღნაღში იყო იგი მასწავლებელი და თავგამეტებით ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას. რუსეთში ყოფნისასაც იგი ქართველ ბატონიშვილთა ბავშვებს



ასწავლიდა იონა ხელაშვილის რეკომენდაციით¹. იქაც, როგორც საქართველოში, დიდი სიამოვნებით ასრულებდა მოვალეობას. „კეთილმოქმედება ესე ჩემთვის სასეფურო და სახალისო არს, რომლითაცა ვრაცხ თავსა ჩემსა ბედნიერად ესე ვითარისა მოქმედებისათვის“, წერს იგი იონას. სოლომონი არაფერს არ იშურებდა, რომ მიღებული ცოდნა პრაქტიკულად გამოეყენებინა, სხვა აღეზარდა. თვით ხელოკლე, სხვისი წყალობის შემყურე, არაფერს იშურებდა სხვის დასახმარებლად, ადგილზე მოსაწყობად და გზაზე დასაყენებლად. ბევრს ეხმარებოდა სოლომონი ქიზიყელ ადამ ღირსიაშვილს, იონა ხელაშვილის ძმისწულებს, თვალყურს ადევნებდა საქართველოში მცხოვრებ თავისი ძმების სწავლა-განათლების საქმეს. ლუკმა პურის შოვნისთვის სოლომონი ხშირად არასასურველ პირობებშიც ჩაუყენებია ზოგიერთ ქართველ ბატონიშვილს. ერთგან მეტად შეწუხებული სწერს იონა ხელაშვილს იმ დაპირების შეუსრულებლობის შესახებ, რომლის შედეგადაც სოლომონი უფულოდ გაუსტუმრებია ერთ ბატონიშვილს, მაგრამ სულიერი სიდიდჯით იტანდა ყველაფერს. მხოლოდ თავის მფარველს გაუბედავდა და შესჩივლებდა, დამეხმარე შენი გავლენითო.

1827 წელს სოლომონმა პეტერბურგის უნივერსიტეტის კურსი დაასრულა. უკანასკნელი სასწავლო წლის საკურსო გამოცდების შედეგად მან მიიღო მოწმობა უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებისა. ამასთანავე მას ფაკულტეტის დეკანმა წინადადება მისცა წარედგინა საატესტაციო ნაშრომი ფილოსოფიის ისტორიიდან. სოლომონ დოდაშვილი სტუდენტობაშივე სწერდა იმ დროისთვის საინტერესო თხზულებას და აპირებდა კიდევ, რომ კურსის დასრულებისათვის წიგნი დაბეჭდილი ყოფილიყო რუსულად და ქართულადაც. წიგნის დაბეჭდვამდე სოლომონ დოდაშვილს სხვადასხვა გავლენიან პირისთვის მიუმართავს დახმარებისა და „წარსაგე-

¹ „საზოდოს ვილებდი ბაგრატ ბატონიშვილისაგან, რადგან მისი ბავშვების მასწავლებელი ვიყავი“-ო.

ბელის“ გაღებისთვის. მას სად ჰქონდა იმდენი საშუალება, რომ თავისი ხარჯით გასძლიოდა წიგნის გამოცემას. ძველ ხელნაწერში შემონახულა ერთი წერილი სოლომონისა ანა დედოფლისადმი: „ვინაჲთგან ყოველთა მთხუტულთა აქტსთ ჩუტულება ევროპასა შინა წინა პირველ უწყებად უმაღლესთა გუამთადმი, ამის მიხედვისამებრ მეცა გავბედავ წინაშე თქუტნისა უმაღლესობისა, რომელ სარგებელად მამულისა შვილთა იქმნების თხუტულება ჭილოსოფიისა ნებისა განგებულისათა, რომელთაგან აწ იბეჭდების პირუტლი ნაწილი—ლოდიკა, ვითარცა ქართულად, ეგრეთუტ როსიულადცა ჩემ მიერ თხუტლი, ორივე ფასობს ორ თუმნად ასიგნაციად, რათა სხუანიცა დაიბეჭდოს და ესრეთ უმაღლესო დედოფალო უკეთუ ინებებთ მოწერისა მიღებისათჳს ტიტულითა თქუტნისა უმაღლესობისა სახელითა დაიბეჭდების ყოველსა წიგნსა შინა და რაოდენსა წიგნსა ინებებთ, მიუცილებლად მიიღებთ“. ასეთივე წერილით, რასაკვირველია, იონა ხელაშვილსაც მიმართავდა დახმარებისთვის და დახმარების მსურველთა შეკრებისთვის. ვინ რამდენით და როგორ დაეხმარა, სამწუხაროდ, ცნობილი არ არის, ერთი კი ცხადია, 1827 წელს წიგნი დაიბეჭდა და წიგნზე იყო მხოლოდ ერთი აღნიშვნა: „Издатель сего сочинения приятным долгом поставляет известить благосклонных читателей, что в издании сего сочинения принимал деятельное участие Его Преподобие Грузинский Иеромонах Иона“¹.

უმაღლეს სასწავლებელ დამთავრებული სოლომონ დოდაშვილი 1827 წლის მაისის შუა რიცხვებში გამოემგზავრა საქართველოსკენ. ს. დოდაშვილი ერთის მხრით შეწუხებული იყო იმ ამბით, რომ შორდებოდა თავის კეთილისმყოფელს, შორდებოდა კერას, სადაც მიიღო განათლება, შორდებოდა ამხანაგებს, რომელთაც ყოველთვის იგონებდა და იონა ხელაშვილს ავალებდა შემდეგ, გამიგე სად არიანო. მეორეს მხრით იგი სიამოვნებით სტოვებდა ჩრდილოეთის სუსხიან ჰავას,

¹ იხ. Курс философии, გვ. VI.



რამაც არაერთხელ უსიამოვნო მდგომარეობაში ამყოფებდა ჯანმრთელობა შეურყია¹, თანაც აღტაცებული მოისწრაფოდა სამშობლოსაკენ, რომ პრაქტიკულ საქმიანობაში გამოეყენებინა მიღებული განათლება და ამით შეემსუბუქებინა მოძმეთა და თანამემულეთა მდგომარეობა.

ნოვგოროდზე გამოვლით სოლომონი 2 ივნისს მოსკოვს ჩამოვიდა. იქ მან შოინახულა ქართული კოლონიის წევრები და მალე აპირებდა გზის გაგრძელებას, მაგრამ იქ ორ კვირას შეუგვიანდა. იგი დააბრკოლა აგრეთვე ბარგის გამოგზავნამ თბილისისაკენ; ბარგის დიდ ნაწილს წიგნები შეადგენდა. მოსკოვში შეჩერება სოლომონს რაციონალურად გამოუყენებია, დაუთვალე რეზერვია მოსკოვის უნივერსიტეტი, ყოფილა თეატრში, ბიბლიოთეკებში და სხვაგან, უნახავს და შეხვედრია მოწინავე ინტელიგენტთა წრეს, გაუცვნია მწერლები და პოეტები, რომელთაც აღუთქვამთ სოლომონისთვის მიწერ-მოწერა. სოლომონი შეხვედრია მოსკოვის ლიტერატურული ჟურნალების რედაქტორებს და მათ კორესპონდენტობასაც შეჰპირებია, საქართველოსა და კავკასიის შესახებ ცნობების მიწოდებით. ივლისის პირველ რიცხვებში ხარკოვში ჩამოვიდა და ინახულა ხარკოვის უნივერსიტეტი, რომელსაც 1835 წლამდე ექვემდებარებოდა თბილისში არსებული სასწავლებლები. ხარკოვის უნივერსიტეტის რექტორმა და უნივერსიტეტის მუშაკებმა არაჩვეულებრივად გულთბილი შეხვედრა მოუწყეს სოლომონს. იგი ყველაფერს აღტაცებით იგონებს იონა ხელაშვილთან მიწერილ წერილში. თვით უნივერსიტეტის რექტორმა დაჰპატიჟა სოლომონი თავის სახლში და ესაუბრა საქართველოსა და პეტერბურგის ამბების შესახებ, შეჰპირდა ყოველმხრივ დახმარებას და წერილების წერას. დიდად ნასიამოვნები და აღტაცებული სოლომონი ჩუგუევის, იზიუმის, ბახმუტის, ეკატერინოსლავის, როსტოვის და დონის ნახიჩევანის გზით საქართველოს საზღვრებს დაუ-

¹ საგამომძიებლო კომისიას აცნობებდა 1833 წელს: ექიმების რჩევით გამოვემგზავრეთ.

ახლოვდა. ეჩქარებოდა სოლომონს საქართველოს ნახვა, რადგან „სიმართლე ჩემი უკეთილესდების“-ო ამბობდა და, რაც მთავარია, სამშობლო სოფელს მონატრებულს სურდა რაც შეიძლება მალე დამტკბარიყო ალაზნის ველის მომხიბლავი სურათებით და კავკასიონის ქედის თოვლიანი მწვერვალების რიგით. სამშობლოსკენ კიდევ უფრო ის ეწეოდა, რომ თბილისში უკვე მოელოდა მოსკოვიდან გამოგზავნილ კორესპონდენტებს. „ეგრეთჲც მოსკოვიდან ჰსწავლულთაგან მოვიდოდა ტფილისს ვითარისამე ჰაზრისა შეერთება და მათ უნდა პასუხი“-ო, სწერდა სოლომონი იონა ხლაშვილს 1827 წლის 6 ივლისს.

ივლისის შუა რიცხვებში სოლომონი უკვე საქართველოშია. ჩამოსვლისთანავე იგი დანიშნეს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის მასწავლებლად, უნდა ესწავლებინა ქართული სიტყვიერება და გეოგრაფია. ჯერ კიდევ პეტერბურგში ყოფნისას, 1826 წელს, როცა იგი უნივერსიტეტის უკანასკნელ კურსზე სწავლობდა, უნივერსიტეტის მზრუნველმა განათლების მინისტრთან წარადგინა ფილოსოფიისა და რიტორიკის მასწავლებლად. სოლომონის დანიშვნა განათლების მინისტრის ბრძანებით შეთანხმებული იქნებოდა ჯარკოვის სასწავლო ოლქის მზრუნველთან. 1827 წლის ივლისის დასასრულს იგი უკვე მასწავლებლის სახელით აძლევს რაპორტს და ხელწერილს კავკასიის ოლქის სასწავლებელთა დირექტორის მოვალეობის აღმასრულებელს „ტიტულიარნი სოვეტნიკს“ იაროსლავსკის.

ხელწერილის ჩამორთმევა სამსახურში მიღებისას წესად ყოფილა. ხელმომწერს უნდა ელიარებინა ცოდვანი, რომ რომელიმე ფარულ ორგანიზაციაში ხომ არ იყო წილდებული. ე. წ. მასონური ლოკები, რომელთა საფუძველზეც რუსეთში წარმოიშვა სხვადასხვა ფარული საზოგადოებანი და რაც დაგვირგინდა დეკემბრის აჯანყებით 1825 წელს, საშუალებას და უფლებას ანიჭებდა დაწესებულებათა დირექტორებს ყველაზე ექვი მიეტანათ და ამიტომ შეშინებული დირექტორი ყველას ხელწერილს ართმევდა უზრუნველყოფის მიზნით. 1827 წლის 30 ივლისს იაროსლავსკის დოდაშვილმა მისცა ხელწე-

რილი, რომ „я не состоял и не буду состоять ни в каких тайных обществах“¹, ხოლო სულ მალე, 1827 წელს 28 აგვისტოს, სოლომონს ჩამოართვეს მეორე ხელწერილიც, რომელშიც იგი წერდა: „Я нижеподписавшийся даю сию подписку в том, что я к Массонским ложам или к другим тайным обществам никогда не принадлежал и впредь принадлежать не буду, в чем и подписуюсь. Учитель Грузинской Словесности и Географии Соломон Додаев“². სინამდვილეში კი სულ სხვა იყო. სოლომონი ჯერ კიდევ პეტერბურგში იყო ჩაბმული ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში, ჯერ კიდევ პეტერბურგში იცოდა მან აზრები და სურვილები ბატონიშვილის ოქროპირისა; რის შესახებაც 1826 წელს ფილადელფოს კიკნაძეს სწერდა პეტერბურგიდან ნოვგოროდში, პეტერბურგშივე იყო იგი დაინტერესებული მთავრობის მოწინააღმდეგეთა აზრებით და სტუდენტებისგან ჰკრეფდა და იწერდა რილევის წერილებს...

სამშობლოში ჩამოსვლისთანავე სოლომონი შეუდგა საზოგადოებრივ მოღვაწეობას. უპირველესად ყოვლისა, იგი შეეცადა სწავლა-განათლების გავრცელებას, ამის გამო მას მოლაპარაკებაც უწარმოებია, პირველ რიგში, თავისი სოფლისა და სიღნაღის მოსახლეობასთან. გარდა ამისა, მას მოუსურვებია თბილისში დუქნებისა და სახლების აშენება, „რათა შემოსავალი განმდიდრდეს სარგებელად მამულისა“. სოლომონი ამავე დროს მეცნიერულ მუშაობასაც აგრძელებდა. 1827 წლის შემოდგომიდანვე შეუდგა იგი ქართული გრამატიკის დამუშავებას, რომელიც 1830 წელს დაიბეჭდა.

ყველაფერი, რაც კი ღირსშესანიშნავი ხდებოდა სოლომონის ცხოვრებაში, მისი წერილების საშუალებით ცნობილი იყო იონა ხელაშვილისთვის; სოლომონი ადრესატს აცნობებდა როგორც პირადულ, ისე საზოგადოებრივი მნიშვნელობის ამბებს, აცნობებდა თავის სამიჯნურო გატაცების შესახებ,

¹ „1832 წლის შეთქმულება“, გვ. 110.

² იქვე.

ოჯახის წევრთა ყოფა-ცხოვრების პირობებს, იონას ძმებს ბავს და სხვ.

1828 წლის ივლისში თბილისის სამხედრო გუბერნატორის განკარგულებით ს. დოდაშვილი დაინიშნა გაზეთის „Тифлисский Вестник“-ს საგამომცემლო კომიტეტში. ამ გაზეთის დაარსების იდეა პასკევიჩის ეკუთვნის. იგი 1828 წლის 28 აპრილს განათლების მინისტრს აცნობებდა, რომ სურდა თბილისში დაეარსებია გაზეთი, რომელიც ოფიციალურ ცნობებს მიაწვდიდა საზოგადოებას და მოსახლეობას სპარსეთთან წარმოებული ომის შესახებ. რადგან კავკასიას აქტიური როლი აკისრია ამ ომში და რადგან ბევრი კორები ვრცელდება სამხედრო ოპერაციების ირგვლივ, ამიტომ „Сие побудило меня дозволить в прошедшем году Тифлисскому военному губернатору издать всенародное сведение разного рода объявления“...¹. გაზეთის გამოსაცემად პასკევიჩმა სიბიაგინს დაავალა როგორც საგამომცემლო კომიტეტის შექმნა, ისე მისი მეთვალყურეობა, „Предпринимаемое периодическое издание поручено нарочито учрежденному для сего комитету и, согласно Высочайшей воле Е. И. В. будет производиться под строгим надзором Тифлиского военного губернатора и будет выходить под заглавием „Тифлисский Вестник“². გაზეთმა რუსულ ენაზე გამოსვლა დაიწყო 1828 წლის 4 ივლისიდან, ხელის მომწერთა რიცხვი ამ წლის 1-ლ სექტემბრისთვის 792 აღწევდა. ამავე რიცხვიდან გამოდიოდა ამ რუსული გაზეთის ქართული თარგმანი „ტფილისის უწყებანიც“. ამის შესახებ სოლომონი შემდეგსა სწერს იონას: „დროსა მოსელისა ჩემისასა ტფილისსა დამნიშნა ლუბერნატორმან კომიტეტსა შინა გამოსაცემად ვედომოსტებისა ანუ გაზეთებისა, სადაცა იქნებიან სხუა და სხუა გჳარნი თხზულებათა წარმოებათანი,

¹ Акты... ტ. VII, გვ. 9.

² იქვე.



რომელნიცა შემთხვეულან ანუ შემთხვეულ იქნებიან. ვიწყეთ გამოცემა ამ ივლისის თებში... გარნა რომელნიმე ძეგლნი თავნი იმყოფებიან კომიტეტსა შა და ვერა რაჲ შემისმენია ქართულისა ფრაზისათჳს“-ო. ცხადია, სოლომონ დოდაშვილი იმ კომიტეტში მუშაობდა, რომელსაც ევალე-ბოდა როგორც რუსული, ისე ქართული გაზეთის გამოცემა, მაგრამ იგი ცდილა ქართული გაზეთი უფრო შინაარსიანი და მიმზიდველი ყოფილიყო, „ძეგლნი თავნი“ კი ამის საშუალებას, რასაკვირველია, არ მისცემდნენ¹. ამიტომ იყო, რომ ქართული გაზეთი წარმოადგენდა უბრალო თარგმანს რუსული გაზეთისას. სოლომონის ცხოვრებაში ამ ფაქტს მაინც ღრმა კვალის დამჩნევა შეეძლო. მის საშუალება ჰქონდა საყვარელ საქმიანობას დასდგომოდა სათავეში და პრესის საშუალებით, რამდენადაც მოსახერხებელი იქნებოდა, გაეგრცვლებია თავისი აზრები. სამხედრო გუბერნატორი, როგორცა ჩანს, ენდობოდა სოლომონ დოდაშვილს, როგორც ერთ-ერთ განათლებულ ადამიანს მაშინდელ თბილისში. ამის გამო, კომიტეტის არსებობის მიუხედავად, მან სოლომონს მიანდო წარმოება გაზეთის გამოცემისა. იგიც შეუდგა სტამბის მოწყობას და ნატრობდა, რომ ცნობილი მესტამბე და მოღვაწე გიორგი პაიჭაძე თბილისში ჰყოლოდა სასტამბო საქმის მოსაწყობად და დიდი კულტურული ორგანიზაციის შესაქმნელად. „კომიტეტსა შინა სამხედრო გუბერნატორმან და მზრუნველმან კომიტეტისამან მარწმუნა საკუთრად მე გაზეთებისა და ჟურნალების გამოცემა, ამის გამო არა მაქვს არცა ერთი

¹ აღსანიშნავია ერთი ამ ძველთაგანის დამოკიდებულება სოლომონისადმი. საქ. მუზეუმის ხელნაწერების A ფონდში, № 1762a შენახულა „დიდი კნიაზის“, სენატორის გიორგი იასესძე ერისთავის ლექსი, დაწერილი შეთქმულების აღმოჩენის შემდეგ. გ. ერისთავი ასე იხსენიებს სოლომონს: „ვე მიკვირს, ვითარ შეგხენით ესგვარ უნდოსა, უგნურსა, უცნობს, უპატიოს, მჯდომელს ყუდროსა, დოდავეს გვართ, სისხლამღერეულ, უგვარკოდოსა, ძონძი სიმყრალით აღვსებული, შიშოვნეული“, „ამ თხზულების პუბლიკაცია იხ. ჰუშინის სახ. სამასწავლებლო ინსტიტუტის შრომებში, II „ფრაგმენტები“—ნ. ტატიშვილი და ს. ხუციშვილი.

წამი თავისუფლებითი“...—სწერს სოლომონი. გარდა ამისა, სამხედრო გუბერნატორი სოლომონის პირადი ცხოვრების მოწყობისთვისაც ზრუნავდა, კერძოდ მისი გარიგებით შეერთო სოლომონმა ცოლად ელენე კობიაშვილის ქალი, გუბერნიის არქიტექტორის, ინჟინერ თედორე ბარიშკინის ნაშვილები და ამიტომაც გარუსებული, თუმცა ელენეს ქართული ენაც სცოდნია რუსულსა და ფრანგულთან ერთად.¹ ელენეს დედა ჯავახიშვილის ქალი ყოფილა. სოლომონი 23 წლისა იყო, ხოლო ელენე 14 წლისა, როცა მათ ჯვარი დაიწერეს 1828 წლის 4 აგვისტოს. ელენე თავის დროისთვის კარგად განვითარებული ქალი ყოფილა. 1829 წლის 21 სექტემბერს სოლომონს შეეძინა ვაჟი, რომელსაც მამის სახელი, იოანე უწოდა...

ასე ეწყობოდა თანდათან სოლომონის პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრება.

სოლომონმა თავისი პრაქტიკული პედაგოგიური მოღვაწეობით, შრომის მოყვარულობით და საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით ყველას პატივისცემა დაიმსახურა. სასწავლებლის დირექტორი შიბულინი მას ახასიათებს: „как чиновника отличного и усердного к своей обязанности и полезного своим соотечественникам“². სოლომონს ყოველთვის ჰქონდა სხვადასხვაგვარი სამუშაოები, ხან სათარგმნი, ხან ორიგინალური, ნკოლის საქმეებითაც მეტად იყო დატვირთული, ასწავლიდა რამდენიმე საგანს რამდენიმე კლასში, დღეში 5 ან 6 გაკვეთილი ჰქონდა გადასაცემი დილით და საღამოთი; ამიტომაც, როგორც მომსწრენი აშობდნენ თურმე, მისი სახლის სარკმლიდან ღამეობით ყოველთვის გამოდიოდა სინათლის მკრთალი სხივი. დღე რომ ვერ ასწრებდა სკოლისა და რედაქციის სამუშაოებს, ღამეობით უჯდა სამუშაო მაგიდას და ისედაც ავადმყოფი,

¹ სოლომონი საგამომძიებლო კომისიას აჩვენებს: „ცოლად მყავს საზაზინო ექსპედიციის არქიტექტორის, სამსახურადან გამოსულ, ინჟინერ თედორე ბარიშკინის შვილობილი...“

² კრებული „სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში“, I, გვ. 81.



ბევრ ენერგიას ხარჯავდა, რასაც ვერც ჯამაგირით და ვერც სხვა შემოსავლით ვერ აინაზღაურებდა¹.

1832 წლის იანვრიდან სოლომონს ახალი სამუშაო დაემატა—პირველი ქართული საზოგადოებრივ-ლიტერატურული ორგანოს დაარსება და ხელმძღვანელობა. ეს იყო „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“. ამ ჟურნალის ჩასახვის იდეა დაკავშირებულია შეთქმულების ორგანიზაციასთან, სოლომონი ერთგან სწერდა, რომ მან ელიზბარ ერისთავისა და ალექსანდრე ორბელიანისგან მოისმინა პირველად რაიმე პერიოდული ორგანოს დაარსების შესახებ აზრი 1830 წლის დეკემბერში. ელიზბარ ერისთავი ხელისმომწერთა შოვნით უნდა დახმარებოდა სოლომონს, გამოცემის ნებართვის აღება-კი სოლომონის ვალი იყო. სოლომონი, რომელიც ყოველთვის დაინტერესებული იყო უფრო რადიკალური ორგანოს არსებობით, სიამოვნებით მოეცა და საქმეს და შესაფერი ნებართვის შემდეგ, კიდევ დაიწყო ჟურნალის ბეჭდვა 1832 წლის იანვრიდან. როგორც ცნობილია, სოლომონი ამ პირველ მიკროფორმიან ჟურნალს საკუთარი ენერგიით უძღვებოდა, მას არ ჰყავდა დამხმარე, სარედაქციო მუშაობის მძიმე ტვირთის გამნახევრებელი. თითქმის ყველა ნომერში იბეჭდებოდა როგორც ორიგინალური, ისე თარგმნილი თხზულებები სოლომონისა.

გაზეთები („საქართველოს გაზეთი“, „ქართული გაზეთი“) რომელნიც ქართულ ენაზე იბეჭდებოდა თბილისში, მართალია, მთავრობის კანონებისა და დადგენილებების გამავრცელებელნი იყვნენ მხოლოდ, მაგრამ მათ გარკვეულად დიდი როლი მაინც შეასრულეს, საერთოდ, ქართული პერიოდიკის საფუძვლის განმტკიცების საქმეში. ამ გაზეთებმა შეჰქმნეს საფუძველი, რომ 1832 წლიდან მათთან ერთად გამოსულიყო ისეთი ჟურნალიც, რომელიც გაბედულად გამოეხმაურებოდა მაშინდელი საქართველოს ცხოვრებას. სოლომონ დოდაშვილი დიდი სიამოვნებით აქეზებდა უკეთესისკენ თავის თანამშრომ-

¹ მისი წლიური ჯამაგირი ყოფილა 1600 მანეთი ასიგნაციით.

ქართული
ლიტერატურა

ლებს. „გამომცემელი ვალად ჰრაცხს განუცხადოს მკითხველ-
თა (?) მადლობა... ღმერთმან ინებოს, რათა იხელოვნონ თხზუ-
ლებათა შინა მრავალ გვართა სტიხთათა და სასიამოვნო
არს, რათა საშუალ მემამულეთა ჩვენთასა გამოჩნდნენ სხვა-
ნიცა მბაძველნი ესრეთთა კეთილთა საქმეთანიო“, სწერდა
ს. დოდაშვილი ჟურნალის ერთ-ერთ ნომერში. პირველმა
სალიტერატურო ჟურნალმა ბევრის თქმა, რასაკვირველია,
ვერ მოახერხა, რადგან იგი, როგორც საერთოდ ქართული
პრესა, შეზღუდული იყო მონარქიული ცენზურით, მაგრამ იმ
მასალებშიც კი, რომელიც სულ ხუთიოდე ნომერში გამოქვეყნ-
და, ნათლად ჩანს ტენდენცია ჟურნალის ირგვლივ შემოკრე-
ბილი ჯგუფისა.

ჟურნალის ხელმძღვანელობისას, როგორც ჩვეულებრივ,
სოლომონმა შრომისა და საქმის ორგანიზაციის დიდი უნარი
გამოიჩინა. მან შესძლო ლიტერატურულ მუშაობაში ჩაება
ახალგაზრდობა. ჟურნალში პირველად დაიბეჭდა „ოსური
მოთხრობა“ ახალგაზრდა, ოცდაერთის წლის გიორგი დავი-
თის ძე ერისთავისა (გლუხარიჩისა), აქვე იბეჭდებოდა დავით
მაჩაბლის მიერ თარგმნილი ლექსები, ჟურნალში მონაწი-
ლეობდა სოლომონ რაზმაძეც, რომელიც პუშკინს თარგმნიდა
ქართულად¹, მაგრამ ღერძი მაინც რედაქტორი იყო, ჟურ-
ნალის ყველა ნომერში რომ ბეჭდავდა სხვადასხვა ხასიათის
თხზულებებს.

„სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“-ს
გარკვეული მიზნები ჰქონდა, რაც მისმა ხელმძღვანელმა
სოლომონ დოდაშვილმა გამოსთქვა. ჟურნალს უნდა გაემდი-
დრებია ქართული ენა, იგი უნდა ყოფილიყო სასარგებლო
საქმე „მამულის დიდებისათვის და გონების განათლებისათ-
ვის“, „რათამცა ესე გუარსა სასარგებლო საქმესა მტკიცე სა-

¹ სოლომონ ივანეს (გივის)ძე რ. ზმაძე, 1798—186?, ქართველი
პოეტი და მთარგმნელი, ჯერ შეუსწავლელ-გამოუცემელია. მისი ლექსე-
ბის კრებული წინასიტყვაობით და შენიშვნებით გამზადებული მაქვს და
განოქვეყნებას ელ-ს.



ფუძველი შესაწევნელად განათლებისა განვრცოლებისათვის ბუნებითისა ენისა ჩვენისა, მიახლოებისათვის გამობრძნობილთა მცხოვრებთა ევროპისათა...“ ჟურნალის რედაქტორი სოლომონ დოდაშვილი ევროპული განათლების მქონე იყო, აღზრდილი განმანათლებელთა და „დეკაბრისტების“ იდეებზე. ამით, შესაძლებელია, სოლომონ დოდაშვილი გამოირჩეოდეს კიდევ შეთქმულების სხვა მონაწილეთაგან. თუ სხვებს გაუქმებული სამეფო ტახტის აღდგენა უნდოდათ, რაც ძველისკენ დაბრუნებას გულისხმობდა, სოლომონ დოდაშვილი ცდილობდა ქართული ცხოვრების ევროპულის გვარად გარდაქმნას და სულაც არ არის გასაკვირველი, რომ მას რამდენადმე რესპუბლიკური იდეები ჰქონოდა.

პირველი სალიტერატურო ჟურნალი ცოტახანს გამოდიოდა. მეხუთე ნომერზე მან არსებობა შეწყვიტა. მარტის პირველ ნახევარში (5 მარტს) გამოსული ჟურნალის ნომერი უკანასკნელი აღმოჩნდა.

მამულის წინსვლისთვის ზრუნვამ, მისი დიდებისთვის თავისდადებამ მიიყვანა სოლომონ დოდაშვილი ფარული საზოგადოების ბჭემდე. ამ საზოგადოების მომავალში სოლომონი ზედავდა თავისი სურვილების განხორციელებას. რუსეთის სამსახურში მყოფი აშკარად ბევრს ვერაფერს აცხადებდა, მაგრამ ყოველ წერილში, ყოველ სიტყვაში ჩანდა მისწრაფება სოლომონისა, იგი მოტრფიალე იყო საქართველოს დიდებისა, იგი მოსურნე იყო ქართული წესწყობილების დამყარებისა და ეროვნული სიმტკიცის შექმნისა. იგი ეტრფოდა მთლიანი და თავისუფალი საქართველოს იდეას და ამიტომ ყოველ ნაშრომში ატარებდა თავისუფლების იდეის ტენდენციას. სოლომონ დოდაშვილი წინუსწრებს ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში 60-ან წლებში ჩამოყალიბებულ შეხედულებებს. სოლომონსაც და სამოციანელ მოღვაწეებსაც ერთგვარი პოლიტიკური და ნაციონალური საფუძველი ჰქონდათ და სოლომონმა ბევრად ადრე დააყენა და, საკმაოდ მკვეთრადაც, ეროვნული განთავისუფლებისთვის ბრძოლის საკითხი.

ქართველი შეთქმულნი, მათ შორის სოლომონ დოდაშვილიც, ინტენსიურად მუშაობდნენ ფარულ ორგანიზაციაში. სოლომონს დიდი დავალებები ჰქონდა აღებული, იგი უნდა ყოფილიყო კახეთის ნაწილის ამბოხების ხელმძღვანელი, რადგან მას სამშობლო კუთხეში კარგად იცნობდნენ და როგორც ჩანს, უჯერებდნენ კიდეც. შეთქმულების საქმეები ხან აღიმართებოდა, ხან კიდეც დაეშვებოდა ხოლმე ინტენსივობის მიხედვით. 1832 წლის დეკემბრისთვის თითქმის ორგანიზებული იყო და ელოდნენ საერთო ნიშანს, რომ მოქმედება დაწყებულიყო, მაგრამ... საერთო საქმეს მოლაღატე გამოუჩნდა და იასე ფალავანდიშვილმა, რომელიც მთავრობის მიერაც კი უარყოფითად არის დახასიათებული¹, 9 დეკემბერს ორგანიზაცია გასცა...

სოლომონ დოდაშვილი დაპატიმრებულ იქნა 1832 წლის 11 დეკემბერს². თბილისში, ავლაბრის ყაზარმებში მან დაჰყო 18 თვე და 12 დღე. ამ ხნის განმავლობაში მას მრავალჯერ დაჰკითხეს, ჩამოართვეს ჩვენება, შეახვედრეს პირისპირ სხვა შეთქმულებს, აწამეს... პირველად ყველაფერზე უარს ამბობდა, ჰუარავდა, შეთქმულების წევრებთან შეხვედრას უწოდებდა უბრალო ამხანაგურ შეხვედრებს, სადაც ვითომცდა სრულიად უწყინარ თხზულებებს კითხულობდნენ. ამბობდა, რომ მან შეთქმულებისა არაფერი იცოდა, არც თავის და არც სხვების მონაწილეობისა ამ საქმეში, მაგრამ მეფის მიერ დანიშნულ საგამომძიებლო კომისიას საკმაო დამაჯერებელი საბუთები ჰქონდა იმისა, რომ სოლომონი შეთქმულების ერთერთ ორგანიზატორად ეცნო და სასჯელიც მკაცრი გამოენახა. სოლომონმა გაიზიარა დეკაბრისტების ბედი. შვიდი წლის შემდეგ იმ ისტორიული ფაქტიდან საქართველოშიც აღმართა ნიკოლოზმა სახრჩობელა და 20—30-ანი წლების ქართული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელი მოსპო.

¹ იასე ფალავანდიშვილზე არქეოგრაფიული კომისიის აქტებში სწერია: безнравственного поведения-ო.

² „1832 წლის შეთქმულება“, გვ. 11; აგრ. მინაწერი საქ. მუხ. ხელნაწერზე № 22-ს.



1834 წლის 20 აპრილს მთავრობის მიერ დადგენილმა სპეციალურმა საგამომძიებლო კომისიამ განაჩენი გამოიტანა. სოლომონი უნდა სამშობლოსთვის მოეცილებიათ სამუდამოდ, უნდა გადაესახლებიათ ვიატკაში ყოველგვარი უფლებების აყრით, სულ მცირე სამოქალაქო სამსახურის უფლებით მხოლოდ. სოლომონს რომ სიცოცხლე შეუნარჩუნეს და გადასახლებას დააჯერეს, ეს მოხდა თითქოს იმიტომ, რომ მას ცოლად ჰყავდა რუსი ქალი. სასამართლოს დადგენილებაში ეწერა: „лишить классного звания и определить на службу— нижним канцеляристом в одной из северных губерний до отличной выслуги, не прежде однако-же 10-ти лет; воспретить навсегда возвращаться в Грузию“. იმავე წლის 3 ივნისს დაპატიმრებულს განაჩენი გამოეცხადა. 24 ივნისს დოდაშვილი სამუდამოდ გამოეთხოვა საყვარელ თბილისს და საქართველოს მზეს¹.

ადგილი წარმოსადგენია, რა მდგომარეობაში იქნებოდა სოლომონის ჯანმრთელობა, რომელიც ჯერ ადრევე პეტერბურგის ჰავამ შეარყია, შემდეგ დაუღალავემა შრომამ საქართველოში, ხოლო შემდეგ კიდევ წელიწადნახევრის პატიმრობამ და კვლავ რუსეთისკენ გამგზავრებამ ეტაპით, ჩრდილოეთის შორეულ გუბერნიაში. რა იმედიანად გამოიარა სოლომონმა ის გზა რამდენიმე წლის წინ, რომელზედაც ახლა უიმედოთ მიემართებოდა.

სოლომონი ვიატკაში (1934 წლიდან ვიატკას ქალ. კიროვი ჰქვია) 1834 წლის 4 ივლისს ჩავიდა, მას სამუშაოდ მიუჩინეს საგუბერნიო სამმართველო, რომელშიც გადამწერის (копиист) თანამდებობა ეჭირა, შემდეგ კი, რაკი ყურადღება და საქმის ცოდნა გამოიჩინა, გადაიყვანეს სამოქალაქო გუბერნატორის კანცელარიაში, სათემო გადასახადების საგუბერნიო კომიტეტში, მაგიდის უფროსად². ვიატკის გუბერნა-

¹ Акты... т. 8. VIII, №. 422.

² ლემკეს მიერ არქივიდან აღმოკრეული მასალებში დოდაშვილზე სწერია: Ведет себя хорошо.

ტორად და სოლომონ დოდაშვილის უფროსად იყო კირილე იაკობის ძე ტუფიაევი, რომლის შესახებაც იმ ხანებში იქ გადასახლებაში მყოფი და იმავე კანცელარიაში მომუშავე ახალგაზრდა გერცენი წერდა: „что и чего не производит русская жизнь“. ვიატკა ერთგვარი ცენტრი იყო, სადაც თავმოყრილი იყვნენ პოლიტიკურად არასაიმედო ადამიანები, მაშინდელი რუსეთის იმპერიის სხვადასხვა კუთხიდან გადმოსახლებულნი. გერცენმა შესანიშნავი სურათები დატოვა, როგორც ქალაქ ვიატკის, ისე გუბერნატორისა და საგუბერნატორო კანცელარიისა. როცა ადამიანი კითხულობს გერცენის ჩანაწერებს, ნათლად წარმოუდგება ის ბიუროკრატულ-ჩინოვნიკური ჭაობი, რომელშიც რუსეთის მეფე ახრჩობდა ხალხის საუკეთესო შვილებს. თვით გუბერნატორი, მეტად რეგვენი და გაუნათლებელი ადამიანი, არაფრის გამკეთებელი და მუქთახორა იყო, და მის მიერ შექმნილი წესები განათლებულ ადამიანს სულს უხუთავდა. მოუსმინოთ გერცენის გონებაშეხილ აღწერას იმ კანცელარიისას, რომელშიც მუშაობდა სოლომონ დოდაშვილი ორი წლის განმავლობაში.

„Канцелярия была без всякого сравнения хуже тюрьмы. Не материальная работа была велика, а удушающий, как в собачьем гроте, воздух этой затхлой среды и страшная, глупая потеря времени,— вот что делало канцелярию невыносимой... В канцелярии было человек 20 писцов. Большею частью люди без малейшего образования и без всякого нравственного понятия, дети писцов и секретарей, с колыбели привыкшие считать службу средством приобретения, а крестьян—почвой, приносящей доход, они продавали справки, брали двугривенные и четвертаки, обманывали за стакан вина, унижались, делали всякие подлости“¹. ასეთი ხალხი ეზვიად ირგვლივ იმ ადამიანს, რომელიც თავისი სიცოცხლის განმავ-

¹ „Былое и думы“ — Пол. собр. соч. А. И. Герцена, под ред. Лемке, т. III.



ლობაში მოყვასთათვის და მემამულეთათვის ზრუნავდა, რომელიც ყველაჟერს საზოგადოებრივი სარგებლიანობის თვალსაზრისით ზომავდა. როგორც ჩანს, გერცენი დაახლოვებია სოლომონ დოდაშვილს, მასთან დადიოდა სახლში და ალბათ ხშირად გამართულა მათ შორის საინტერესო საუბარი ორივესთვის აქტუალურ თემაზე. ალბათ ხშირად საუბრობდნენ იმ აზრებსა და მიზნებზე, რაც ასიცოცხლებდა ქართველ მეცნიერს და დიდ რუს მოღვაწეს. გერცენი და ს. დოდაშვილი ერთ დაწესებულებაში მუშაობდნენ, ერთმანეთს იცნობდნენ და გერცენი ავადმყოფ დოდაშვილთან სახლშიც დაიარებოდა. 1842 წელს 28 მარტს, გერცენი, ნოვგოროდში ყოფნისას, თავის დღიურში წერდა შორეულ მოგონებას ს. დოდაშვილის შესახებ, „... он не выдержал сурового климата и впал в злейшую чахотку, я посетил его за несколько дней до смерти, [он был едва жив, но с видом глубокого убеждения сказал:—Лишь бы весной не было хуже, а то пожалуй сделается чахотка“¹. იმავე კანცელარიაში, სადაც დოდაშვილი და გერცენი მუშაობდნენ, მუშაობდა აგრეთვე 1832 წლის შეთქმულების მონაწილე იოსებ მამაცაშვილი, იგი ვიატკაში ცხოვრობდა 1834 წლის 4 თებერვლიდან. ეს იქნებოდა ერთადერთი ადამიანი უცხო ქალაქის შეუფერებელ სამსახურში, რომელსაც დოდაშვილი ქართულად დაელაპარაკებოდა. რუისელი მამაცაშვილი და მალაროელი დოდაშვილი ალბათ ხშირად ოცნებობდნენ შორეულ ვიატკაში—ერთი ქართლზე და მტკვრის სანაპიროებზე, ხოლო მეორე—კახეთსა და ალაზნის ველზე. მაგრამ ი. მამაცაშვილს ადრე დაუმსახურებია უფროსთა ყურადღება და 1836 წლის მარტში ამიერკავკასიის მხარეში გამოუგზავნიათ².

ვიატკაში ცხოვრება და სამსახური კანცელარიაში მეტად გაუჭირდებოდა ს. დოდაშვილს. უფროსები მას ექცეოდნენ როგორც სახელმწიფო დამნაშავეს და აუცილებლად დიდ

¹ Полное собр. соч. Герцена, т. III, стр. 19.

² იქვე, ტ. XII, გვ. 390—391.

დამცირებასაც განიცდიდა იგი ამის გამო, უბრალო ხალხი კი—სწერდა გერცენი—უფრო ნაკლებ მტრულად უცქერდა გადმოსახლებულებს საერთოდო, მაგრამ, როგორც ჩანს, მათთან ურთიერთობას მაინც არ ამყარებდა. გადასახლებულები რუსებისგან განცალკევებით იდგნენ და მათთან ურთიერთობას ერიდებოდნენ. სამაგიეროდ, ერთუროს შორის ჰქონიათ კარგი დამოკიდებულება დასჯილებს, ერთსულოვანება დიდი იყო და ყველაფერს თანასწორად ინაწილებდნენო. აღსანიშნავია ის, რომ როგორც ლემკეს მიერ შეკრებილი ცნობები ადასტურებენ, ს. დოდაშვილი ხაზინიდან არაფერს იღებდა თურქე (на содержание от казны не получает). 1834 წლის ზამთარი გაჭირებით გადაიტანა სოლომონმა. ჯერ თბილისში რა იყო მისი ცხოვრება, როცა შემოსავალიც ჰქონდა, დახმარებაც და ჰავაც ხელს უწყობდა და ვიატკაში ხომ წარმოუდგენელი იქნებოდა ცხოვრება ავადმყოფი კაცისთვის. ამიტომ მან ითხოვა როგორც ხარისხში აღდგენა, ისე სამხრეთის რომელიმე გუბერნიაში გადაყვანა. თხოვნა გადასცა ვიატკის გუბერნატორს, რომელმაც თავის რიგად შინაგან საქმეთა მინისტრს მისწერა განმარტება სოლომონის თხოვნის პირის დართვით, ხოლო უკანასკნელმა სამხედრო მინისტრს გაუგზავნა საბუთები. სამხედრო მინისტრმა ჩერნიშოვმა ხელქვეითთა მიწერილობა ხელმწიფე-იმპერატორს მოახსენა. ჯალათად დაბადებულმა ნიკოლოზმა არ შეიწყნარა უკანასკნელი სათხოვარი, სიცოცხლის შენარჩუნებისთვის გამწარებული ადამიანის მუდარა და ჩერნიშოვის ბრძანებით, შინაგან საქმეთა მინისტრის საშუალებით და ვიატკის გუბერნატორის პირით სოლომონ დოდაშვილს უარი მოუვიდა. ჩერნიშოვი სწერდა: „მე მქონდა ბედნიერება შევსულიყავი საქმის გამო მოხსენებით ხელმწიფე-იმპერატორთან, მაგრამ დოდაშვილს ზემოაღნიშნული თხოვნის დაკმაყოფილება მისმა უზენაესობამ ხელმწიფე-იმპერატორმა არ ინება“¹.

¹ „1832 წლის შეთქმულება“, გვ. 515.



სიკვდილს დაახლოებული სოლომონი ერთხელ კიდევ შეეცადა თხოვნით და მუდარით გამოეთხოვა სამხრეთის რომელიმე გუბერნია. ვიატკის გუბერნატორმა კვლავ მისწერა შინაგან საქმეთა მინისტრ¹. მიწერილობას თან დაურთო საექიმო შემოწმების ოქმი, რომელშიც საშინელი, შემზარავი სურათია მოცემული სოლომონ დოდაშვილის ცხოვრების მიწურულისა „...თვალეები ამღვრეული და ღრმად ჩაცვინული, სახე გაყვითლებული, ტყვიის ფერი... ხორციანი ადგილები იმდენად გაწვრილებული, რომ ზოგიერთ ადგილას ძვლებზე მარტო კანილაა გადაკრული. მოკლე სუნთქვა ყელში ხიხინით, რომელსაც ხშირად აჩერებს ხველა... ხმა მილეული, სიტყვის გაძოტემა უჭირს, ხველას, საუბარსა და მოქმედებას თან სდევს გულის წასვლა. ამგვარი ნიშნები აშკარად მოწმობენ ფილტვების დაჩირქებაზე ან მათ ჩირქოვან კლექზე და აგრეთვე იმაზე, რომ მედიცინას არ გააჩნია არავითარი საშუალება ასეთი რთული და ხანდაზმული სენის განსაკურნავად...“¹

ეს ცნობა დაწერილი იყო 1836 წლის 10 აგვისტოს.

„Кавказ“-ში დაბეჭდილი წერილი სოლომონ დოდაშვილის შესახებ ვიღაც მის მახლობელს ეკუთვნის, რადგან ვიატკაში სამსახურის დეტალები ყველა აღნიშნული. წერილის ავტორი აღწერს სოლომონის უკანასკნელ დღეებს: „Еще за неделю предчувствуя свою кончину, безропотный страдалец приготовился к ней, как истинный христианин простился с семейством и спокойно отошел в вечность...“².

სოლომონი 1836 წლის 20 აგვისტოს გარდაიცვალა, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მაგრამ შექმული დიდი ჯაფისა და უწყალო ავადმყოფობისაგან³.

¹ იქვე, გვ. 516.

² „Кавказ“, 1836, № 48.

³ ვიატკის საგუბერნიო არქივში სწერია: „Помер от приключившейся ему болезни“.

სოლომონის ცოლი და შვილები დარჩენ უპატრონოდ უცხო ქალაქში, უღრმეს მწუხარებასა და გაჭირვება-შიმშილში. კვლავ აღიძრა შუამდგომლობა და მიწერ-მოწერა სოლომონის ქვრივისთვის შემწეობის აღმოსაჩენად, რათა ნათესავებს მოშორებული და დაობლებული ქალი შვილებითურთ საქართველოში დაებრუნებინათ. ელენეს 800 მანეთი მისცეს სახელმწიფო ხაზინიდან და საქართველოში გამოისტუმრეს¹.

2

სოლომონ დოდაშვილს ხანმოკლე მოღვაწეობის განმავლობაში მრავალი ნაშრომი შეუქმნია პრაქტიკული ხასიათისა, სახალხო განათლების საჭიროებისათვის და წმიდა მეცნიერულიც, რომელთაც თავის დროზე სერიოზული შეფასებები რგებიან წილად როგორც ნაცნობ-ამხანაგებისგან, ისე ფართო წრეებისაგანაც.

ზაქარია კიკინაძე თავის წიგნაკში სოლომონ დოდაშვილის თოთხმეტამდე ნაშრომს ჩამოსთვლის. ამათგან მხოლოდ რამდენიმეს ელირსა დაბეჭდვა. ზოგიერთ მათგანზე თვით სოლომონი იძლევა ცნობებს წერილებში. უნდა აღინიშნოს, რომ ზ. კიკინაძის მიერ ჩამოთვლილთა შორის, ნაწილი თარგმნილია რუსულიდან. მაგრამ ზოგიერთ ნაშრომთა დასახელება გვიჩვენებს, თუ რამდენად ძვირფასნი ყოფილან ისინი ქართული კულტურის ისტორიისთვის.

სოლომონის ნაშრომთა სია მხოლოდ ზ. კიკინაძის მიერ დანატოვარი ცნობებით არ ამოიწურება. მას დაწერილი ჰქო-

¹ ზ. კიკინაძის ცნობით, სოლომონის ქვრივი ელენე, მეორედ გათხოვილა. დედას და მამინაცვალს სოლომონის უფროსი ვაჟი ისე აღუზრდიათ, რომ ქართული დაუვიწყებიათ. (იხ. გამოც. გვ. 21). აღსანიშნავია ის, რომ სოლომონის მეორე და მესამე შვილები არსად აღარ მოიხსენებიან. იქნება შიმშილი და გაჭირვებამ, რუსეთში გამოვლილმა, იმსხვერპლა ორი მცირეწლოვანი ბავშვი. რაც შეეხება უფროს ვაჟს, იგი ცხოვრობდა თბილისში და მწერლობაშიც ფეხი ჰქონდა შედგმული, წერდა ლექსებს, ბეჭდავდა „Кавказ“-ში И. Додаев-Магарский-ს ხელმოწერით. მისი ერთი ლექსი „ქმუნვა“, რუსულიდან თარგმნა ანტონ ფურცელაძემ და დაბეჭდა 1861 წლის ნოემბრის „ცასკარში“. ივანე სოლომონის ძე დოდაშვილის შესახებ იხ. აგრეთვე „დროება“, 1875 წ. № 61.



ნია ქართული რიტორიკა, რუსულ ენაზე თარგმნით, კანონი სხვადასხვა თხზულებათა დაწერისთვის ანუ პოეტიკა, ცხოვრება და მოღვაწეობა იონა ხელაშვილისა და სხვ.

ს. დოდაშვილის მეცნიერული ფიზიონომიის წარმოსადგენად საკმაოა ისეთი სერიოზული თხზულებების დასახელება, როგორიცაა ლოგიკა, ქართული ენის გრამატიკა, საქართველოს ისტორია და სხვ. როგორც ჩანს, თვით ავტორი პირველ სერიოზულ ნაშრომს დიდ მნიშვნელობას აძლევდა, რადგან მის შესახებ ხშირად ლაპარაკობს წერილებში. ამ ნაშრომის დიდმნიშვნელოვანება აღნიშნა მაშინდელმა ცენტრის პრესამაც.

ს. დოდაშვილის ლოგიკის კურსი იშვიათი მოვლენა იყო რუსულ ფილოსოფიურ ლიტერატურაში. მე-18 საუკუნის განმავლობაში რუსეთში ორიგინალური ნაშრომი ამ დარგში არ დაწერილა, სასწავლებლებში სახმარებლად მიღებული იყო გავრცელებული ლოგიკის სახელმძღვანელო ფრიდრიჰ ბაუმეისტერისა. რუსთავან პირველი ორიგინალური ნაშრომი ეკუთვნის პეტრე დიმიტრის ძე ლოდის, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორს, რომელმაც 1815 წელს გამოსცა „Логическия наставления“. ს. დოდაშვილის წიგნმა დაიმსახურა ქება იმ დროის მსწავლულთა წრისა და იგი მაშინვე მიეკუთვნა საუკეთესო ნაშრომთა რიგს ამ დარგში. წიგნი გამოიცა სათაურით: Курс философии, часть первая. Логика, сочинение Соломона Додаева—Могарского. Санкт-петербург. В типографии Александра Смирдина. 1827. ავტორმა წიგნს წარუძღვარა მიძღვნა, მიმართული ხარკოვის უნივერსიტეტისა და სასწავლო ოლქის მზრუნველის ალექსი ალექსის ძე პეროვსკისადმი¹.

¹ ალექსი პეროვსკი (1787—1836), რომელსაც პირადად იცნობდა ს. დოდაშვილი, პუშკინის, ჟუკოვსკის, ვიაზემსკის და სხვათა მეგობარი იყო. მისი ლიტერატურული ფსევდონიმია ანტონ პოგორელსკი (აღებული უკრაინის სოფლის „Погорельцы“-დან). მისმა რომანმა „Монастырка“-მ თავის დროზე დიდი სახელი მოიხვეჭა. ხარკოვის სასწავლო ოლქის მზრუნველად მუშაობდა 1825—1830 წლებში. პოეტის ალ. ტოლსტოის დედის ძმა იყო.

პეროვსკისადმი მიმართვის შესახებ განსვენებული პრინცი ფესტორი ს. ხუნდაძე წერდა, რომ სოლომონ დოდაშვილის ეროვნულ პოლიტიკაში ცვლილება მოხდა 1827 წლიდან 1832 წლამდე და რომ ლოგიკის სახელმძღვანელოს წინასიტყვაობაში იმ აზრისაა, რომ რუსეთის მთავრობის მეშვეობით საქართველოს გამოუბრწყინდა შუქი მზისა და განათლებისა¹. ამის შესახებ უნდა ითქვას, რომ ს. დოდაშვილის ეროვნულ მრწამსში ცვლილებები არ მომხდარა ზემოდასახელებულ წლებში, რადგან ქართველ ემიგრანტებთან დაახლოება მოხდა სწორედ ლოგიკის გამოცემამდე და არა შემდეგ, ე. ი. 1827 წლამდე და ამ წლისთვის სოლომონს უკვე დამთავრებული შეხედულებანი ჰქონდა საქართველოს მდგომარეობაზე. რაც შეეხება იმას, რომ სოლომონი მიძღვნაში მოიხსენიებს მზის შუქს რუსეთის იმპერატორის მიერ მიპყრობილს საქართველოსკენ, ეს საჭირო იყო ცენზურისათვის. განა უიმისოდ ცენზურა გაუშვებდა რაიმე ნაბეჭდ პროდუქციას? და რომ ეს ამოთ იყო გამოწვეული და არა სოლომონის შეხედულებების ცვლილებით, იქიდანაც ჩანს, რომ 1832 წელს სოლომონმა თავის ჟურნალში დაბეჭდა „დიდი კნიაზის“ გიორგი იასეს ძე ერისთავის თზზულება— „მოწოდება ივერთა მამულის დაცვისათვის დროსა სპარსთა შემოსვლისასა საქართველოს სამძღვართა შინა“, მეტად მონარქისტული სულისკვეთების მატარებელი ლექსი². მაგრამ ამას სოლომონი აკეთებდა იმიტომ, რომ უფრო დაფარულად და მოხერხებულად გაეტარებინა თავისი აზრები. ამასთან, პეროვსკისადმი მიმართვაშიც კი, სადაც იმპერატორის უმაღლეს მოწყალეობაზეა ლაპარაკი, სოლომონი მაინც თავისებურად გამართულ აზრებს გამოთქვამს³.

¹ „ქართველი ინტელიგენციის პროფილი მეცხრამეტე საუკუნეში“, 83. 35—36.

² „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“, № 3.

³ იხ. Курс философии, ის სწერდა: „... во вверенном Вам окружении получив счастливое направление, без сомнения возведет сию Азиатскую страну на стенью Европейской образованности... Желание полезным быть моим соотечественникам, всегда будет для меня священным долгом“ და სხვა.



ლოგიკის გამოცემას რუსულ პრესაში ჟურნალი „Московский Телеграф“-ი გამოეხატა. მისი გამომცემელი იყო ნიკოლოზ ალექსის ძე პოლევი, რომელთანაც თანამშრომლობდნენ პუშკინი, ჟუკოვსკი, ბარატინსკი, ვიზემსკი და სხვანი. თვით პოლევიმ (1796—1846), ჟურნალისტმა, კრიტიკოსმა და ისტორიკოსმა, სოლომონ დოდაშვილის პირადად მცნობმა, ჟურნალში კარგი შეფასება დაბეჭდა ლოგიკის შესახებ: „Известия читателей наших в сей книжке Телеграфа о появлении превосходной Русской Грамматики, радуемся, что можем известить их о появлении в одно время двух замечательных учебных сочинений о логике. Доныне мы совсем не имели хорошо изложенной Логики, книги столь необходимой при воспитании. Все Логики наши были старые Кондяляковские или остатки Бауместеровской схоластики. Путаясь в словоизвитиях хрий, эпитимем, диллем, соритов, учитель по книжкам мог забить только голову ученика мудренными словами, но мало помогал его разуму.“

Отбросив всю схоластику и все пустословие Кондяляка и руководствуясь новейшими мыслителями, г-н Талызин и г-н Магарский, ясно, кратко и просто изъяснили важную науку мыслить правильно (ხაზი ბ. პოლევისაა) и оба достигают цели своих сочинений.

Книга г-на Магарского есть только начало обширного труда. Он хочет издать полный курс философии. Заметим, что г-н Магарский природный грузинец, и ныне, кончив курс учения в Петербурге, занимает должность учителя в Тифлисе. Он долгом почел сказать читателям (стр. VI), что в издании сочинения его принимал деятельное участие Его Преп. Грузинский Иеромонах Иона. Приятно думать, что просвещение разливает светлые лучи свои и за Кавказом, в таком народе, который доныне лишен был его благодетельных. Дай Бог чтобы г-н Магарский среди соотечественников

и учеников своих нашел себе многих последователей. Н. П[олево́й]“¹.

მეორე რუსული ჟურნალი „Московский Вестник“-ი უფრო საფუძვლიანად შეეხო ს. დოდაშვილის „ლოგიკის კურსს“. ამ ჟურნალს რედაქტორობდა მიხეილ პეტრეს ძე პოგოდინი (1800—1875). წიგნის შეფასება დაიბეჭდა კრიტიკის განყოფილებაში². რეცენზიას უჭირავს ჟურნალის ექვსი გვერდი, საკმაოდ ვრცელია, მაგრამ რამდენადაც მისი ჩვენში შოვნა ძნელია და თანაც სერიოზულ შეფასებას წარმოადგენს ს. დოდაშვილის პირველი სერიოზული ნაშრომისას იგიც მოლიანად მომაქვს: „Логика г. Додаева составляет начало полного курса Философии, и потому, в ожидании конца его, мы удовольствуемся здесь несколькими общими примечаниями. Главные условия всякого философского сочинения, основательность и ясность, не могут быть выполнены без соблюдения строгой постепенности в расположении частей его. С этой стороны будем смотреть на курс г-на Д.—В введении в свою Логiku (§ 3) он с строгою отчетливостью обозначил пределы сей науки в отношении к Метафизике: Логика, по словам его, есть наука не познания, но размышления; она не разгадывает сущности внутренних явлений, не доходит до первоначальных истин, но показывает способ переходить правильно от одной данной истины к другой, потому, говорит Автор, справедливо можно назвать ее наукою феноменов. Теперь спрашивается:

¹ „Московский Телеграф“, часть восемнадцатая, стр. 167—168 Москва, 1827 г.

² იხ. „Московский Вестник“, журнал издаваемый М. Погодиным, часть VI, № XXII, Москва, 1827 г. стр. 201—203: „Курс философии. Часть первая. Логика, соч. Долаева-Магарского. С.П.-бург, тип. Смирдина, 1827 года, 93 стр.“ ამონაწერები „Московский Телеграф“-იდან და „Московский Вестник“-იდან მოსკოვიდან მომწირდა ვლ. კამინსკი, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ.



явление может-ли предшествовать сущности? можно-ли говорить о следствии, не объяснив причины? Сам Автор говорит, что дело Логике не отвечать на вопрос: как обыкновенно мыслят? но решить задачу как должно мыслить? и решить ее а priori, выводя свои правила из чистого ума.—Еще прежде (стр. IV) Автор сказал—предметы философии суть: 1) отвлечение и размышление, 2) познание самих себя и 3) удовлетворение себя таким самопознанием. Но познание самих себя, мысль о нашем Я, не есть-ли мысль первоначальная, которую условляется всякое последующее размышление?—Из всего сказанного следует, что курс философии должен бы начинаться не Логикою—наукою явлений умственных, но наукою чистого, безусловного ума и первоначального познания—Метафизикою; она послужила бы удовлетворительным введением во все части философии. Автор, избрав другой путь, принужден был, не взирая на то, изложить основные Метафизические мысли в двух Введениях и в статье о Разуме, но оне не достаточны: высочайший закон ума, единство, идея¹ пребывают погруженными в таинственный мрак, и во 2-й части Курса должно будет повторить все то с пополнениями. Рассматривая расположение Логике г-на Д., нельзя также не сожалеть о том, что он, повинаясь привычке некогда господствовавшей, поместил вслед за введением Историю сей науки... Возвращаясь к Логике г-на Д. скажем, что всякая книга должна сама объяснить свое содержание, не предполагая в читателе никаких сведений предварительных; если так, то какую цену будет иметь для читателя следующая фраза (стр. 13): „Аристотель весьма пространно говорит о видах силлогизмов и обманах в умозаключении; но в теории силлогизмов не упоминал о фигуре четвертой и об ус-

ловном силлогизме“, когда читатель еще не знает, что такое фигуры Силлогизмов, Силлогизмы и проч.?

Заметив син два недостатка в книге г-на Д., отдадим, впрочем, сочинителю похвалу, вполне заслуженную, за краткость, ясность и порядок, господствующие в остальных частях его. Вообще, гораздо труднее укрепиться в основании, нежели выводить и располагать следствия. У г-на Д. в особенности хорошо выведены Категории суждений, но более всего благодарны мы ему за счастливую смелость, с которою он отступил от узаконенного давностью порядка в расположении Логик, и, вопреки ему, дал суждению¹ место прежде понятия¹. Мы довольно сказали о расположении. Что касается содержания логики г-на Д. Могарского, в ней довольно счастливо соединены краткость с надлежащею полнотою. Одно только заметим: так как сочинитель, кажется, назначил книгу свою для образования юношества, мы желали бы видеть в ней менее схоластической терминологии, которая более обременяет память, нежели обогащает ум учащихся. К чему например было высчитывать во введении все чужезычные наследственные титула Логики—Катарктика, Пластика и т. д.—Подобную погрешность встретили мы и в истории сей науки; здесь сочинитель пускается в библиографический обзор логических творений Аристотеля, что было бы к стати в полном курсе филологии, но в начертании Истории Логики, на нескольких местах, вовсе неуместно“. ამ მიმოხილვის ავტორი არის ვინმე N, მაგრამ ამ ფსევდონიმის გახსნაც მოხერხდა. წერილი ეკუთვნის პოგოდინის მეგობარს და კეთილისმყოფელს ვ. ტიტოვს, რომელიც 1827 წლის 18 ივლისს ჟურნალის რედაქტორს და თავის მეგობარს სწერდა: „Очень рад, что в двух последних номерах, ко-

¹ ხაზი ჟურნალისაა.



торые вообще хороши и занимательны, критика сделана гораздо живее. Не должно презирать и самой пустой книги. Надеюсь вскоре доставить разбор сочинении Булгарина и Логики Додаева—Могарского. Мне нравится тон, принятый нами в критике: учтиво и часто дельно¹. ტიტოვის წერილი უფრო სერიოზული დაკვირვების შედეგია, იგი წიგნის ავტორს მიუთითებს რამდენიმე სერიოზულ ნაკლოვანებისკენ, მისი გამოსწორება დოდაშვილს, სამწუხაროდ, არ დასცალდა.

ნ. ა. პოლევოის და ვ. პ. ტიტოვის შეფასება ნათელსახდის სოლომონის ნაშრომის რეზონანსს მაშინდელ რუსულ ლიტერატურაში. სოლომონის პირველმა მეცნიერულმა ნაშრომმა არა ნაკლები გამოსხაურება ჰპოვა ახლობელთა წრეშიც. შეთქმულების საქმეებში დაცული ერთი წერილი ამის დამადასტურებელ ფაქტად გამოდგება. „სახლვარგარეთიდან დაბრუნებულმა,—სწერს სოლომონს ერთი,—მივიღე და გადავათვალიერე რა იგი, ვპოვე, რომ როგორც თავისი შინაარსით, ისე მოთხრობის ხერხით განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. თქვენი, ამ ფრიად მნიშვნელოვან და ჩვენში ნაკლებად დამუშავებულ საქმეზე მეცადინეობის ასეთი ბედნიერი დასაწყისი თავდება უფრო ბედნიერი შედეგებისა“-ო². დაახლოვებით ასეთ შეფასების იძლევა ის ანონიმი ავტორიც, „Кавказ“-ში რომ წერდა მოგონებებს სოლომონ დოდაშვილის შესახებ³.

აღსანიშნავია აგრეთვე ერთი საინტერესო ფაქტიც, რომელიც სოლომონ დოდაშვილის ნაცნობთა წრეს შეეხება და

¹ წერილი, მიწერილი ტიტოვის მიერ პოგოდინისადმი, მოთავსებულია ნ. ბარსუკოვის ნაშრომში—Жизнь и труды М. Н. Погодина, წიგნი მეორე, გვ. 126.

² „1832 წლის შეთქმულება“, გვ. 518.

³ „Кавказ“, 1856, № 48. „Книга эта (ლოგიკა—ს. ხ.) заслужившая похвалу в тогдашнем ученом кругу, была отнесена к числу особенно-замечательных произведений этого рода; слог которым написана Логика, и теперь еще отличается легкостью“...

დაკავშირებულია ლოგიკის გამოცემისთან, კერძოდ ის, რომ წიგნი დაბეჭდილია ცნობილი გამომცემლისა და წიგნის მაღაზიის პატრონის ალექსანდრე ფილიპეს ძე სმირდინის მიერ. ის ფაქტი, რომ სოლომონ დოდაშვილს სმირდინთან ურთიერთობა ჰქონდა, მაფიქრებინებს, რომ წიგნის მაღაზიის საშუალებით სოლომონი იცნობდა იმათაც, ვინც ყოველთვის იკრიბებოდნენ სმირდინის მაღაზიაში¹. სმირდინთან დაახლოვებულნი იყვნენ ჟუკოვსკი, კრილოვი, პუშკინი და მრავალი სხვა მოწინავე რუსი მწერალი მე-19 საუკუნის პირველი ნახევრისა. სმირდინის წიგნის მაღაზია იყო ერთგვარი ლიტერატურული ცენტრი, სადაც ხდებოდა შეხვედრები და ნაწარმოებთა კითხვა მწერალ-პოეტთა წრეში, აქვე ხდებოდა უცხოური ლიტერატურის გაცნობა, აზრთა გაცვლა-გამოცვლა და სხვ. საფიქრებელია, რომ ახალგაზრდა სოლომონი, მცნობი სმირდინისა, შესული იყო იმ წრეში და იცნობდა რუსული ლიტერატურის მნათობებს. რუს მწერლებთან ნაცნობობას და დაახლოვებას თვით სოლომონი შემდეგნაირად აღწერს: „აქამომდე მაქონდა ჩინებულსა პოეტთა და მწერალთა საუბრობა, რომელნიცა იქებდნენ პეტერბურლსა შინა თვისითა საქმეებით და ყოველსა ქვეყანასა ზედა ისმიან პატიოსნებანი მათნი, მათ მთხოვეს თბილისიდან წერილისა შეერთება, ერთი მათგანი მიდის ევროპასა შინა უმეტეს განათლებისათვის, მე ვსთხოვე მუნიტგან მოწერა ავტოგრაფისა და ღირსი ხსოვისა ცნობა, მან აღმითქვა“². აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დოდაშვილი არ ასახელებს იმ ნაცნობს, რომელთანაც ევროპაში მიწერ-მოწერა უნდა ჰქონოდა.

მეორე სერიოზული ნაშრომი სოლომონ დოდაშვილისა არის „შემოკლებული ქართული ღრამმატიკა“; იგი დაბეჭდი-

¹ ა. ფ. სმირდინი, (1795—1857), ცნობილი წიგნით მოვაჭრე და გამომცემელი, 13 წლისა ხელზე მოსამსახურედ შევიდა შირიაევის წიგნის სავაჭროში, შემდეგ კი საკუთარი გამომცემლობა შექმნა. 1834 წლიდან დააარსა „Библиотека для чтения“. ბეჭდავდა რუს კლასიკოს მწერლებს, 1833 წლიდან ბეჭდავდა „Сын Отечества“-ს გრეჩისა და პოლეგოის რედაქციით.

² წერილი დაწერილია 1827 წლის 15 ივნისს.



ლია თბილისში 1830 წელს „სტამბასა შინა გამომცემლის კომიტეტისასა“. როგორც ლოგიკის კურსი, ისე ქართული გრამატიკაც მიღებული ყოფილა მაშინდელ სასწავლებლებში, „она также пользуется уважением знатоков грузинской словесности и долгое время преподавалась с успехом в здешних учебных заведениях“, სწერდა „Кавказ“-ის ავტორი. ქართული გრამატიკის სკოლებში ხმარებას ეხება ლევან მელიქიშვილისგან გაგონილი და იონა მეუნარგიას მიერ ჩაწერილი დიალოგი ს. დოდაშვილსა და ნიკ. ბარათაშვილს შორის¹.

ქართული გრამატიკული ლიტერატურის მიმომხილველის პროფ. ალ. ცაგარლის აზრით², ს. დოდაშვილის გრამატიკის ენა დამუშავებულია და ამის გამო ადვილად გასაგებიც, გრამატიკული კატეგორიებისა და ტექნიკური ტერმინების განსაზღვრისათვის ხმარებული მაგალითები სალაპარაკო ენიდან არისო აღებული, ამრიგად, ს. დოდაშვილის ნაშრომი უფრო დემოკრატიზებულია, ვიდრე მის წინამავალთა თხზულებანი ამ დარგში, თუმცა რადიკალურად არ განსხვავდება შედარებით ძველ, განსაკუთრებით ანტონ კათოლიკოსის, გრამატიკულ ნაშრომთაგან³.

ზ. ჭიჭინაძეს დოდაშვილის სხვა ნაშრომთა შორის დასახელებული აქვს „ისტორიული აღწერა რომელთაზე მწერალთა და რომელთაზე ამბავთა“ და შესაძლებელია ამ ნაშრომის ნაწილები იყო სალიტერატურო ჟურნალში გამოქვეყნებული მასალები „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა (ანუ სიტყვიერებისა)“³ და „მეფობა ირაკლის მეორისა“⁴.

¹ ნ. ბარათაშვილი, 1922 წლის გამოცემა, ბიოგრაფია ი. მეუნარგიას მიერ დაწერილი, გვ. X—XI.

² „О грамматической литературе грузинского языка, критический очерк“. С.-Петербург, 1873.

³ გაკვრით ამის შესახებ იხ. „ბარათაშვილის ენა“, აკადემიკოს აკაკი შანიძის წერილი ნ. ბარათაშვილის თხზულებათა გამოცემაში 1939 წელს.

⁴ დაიბეჭდა პირველ და მეორე ნომერში.

⁵ დაიბეჭდა მესამე და მეოთხე ნომერში.

ქართული ლიტერატურის მიმოხილვას სოლომონი იწყებს კამათით მათ წინააღმდეგ, ვინც უარჰყოფდა ქართული კულტურისა და ლიტერატურის ტრადიციებს. ვიდრე ლიტერატურულ ფაქტებს შეეხებოდა, სოლომონს მოუტანია ისტორია ქართული ანბანის შემოღების შესახებ და ეწინააღმდეგება იმ აზრს, ვითომც ქართული ანბანი სომხურის მეშვეობით იყოს შექმნილი. წინასწარი მიმოხილვის შემდეგ ავტორი დაწვრილებით ჩერდება ძველი ქართული აზროვნების წყაროებისა და მისი რაობის შესახებ, აკეთებს მიმოხილვას ქართველ ფილოსოფოსთა მოღვაწეობისას და კულტურული ურთიერთობისას საქართველოსა და საბერძნეთს შორის. განსაკუთრებული ყურადღება სოლომონს შეუჩერებია იოანე პეტრიწონელის მოღვაწეობაზე და ფილოსოფიურ შრომებზე. შემდეგ მოსდევს მიმოხილვა ქართული ლიტერატურის კლასიკური პერიოდისა, რომლის შექმნაში მოსე ხონელს, თმოგველს, ჩახრუხაძეს და სხვათა დიდი მონაწილეობა მიუღიათ. მათ შორის გამოირჩევა შოთა რუსთაველი, როგორც დამაგვირგვინებელი კლასიკური პერიოდისა. ამ მწერალთა შემოქმედების მიმოხილვის შემდეგ, სოლომონი აღწერს საქართველოს პოლიტიკურ ვითარებას მონღოლთა შემოსევით გამოწვეულს. შედარებით მოკლედაა მიმოხილული აღორძინების ხანა, რომელშიც ანტონ პირველს კათოლიკოსს საკმაოდ დიდი ადგილი აქვს მიკუთვნებული.

ჟურნალში დაბეჭდილი მეორე ნაშრომი არის „მეფობა ირაკლის მეორისა“. იგი ვრცელი მიმოხილვაა საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობისა მე-18 საუკუნეში. ირაკლი მეორე, რომლის ცხოვრება-მოღვაწეობის აღწერა ბოლომდე არ არის დაბეჭდილი, წარმოსდგება როგორც მხედართმთავარი, ნიჭიერი სტრატეგი და ახალგაზრდობიდანვე მებრძოლი და დამცველი სამეფოს მთლიანობისა.

„სალიტერატურონი ნაწილნი“ ხომ მთლიანად თითქმის სოლომონის მასალებით არის აღსავსე. მასში, გარდა ზემოთ-დასახელებულ თხზულებებისა, იბეჭდებოდა პოლემიკური და

ბელეტრისტული ხასიათის ნაწარმოებები რედაქტორისა და ჟურნალის ხელმძღვანელის სოლომონ დოდაშვილისა¹.

3

„Под игом власти, сей, рожденный,
Нося оковы позлощенны,
Нам вольность первый проридал“

Р а д и щ е в.

სოლომონი „მამულის განთავისუფლების შეთქმის“ ერთ-ერთი მთავარი მონაწილეთაგანი და ორგანიზატორი იყო. ჯერ კიდევ 1826 წელს იგი, პეტერბურგში მყოფი, „მამულის სარგებელ სხვა ზმნობაზე“ ლაპარაკობდა და წარმოდგენილი ჰქონდა მომავალი მუშაობა მამულის განთავისუფლების საქმეში. ფარული საზოგადოების არსებობის ისტორია უფრო მოკლებზნოვანია შედარებით იმ აზრებთან, რომელთაც ეს ორგანიზაცია შეჰქმნეს, მაგრამ მაინც აღსანიშნავია, რომ პირველი ხელშეკრულება, დადებული 1828 წლის 13 მაისს დიმიტრი, გიორგი და ელიზბარ ერისთავებს შორის პეტერბურგში უფრო ნაგვიანევი გამოქვეყნება ბრძოლის დასაწყისისა, სოლომონ დოდაშვილის სურვილებსა და მისწრაფებებთან შედარებით.

„საიდუმლო შეთქმის“ მონაწილეებს და ორგანიზატორებს რამდენიმე ღირსშესანიშნავი ისტორიული ფაქტი ჰქონდათ წინ იმგვარივე ხასიათისა, როგორის მოხდენასაც აპირებდნენ. ეს იყო 1825 წლის „დეკაბრისტებისა“ და 1830—31 წლების პოლონეთის აჯანყება. ქართველებს წინ ჰქონდათ მაგალითები მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლისა. შეთქმულნი ფარულ კრებებზე მსჯელობდნენ და აფასებდნენ ისტორიულ

¹ ჟურნალში დაიბეჭდა ს. დოდაშვილის ორიგინალური მოთხრობა „ელენა“ (შეიძლება იგი ცოლისადმი იყო მიძღვნილი)—ფსევდონიმით. მისი ფსევდონიმი იყო არაბული რიცხვი—4, დოდაშვილის გვარის პირველი ასოს რიცხვითი გამოსახულება. დ-ონი ქართული სათვალავით უდრის 4-ს. დაწერილებით ამის შესახებ იხ. ჟურნ. „ბიბლიოგრაფიის მოამბე“, № 1, გვ. 38—39.

ფაქტებს, რომელნიც ამხელდნენ რუსეთის სახელმწიფოს დამოკიდებულებას მცირე ერთა მიმართ. პოლონეთი და საქართველო, ამ მხრივ, ერთგვარ პირობებში იმყოფებოდნენ¹.

საქართველოს დაპყრობას რუსეთის მიერ სოლომონი აბრალებდა გარკვეულ ისტორიულ პიროვნებებს და ისტორიულ ფაქტებს, რომელთა გამო საქართველო დამდაბლდა და დავიწყებულ იქმნა მოქალაქობა ანუ საზოგადოებრივ—ნაციონალური ინტერესი. ეს აზრი სოლომონმა ერთხელ საჯაროდ გამოთქვა: „უკანასკნელ ერთ კერძო განუქვრეტელობამან და ერთ კერძო შეიწროებამან ძლიერთა ერთამან, მიიყვანეს საყვარელი მამული ჩვენი ესე ვითარ ხარისხადმდე დამდაბლებისა, რომელ დამვიწყებელი მოქალაქეებისა თავისუფლებისა და თანაც წარმწყმედელი მაღლისა მის წინა—დანისულებისა კაცთა და მეფობისა...“² ამ სიტყვაში, სრულიად გარკვეულად, სოლომონ დოდაშვილი აკრიტიკებდა ერთმეფობას, მონარქიულ პრინციპს და ირაკლი მეორის მოქმედებას განუქვრეტელობის სახელით ნათლავდა. ამის შემდეგ სრულიად ნათელია ნიკო ბარათაშვილის ის იდეები, რომელნიც მეფის უფლებების შეზღუდვას გულისხმობს და რაც კარგადაა აქვს გადმოცემული მსაჯულის ლეონიძის პირით:

„მაღლობა, ღმერთო, შენსა განგებას!
ერთს კაცს მომადლებ ყოველთა უფლებას
და მისს ერთს სიტყვას მონებენ ერნი,
განურჩევლად სულელნი, ბრძენნი,

¹ უფრო დაწვრილებით შეთქმულების მიმდინარეობისა და რაობის შესახებ იხ. პ. ინგოროყვას ნაშრომი—„ქართული მწერლობა“, 1928 წ. № 6—7 და „ლექსები, პოემა, წერილები“ ნ. ბარათაშვილი—ბიოგრაფიული ნარკვევი.

² სიტყვა თქმული სოლომონ დოდაშვილის მიერ 1823 წლის 6 ივნისს კეთილშობილთა სასწავლებლის მოწაფეთა საჯაროდ გამოცდაზედ, „ივერია“, 1887, № 227. სრული ტექსტი იხ. საქ. მეზ. წ. კ. გ. ს. ფონდი № 388.—„შესხმა, წარმოთქმული ტფილისის კეთილშობილთ სასწავლებლის მოძღვრისა მიერ სოლომონ დოდაშვილისა მაღაროელისა, დროსა მოწაფეთა გამოცდისასა საზოგადოსა შეკრებილებასა შინა წელსა 1828 ივნისის ვ.სა დღესა“.

და იგი მათს ბედს ასე განაგებს,
 ვითა ამღერდეს იგი კამათლებს!
 მაგრამ შენ, მეფევ, ვინ მოგცა ნება—
 სხვას განუბოძო შენთ ყმათ ცხოვრება,
 მისდევდე შენსა გულისკვეთებას
 და უთრგუნვიდე თავისუფლებას?
 შენ ერმა მოგცა პირველ ღირსება,
 რათა დაუცვა ყოფა-ცხოვრება,
 და რად ივიწყებ რომე მარადის
 ერსა ეკუთვნის გულის თქმა მეფის!..“

ამით უკავშირდებიან ერთმანეთს სოლომონ დოდაშვილი და ნიკოლოზ ბარათაშვილი. ამ გვარ აზრებს სოლომონი შეთქმულთა კრებებზეც გამოსთქვამდა, რაც ვახტანგ ორბელიანს საგამომძიებლო კომისიისთვის მოუხსენებია: „в 1832 году я слышал от Додаева сии слова: когда я провожал Окропира царевича из Тифлиса, то он мне сказал: да Господа Грузинцы, постарайтесь об освобождении Грузии. В прочем я желаю свободу Грузии,—დაუმატებია სოლომონს,—не для того, чтобы ктонибудь из рода Багратионных воцарился в оной, но чтобы из Грузии сделался род республики“¹.

სოლომონი დაპატიმრებისთანავე იქნა დაკითხული. იგი ყოველთვის ცდილობდა დანაშაული მეტად სუბუქად მოეჩვენებინა საგამომძიებლო კომისიისთვის, პირიქით, თითქოს საყვედურსაც გამოსთქვამდა, რომ დაპატიმრეს საზოგადოებაში სწავლა-განათლების ჩვევების შეტანისთვის. რამდენიმე ჩვენებაში იგი შეთქმულების ნამდვილ აზრს ჰტყავდა და ამბობდა: „ყველა ესენი (შეთქმულების წევრებიო) ლაპარაკობდნენ იმაზე, თუ რა მოეგონათ კეთილი საქმე საქართველოსთვის, მე შევიტანე წინადადება შეგვეგროვებია

¹ „1832 წლის შეთქმულება“, გვ. 92.

შემოწირულება და ამ შეკრებილი ფულით გვეყიდნა ბიბლიის თეკა, სტამბა და დავხმარებოდით გიმნაზიის ლარებ მოწაფეებს“. ¹ ასეთ ჩვენებას სოლომონი სხვაგანაც იმეორებდა. ერთგან სოლომონმა ისიც კი აჩვენა კომისიას, რომ რუსების წინააღმდეგ არაფერი მითქვამს და დამიწერიაო და გორდევეიც კი მოიხსენია, რომ მე მის წინააღმდეგ არ წავსულვარო და არც არავის გაუგონებდი ასეთ აზრსო, მაგრამ სოლომონს ავიწყდებოდა, უკეთ განგებ ივიწყებდა და კომისიაც უნდოდა დაებნია, რომ მას, სოლომონს, თავის ჟურნალში, სწორედ გორდევეი ჰყავდა გალანძღული, როგორც უაზრო თხზულებების დამწერი, როგორც უფიცი და სხვა. ² მაგრამ ს. დოდაშვილს, რასაკვირველია, არ დაუჯერეს. და არ დაუჯერეს იმიტომაც, რომ ჯერ ერთი მის ქაღალდებში იპოვეს რილეევის ლექსის „ნალივაიკოს აღსარების“ თარგმანი, რილეევისავე, ცოლისადმი ციმბირიდან მოწერილი წერილის ასლი და მეორეც, საგამომდიბლო კომისიას ჰქონდა საქმეებში დოდაშვილის ლექსი, მოწოდება აჯანყებისაკენ და პროკლამაცია იმავე ხასიათისა. განა მთავრობა ვერ მიხვდებოდა დოდაშვილის ლექსს, რომლითაც იგი ქართველობას მოუწოდებდა:

„... შემოვიკრიბოთ გულით მსურველნი,
ვეცეთ, ვეძგერნეთ გაგულებულნი,
განვდევნოთ სოფლით ძალით მოსრულნი,
ჩვენ მამულისა მათხრებელნი“. ³

ასეთივეა მის ქაღალდებში ნაპოვნი მისივე პროკლამაცია: „... მტერი მარადის მოწყლულ იყო და დამხობილ მათგან (ე. ი. წინაპართაგან), ხოლო აწ ხედავთ დამხობასა და არა-

¹ იქვე, გვ. 140.

² გორდევეი, ს. დოდაშვილის თქმით, „არა მცოდნეა ქართულისა ენისა, ჰსწერს მრავალსა ტყუილსა და გამოჩენილსა სიცრუესა... უსვინდისოთ გარდმოუწერია უფალს ღარიღევს...“ და სხვ. ამ კამათს, დოდაშვილსა და გორდევეს შორის, გამოუწვევია თადეოზ გურამიშვილის (ილია ჭავჭავაძის სიმამრის) ლექსი—„საყვარელო მამულო“, რომელიც დაიბეჭდა „სალიტერატურონი ნაწილის“ მეხუთე ნომერში.

³ „1832 წლის შეთქმულება“, გვ. 95.



რაობასა მამულისა ჩვენისასა, ჰგონობთ შეიწროებასა კი-
ლისა კაცისასა. რაისათვის არს ესე ესრეთ? ნუ უკვე ჩვენ არა
ვართ შვილნი მამა-პაპათა ჩვენთანი? ნუ უკვე ჩვენ არ ძალგვიძს
შენახვა საკუთარისა მამულისა? ნუ უკვე ჩვენ არ გვაქვს სიმ-
ხე და ძალი ესე ოდენი, რაოდენიც ჩვენს მამათა ანუ სხვათა
მსგავსთა კაცთა? მაშ რაისათვის ვცოცხალვართ? ¹ საგამომ-
ძიებლო კომისიას არც ის გამოჩნა მხედველობიდან, რომ
სოლომონი ლიტერატურულ ჟურნალს იყენებდა როგორც
ბრძოლის საშუალებას, რომ ჟურნალში ბეჭდავდა ისეთ მასა-
ლას, რაც დამპყრობელთა წინააღმდეგ გალაშქრებას ქადა-
გებდა, როგორც გ. ერისთავის „ოსური მოთხრობა“ იყო.

სოლომონ დოდაშვილი გარკვეული შეხედულებით მივი-
და შეთქმულებამდე, ეს ორგანიზაცია მისთვის საშუალება იყო
საქართველოს განთავისუფლებისათვის და ახალი სახელმწი-
ფოებრივი წყობის დამყარებისათვის ჩვენში.

სოლომონ დოდაშვილი მე-19 საუკუნის მოღვაწეთა ზო-
რის ყველაზე ადრე აჩვენებს ეროვნულ-განმათავისუფლებელი
ბრძოლის დასაწყისს. მან პირველმა აღიმალა ხმა ქართველი
ხალხის მთლიანობის დასაცავად და საქართველოს დამოუკი-
დებლობის მოსაპოებლად. სრულიად შეეფერება სოლომონის
მოღვაწეობას რუსი მწერლის რადიშიევის სიტყვები:

„Под игом власти, сей, рожденный,
Нося оковы позлащенные,
Нам вольность первый прорицал“.

4

სოლომონ დოდაშვილის წერილები იონა ხელაშვილის
მზრუნველ ხელს შეუკრებია და თავი მოუყრია დიდ ხელნა-
წერ წიგნში. წარმოდგენილი წერილები დატულია სხვადასხვა
ფონდებში. ხელნაწერები № 2226 H და 1532 S, საქართვე-
ლოს სახელმწიფო მუზეუმშია. ხელნაწერი № 2226 რუსეთიდან
დაბრუნებულ ფონდს ეკუთვნის. ეს ფონდი 1922 წელს ჩამო-

ვიდა საქართველოში, მანამდე საიმპერატორო ბიბლიოთეკაში ინახებოდა. კატალოგში იგი შესულია სახელით: იონა ბერმონაზონის ქადაგებანი და მიწერ-მოწერა, არიცხულია 397 ფურცელი და ყდაში ზის. იგი სხვადასხვა ხელითაა ნაწერი, ეტყობა 1828 წლის შემდეგ, შიგადაშიგ აკლია ფურცლები. გადაწერი თვით იონა ხელაშვილი არ არის, გადაწერაში მონაწილეობა მიუღია ცნობილ მესტაჰეს გიორგი დავითის ძე პაიჭაძეს. პაიჭაძეს იონას დავალებით, თუმცა არა კალიგრაფიულად, ბევრი ხელნაწერი გადაუწერია და გადაუთეთრებია. იგი თურმე სამ წელიწადს იონასთან მუშაობდა ამ საქმეზე. გარდა პაიჭაძისა, იონას სამუშაო შეუსრულებია ვინმე დიაკონ პეტრეს, რომელიც იონასთან გაუგზავნია 1827 წელს დედოფალ მარიამს. გიორგი პაიჭაძეს იონა ხელაშვილი სწერს: „ეგრეთვე უმაღლესისა დედოფლისა მარიამ კაცია დადიანის ასულის წინაშე ვარ მეოხი ესოდენ, რომელნიცა თვითცა უკვირს უმაღლესსა დედოფალსა, რომელიც ხშირად მიბრძანებს შენის პატივისცემისთვის—უმეტეს მებრალეზაო. ესე რა ლანწყოვის სახლში მოხტული ჩემთანა და მითხარ სამის-ოთხის დღით ლოგინის დასადგმელი მიბოძოსო და მყისვე შევსთხოვე უმაღლესსა. ესე რა სამნი წელნი სდგებარ და გეძლევის თვითეულსა თვის თავზე ოცდახუთი რუბლი, სადილი, ვახშამი და ჩაი და ღვინო და იყი და სახლი, შეშა, წყალი და ყოველნივე საცხოვრებელნი. ეგრეთვე შვილისა შენისათვის მივაწერინე ველიკი კნიაზთან და მიიღო კოროპუსში და დღეს გამოუშვებს აფიცრად ესე რა ჩემის მხრით. მე ღმერთმან მიმანიჭა ძალი შეწყენად შენდა შევლითურთ“.

იონა ხელაშვილის ბიოგრაფიის შესახებ საინტერესო ცნობები გამოაქვეყნა ივანე ბარნაბიშვილმა 1911 წელს.¹ წერილში მოცემულია გენეალოგია ხელაშვილებისა, რომ ისინი წარმომადგარან ზემოხოდაშნელ მიხელაშვილთაგან. ისინი ყოფილან „სწავლულნი ფრიად საღმრთოთა წერილით, მეცნიერებით, მწიგნობრობითა და სრულისა მგალობლობისა ხელოვ-

¹ „სახალხო გაზეთი“, 1911, № 347—348.



ნებითა მშვენიერ და ტკბილად მგალობელ¹. იონა ზვინაძისა, გიორგი ხელაშვილისა, კახთა ჯარების წინამძღოლისა ლეკების წინააღმდეგ ომებში. იონა დაბადებულია 1772 წელს. ერეკლე მეორეს იგი მიუბარებია მეტეხის დეკანოზ იესესთვის.² ეს მომხდარა 1793 წელს, ხოლო 1796 წლიდან იონას უცხოვრია იოანე კალატოზიშვილთან. გიორგი მეფეს თავის მხრივაც შრომა დაუდვია იონას აღზრდისთვის. მისი შეწევნით იონას უსწავლია თელავში დავით ალექსიძესთან. 1802 წელს იონა იმერეთის გზით რუსეთს გასცდოლია იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილებს. პეტერბურგში მიტროპოლიტ ამბროსის შუამავლობით უსწავლია ალექსანდრე ნეველის აკადემიაში, რაც დაუმთავრებია 1812 წელს. სარჩოს იღებდა იმპერატორის ხაზინიდან. „თვისისა კაბინეთიდან... იმპერატორმან ალექსანდრე პავლეს ძემ, რომელმან საკუთარისა ხელმოწერისა უქაზითა წარმგზავნა წმიდის ალექსანდრე ნევესკის სემინარიისა შინა 1809, თთჳტჳსა აპრილსა 24, გარნა ეგზამენითა მიმიღეს ჭილოსოფიისა და ღის—მეტყუტელების კლასებსა შა და სურვილსა ჩემსა მოხედნა ღმან...“³ 1812 წელს აღიკვეცა ბერად დოსითეოს მწყემსმთავრის ხელდასხმით. იონა დაახლოვებულყო იყო ყველა დედოფალთან და ბატონიშვილთან. იგი დახასიათებულია, როგორც „... მოყვარისადმი სიყვარულის მოუკლებელი და სიყვარულსა შინა მშობლისა ჩვენისა უგულისმოდგინესი... პატრიოტი“. იონა გარდაიცვალა 1837 წელს. მას მრავალი ნაშრომი ეკუთვნის, უმთავრესად საღვთისმეტყველო ხასიათისა, თუმცა არანაკლები უმუშავია გრამატიკაში, რიტორიკაში, ფილოსოფიაში და სხვ. მის ხელნაწერთა ყდებზე ორმოცზე მეტი თხზულებაა ჩამოთვლილი³. იონა ხელაშვალი იშვიათი ენერგიისა და დიდი ცოდნის პატრონი ყოფილა, რაც აღბეჭდილია იოანე ბატონიშვილის „კალ-

¹ იბ. წინასიტყვაობა ხელნაწერში № 307 S და სხვაგანაც.

² იქვე.

³ იბ. ხელნაწერები მუზეუმში № 306, 307 S და სხვანი. იონას ნაშრომები ჩამოთვლილი აქვს აკად. კ. კეკელიძეს — „ქართული ლიტერატურის ისტორია“, ტ. 1, 1911 წ. გვ. 371—372.

მასობაში“. თავისი ცოდნითა და გამოცდილებით იგი მრავალ ქართველს დაეხმარა და მათ შორის სოლომონ დოდაშვილსაც.

კრებულებში, რომლებშიც თავმოყრილია წერილები, მოთავსებულია სხვადასხვა მასალა, უმთავრესად მიწერ-მოწერა იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილთან, რუსეთში მცხოვრებ მეფის წულებთან და დედოფლებთან, იონას ძმებთან რუსეთიდან საქართველოში და ძმისშვილებთან. კრებულშივეა შეტანილი ქადაგებანი, სოლომონ რაზმაძის მიერ თარგმნილი მასალები რუსულიდან, რამდენიმე სიტყვა, წარმოთქმული იონა ბერ-მონაზონის მიერ სხვადასხვა პირობებისა და შემთხვევის გამო. იქვეა მოთავსებული ქადაგება-„სიტყვა სიკვდილისათვის ცოდვილისა“ თარგმნილი გიორგი ჩუგუნოვის მიერ. უკანასკნელს თარგმანი წარუგზავნია იონასთვის, რადგანაც იგი „მსგავსად შრომისა მოყვარეთა ფუტკართა იკრებს ყოველთა უძვირფასესთა ნიჭთაგან“.

სოლომონ დოდაშვილის წერილთაგან ამ კრებულში (№ 2226) მოთავსებულია 35 წერილი, ერთი მათგანი ლექსი — აკროსტიხი იონა ხელაშვილისადმი მიძღვნილი, ერთი წერილიც ანა დედოფლისადმი. კრებულში მოთავსებული წერილები დაწერილია 1827 და 1828 წლებში.

მეორე ხელნაწერი № 1532—S შეიცავს ს. დოდაშვილის უფრო ადრინდელ წერილებს იონა ხელაშვილისადმი, კერძოდ: 1825 და 1827 წლებში დაწერილებს. ამ ხელნაწერის ხელიც შერეულია, მაგრამ ძლიერა ჰგავს წინა ხელნაწერის ხელს. მისი გადაწერა 1827 წლისთვის დამთავრებულია, რაც ფარსადან ციციშვილის მონაწერით ჩანს: „ტაები. წიგნი ესე ენახე უმდაბლესად მონამ, თავი ჩემი ვყავ თქვენდა მოსმენად: თავადი ფარსადან ციციანოვი, ჩყკზ-ს წელსა (1827) აპრილის თ-სა (9) დღესა“. მინაწერი ხელნაწერის უკანასკნელ გვერდზეა. ხელნაწერი ციციშვილების საგვარეულოს ქონება ყოფილა და შემდეგ პეტრე უმიკაშვილს ჰქონია. ამ უკანასკნელს სხვადასხვა გვერდებზე შენიშვნები გაუკეთებია, კერძოდ იმ წერილისთვის, სადაც იონა ხელაშვილი თავის ძმებს სწერდა, რომ იოანე ბატონიშვილი სწერს წიგნს 12 წელიწადია და წიგნ-



ში მე მალაპარაკებსო, რაც „კალმასობას“ შეეხებოდა. პეტრე უმიკაშვილი სწერს: „ეს წიგნი „კალმასობა“ დაბეჭდილია ჟურნალ „ცისკარში“ და ცალკე 1862 და 1867 წლებში. პეტრე უმიკაშვილი, ტფილისი, 1833 წ.“ პეტრე უმიკაშვილს იქვე მოჰყავს იონა ხელაშვილის დაბადებისა და გარდაცვალების წლები.

მესამე ხელნაწერი № 388 S (წერა-კითხვის საზოგადოების) ფონდისაა, მასში მოთავსებულია ათი წერილი. კრებულს ჰქვია „საქრისტიანო მოძღვრება“, ეს წიგნი იონას დაუწერია თავისი ძმისშვილებისთვის სახელმძღვანელოდ. „მოძღვრებას“ მოსდევს წერილების ტექსტი, დათარიღებული 1829—31 წლებით. ამ კრებულშივეა მოთავსებული ტექსტი იმ სიტყვისა, რომელიც სოლომონ დოდაშვილს წარმოუთქვამს 1828 წლის 6 ივნისს გიმნაზიელთა გამოშვებისას.

ამრიგად ეს წერილები ავტოგრაფები არ არის, ისინი სხვადასხვა გადამწერთა მიერ იონა ხელაშვილის დაკვეთით არის თავმოყრილი ნახსენებ კრებულებში. ალბათ ამის შედეგია ის, რომ ზოგან ტექსტებში შეცდომებსა აქვს ადვილი, იტყვები აკლია და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ ენა წერილებისა არქაულ—რიტორულია.¹ სოლომონი აუარებელ ეპიტეტებსა ხმარობს იონას მიმართ. ყოველი წერილის დასაწყისში სიამოვნებით და მოწიწებით იგონებს იონას კეთილ გულს და მოყვასთათვის გაწეულ დახმარებას. წერილებში ხმარებულია ნიშნები ჭ, ც, ჯ, ჴ და სხვანი, მაგრამ მათი ხმარება არ არის ყველგან დაცული. სადაც მოსალოდნელია ამათუიმ ნიშნის დასმა, იქ არ ჩანს, მათ მაგიერ ახალი ქართულისთვის დამახასიათებელი ასოებია ნახმარი. გადამწერს, როგორც ჩანს, ვერ დაუტავს სიზუსტე წერილების ტექსტისა. ჩვენამდე მოსულა სოლომონის ავტოგრაფები და დაბეჭდილიც, სადაც აწ არ ხმარებული ასოები წესიერადაა მოხმარებული.

¹ ერთი—კი უნდა აღინიშნოს: ს. დოდაშვილი ყოველთვის ცდილობდა ქართულ ენის სიწმინდის დაცვას. მას ამის ირ ვლივ პოლემიკაც ჰქონდა „სალოტერატურონი ნაწილნი“-ს ნომრებში. როგორც დაბეჭდილ მასალებში, ისე წერილებშიც ს. დოდაშვილი ქართული ენის სიწმინდის პრინციპული დამცველია.

ოთხიოდე წერილი ამოღებულია ცენტრალური არქივის საგანგებო საქმეთა ფონდიდან (ОБ 4) № 170, ესენი სოლომონის წერილებია ფილადელფოს კიკნაძისადმი და ავტოგრაფებს წარმოადგენენ.

ერთი წერილიც ამოღებულია გ. გოზალიშვილის მიერ გამოქვეყნებული მასალებიდან 1832 წლის შეთქმულების შესახებ.

ნახსენებ კრებულებში მოთავსებული წერილები გამოქვეყნებული არ ყოფილა. აქა-იქ დაბეჭდილია მხოლოდ რამდენიმე წერილის ნაწილი.

იმ ხუთიოდ ათეულ წერილს ნათელი შეაქვს ს. დოდაშვილის ბიოგრაფიაში და უფრო გარკვევით წარმოგვიდგენს იმ ადამიანის ცხოვრებას და მოღვაწეობას, რომელიც გასული საუკუნის 30-ან წლებში შეეწირა საქართველოს განთავისუფლების საქმეს.

სექტემბერი, 1940 წ.

თბილისი.

P. S. ეს ნაშრომი დიდი ხნის დაწერილი და უკვე სტამბაში იყო გადაცემული, როცა გამოქვეყნდა წერილები ს. დოდაშვილზე: გრ. კალანდარაშვილისა (ქურნ. „მნათობში“, 1942 წ., № 4) — „სოლომონ დოდაშვილის „ლოგიკის“ შესახებ“, სადაც განხილულია საკითხი ს. დოდაშვილის ფილოსოფიური აზროვნების წყაროების შესახებ და ალ. ქუთელიასი (გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1944 წ. №№ 31, 38 და 39) — „ნ. ბარათაშვილის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა“, რომელშიც ლაპარაკია ს. დოდაშვილის როლზე ნ. ბარათაშვილის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის გამომუშავებაში და ს. დოდაშვილის შესახებ („კომუნისტი“, 1944 წლის 1 ოქტომბერი) — „გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსი“.

ს. ს.

საქართველო

1. იონა ხელაშვილისადმი

ლირსო მ[ამაო] მ[ღვდელ] მ[ოდღვარო] იონა და სულეირო
სულისა წმიდისაო!

სიტყუანი თქვენი, სიტყვისა მის ჩემისა გება, მივიღე
კელითა ეკლესიის მცემლისათა, და იყავნ ესრეთ; გარნა, მა-
ქტს მიცემული სიტყუა პროფესორთან, რათა ყოველს შაბათს
მიიღოს შრომისათვს, სრულად თხუთმეტი რუბლი, მე ვიწყე
სწავლა ამ თთვს ექტსსა. მაძლევს სამშაბათს, და შაბათს, ორ-
ორ ჟამსა, ორის კვირისა ვივასხე, და შემდგომისათვს არ ვუწ-
ყი რაჲ ვჰქმნა, და აქ არა ძალ-მიძს ვასგანმე ვასხებად; არა-
მედ თქვენ გთხოვ ჩემთვს იზრუნოთ ვიდრე შესრულებადმდე
სწავლისა, გინა კაცად შემოსლვადმდე ჩემსა, ყოველი შრომა
თქვენი და წარსაგებელი ჩემხედა რანიცა დათესილან და იქ-
მნებიან დათესილ, ყოველნივე კეთილად მოიმკიან და არა ბო-
როტად წარხდებიან, ჭეშმარიტებით ირწმუნეთ, რომელ სახე-
ლის დადება თქვენი ჩემხედა უკუნიით უკუნიისამდე იქმნების
ხსენებულ ქტყუანასა-ზედა და უმეტეს ცათა შინა.

წინამდებარე წიგნი ესე აღსრულდების, ჭეშმარიტი სი-
ტყუა ღისა და აღიწერების იგი მას ჟამადმდე, რომელ
თქტუნ გიბრძანებიათ, ესე იგი, ვიდრე შობის მარხუადმდე, და
აღამსა¹ ზედაცა გმეცადინებ განმხნობად გინა განღვიძებად
ესე ვითარისათვს აღვსწერე ვიდრე ას მეთა ჩვიდმეტე პარა-
გრაჟამდე.

ჟამსა წიგნისა მიღებისასა იმყოფებოდა იონა ბატონის-
შვილი² აქა, და ყოველივე მიუთხარ მისად შესაბამნი, გინა
რანიცა ეკუთვნოდნენ მას წიგნსა, ანუ ავთრათსა შინა თქვენ-
სა, და მიიღო კეთილად, მაგივრად მანცა თაყუანის ცემა გი-
ძღტნათ და გვრეთტჲ სხტათაცა უგანათლებულესთა, რომელ-
ნი იყვნენ ერთბამად ბატონ ბატონის შვილის³ მოსახელის
დღესასწაულსა შინა.

სხტებრ აქა ყოველი კეთილ და ეგე თქტუნცა მშვიდო-
ბით; ვითხოვ მოტევენასა დიდ სულობისა თქვენიისა მიერ ჩემ
ზედა და კტალად ვითხოვ, რათა არა განგრძელდეს დრო, ვიდ-
რე მოსლვადმდე თქტუნისა.

თქვენი ღირსების პატივის-მცემელი მოწაფე თქტუნი

სოლომონ დოდაევი

ივლისის 10-სა, 1825-სა წელსა.

2. მ ა ს ვ ე

თქვენო ღირსებავ მ. მ. იონა!

უმოწყაღესო მამაო და მზრუნველო საღმრთოო!

გამოიხატებიან სულსა შინა ჩემსა ესოდენ დიდნი უხუც-
ბანი სოფლის შემოკმედისანი, და მისი მიუწოთმელი განგებუ-
ლება, რომელიცა დანთხეულ არს ყოველთვის კაცსა ზედა და
უმეტესად ჩინებულსა ამას ღღესა, რომელსაცა ინება მოვლი-
ნება მხოლოდ შობილისა უწინარეს საუკუნეთა ძისა თვისისა
სოფელსა ამას შინა, არა მხოლოდ გამოხსნისათვის კაცობრი-
ვისა ნათესავისა ცოდვისაგან, არამედ ყოფადცა ჩვენისა ნა-
წილად საუკუნოჲსა თვისისა დიდებისა, ვგრძნობ გულსა შინა
ჩემსა ესრეთთა უსასიამოვნესთა აღტაცებათა, და მყოფსა აღე-
სილთა არა ძალ-მიძს, რათა განუცხადო ესოდენ დიდნი და
ძლიერნი კმანი სიხარულისა და განცხრომისანი უკეთუ არა
მას, რომელსა ესმის ფასი ღღისა ამის, არა მასაა? რომელი
უხვითა მოწყალებითა სიბრძნისა და სიმართლისათა, სიყუა-
რულისათვის მამულისა, სარგებელად სულისა და კეთილ-
დღეობისთვის მემამულეთასა! გარდაჰყენს თვისსა მზრუნველო-
ბასა და მფარველობასა.

და ესრეთ სიბრძნის-მოყუარეო ღვთის—მეტყუილო და
ქართულოთა სიტყვერებისა მამაო! აღმასრულებელი ღღესა
ამას შინა, მიუწოთმელისა სიხარულითა მოგართმევ თქვენსა
ღირსებასა უუმწუპრვალესსა მოღოცვასა ჩემსა, რათა ამის
მიერ განვაცხადო ვალი მადლობისა და, ვსთხოვ აწინდელსა
ამას ღღესა შინა შობილსა ქრისტეს ღმერთ-კაცსა, რათა იხა-
როთ დაუღვენელითა მოწყალებითა მისითა განმრავლებასა
შინა ღღეთასა, და აღუყავებასა წელთასა ბედნიერებისათვის
ჩვენ მექუცუნეთასა უკუნიით უკუნისამდე, მრავალ ჟამიერ.
[თ. ლ.—ასომთავრულით]. 1825-სა დეკემ. მოწყალისა მოძღუ-
რისა უუგულითადესი მსმენელი მოწაფე სოლომონ იოანესი
დოდაევი

სანკტ პეტერბურღსა.

ინებე, რომელი შენ-მიერ ჩემდა სულიერ-ქეშმარიტ-
მზისა მხილება,
 ორობა მის ბრძნისა სოფლად ჩქებნება,
 ნეტარი ჩქებნთვის კსნად სოფლისა-მოქმედება,
 არსება უზესთაესი არს თქქუნდა ყოველი უწყება.
 სიტყუა პირტული მამისა-თანა ერთ-ღმთაება.

დოდაევი

3. მ ა ს ვ ე

ღირსო მამო მ. მ. იონა და ბრძნო ყდ ბრძნისაო!
 სულისა-მიერ განათლებულს და წმიდას მარჯტნასა
 ზედა ამბორ-ვჰყოფ სიტკბოებითა სიყუარულისაჲთა, დი სუ-
 რვილითა სულისათა, და ჩემს სრულიადსა გულითად პატივის-
 ცემასა განვაცხადებ თქქუნდა მამო.

შემდგომად იუწყებთ ჩემ შეწყალებულისა, ესრეთვე
 ვჰგიე, ვითარცა უწყით... სასჰენელი ჩემი შეერულ-არს მსგავ-
 სადვე უწინარესისა და ტკივნეულებაჲცა მცირე მცირედტჲ
 ამასთანა, უკანასკნელ თქქუნ ბრძანდებოდეთ სიცოცხლით
 უკუნისამდე, მშვიდობისათჳს და კეთილ-შემთხტვისა, ანუ
 ღიდებისათჳს და სახელ-ყოფისა მემამულეთასა გინა მექტჲ-
 ყნეთასა, და მე ვსდგე გზასა ზედა თქქუნსა.

9 თებერტალს 1826

თქქუნი სულიერი შვილი

ს. დოდაევი.

4. მ ა ს ვ ე

ღირსო მამო მ. მ. მ. იონა,

უმოწყალებსო კელმწიფევი!

მომლოდე ვიდრე აქამომდე აქარე ხილვისა თქქუნისა ვარ
 ონცებასა შინა; ვინაჲთგან დამიტევით უხილავ მე მდებარე სა-
 რეცელსა ზედა სნეული სენისაგან სენთასა, როშელსა მაკლის

სასმენელი და სახილველი მტკივნეულებისა გამო თავისა, ათი
დღე შეუძლებელი საქმობისა, გუშინდელისა დღიდან ღამესა
ამას მკურნალმან დამაკრა შპანსკი მუხა, რომელი იდგა ჟამ-
სა ცამეტსა და მეთოთხმეტესა აღიღეს, მივიღე მწუხარება
დიდ ფრიადი და მრავალი წყალი და სისხლი მედინა, ნივ-
თიერება ყურიდან მოდის წსგავსად უწინარესისა, გარნა თა-
ბრუ არ მეშტება და დიდად მიშლის საქმობასა და ხილვასა,
წამსა ერთსა ვიხილავ და მეორესა ვერა; უკანასკნელ ესტჳა,
ესრეთ მიზნელდება თჳალი, რომელ არ ძალმძის ერთი მეო-
რისაგან განრჩევა, და ერთის სახლიდან მეორესა შინა განსტლა
არა ძალმიძს თავბრუხტჳვისა-გამო; უკეთუ ინებებთ გამობრ-
ძანებასა, ვითხოვ ღჳთის-მეტყჳტლებისათჳს ჭალადსა.

მ. მამაო მარადის მორჩილი მოწაფე ს. დ.

მარტის 9. 1826 წელსა

მ. მ ა ს ვ ე

ღირსო მამაო მ. მ. მ. იონა,

უუმოწყალესო კელმწიფევ!

გუშინ, ჟამსა მეშვიდესა, შემდგომად საშტალისა დღისასა,
ესმა ყურსა ჩემსა კმითა ჰედართაჲსათა კმაჲ ფედ ჩემდა სამ-
წუხარო, რომლისა-გამო გამოჩნდა მსწრაფლ გრძნობათა შინა
ჩემთა ნიშანნი მწუხარებისანი, უკეთუ მართალ არს შემთხტჳვა
თქჳნდა მამაო სნეულებისა რაჲსამე, თუმცა ჟამსა მასვე მსურ-
და ჰეშმარიტნი ცნობანი, გარნა არათუ მაშინ, არამედ დღე-
საც ვერ შემძლებელ-ვიქმენ რომლისამე წარმოგზავნასა, და,
ვერა რაჲმე საშუალობა მოვიძიე გარდა უმაღლესისადმი თხოვ-
ისა და ესრეთ მცირედ გამოვხატავ მხოლოდ თხოვასა, რა-
თა ჰყოთ ცნობა ჩემდა მოწაფისა.

თქჳნო ლ. თქჳნი მორჩილი და მსმენელი

მარტის 22-სა 1826 წელსა.

ს. დოდაევ.

6. მ ა ს ვ ე

თქვენო ღირსებაჲ მ. მ. მ. და მოძღუარო იონა,
უუმოწყალესო კელმწიფევ!

მაკურობეველსა ჩემსა წმიდას მარჯუენას უამბორებ!

აჰა, უმაღლესნი ძალნი გონებისა და სულისანი აღსდგნენ და წარმოსდგნენ მიდრეკილებისადმი ჭილოსოფიურთა სწავლათა განათლებისათჳს გულის-კმის-ყოფისა და სიტყუათა სამკვეროთა გამოხატჳსთჳს გულისა, რომელიცა სიმდიდრე ენისა არს სიმდიდრე გულის-კმის-ყოფისა, წარმატებანი სწავლათანი ჰმოწმოებენ საზოგადოდ აღმატებასა კაცობრივისა გონებისასა, და წარმატებანი ენისა და სიტყუერებისანი ჰმოწმოებენ აღმატებასა ერისასა, გამოცხადდებიან ხარისხნი განათლებისანი, აღივსებიან გრძნობანი, განვრცელდებიან სიმგრგვალენი გონებისანი შეხედუთა მოქმედებულთა მშუპნიერებათადმი.

კაცო ბრძენო, მოძღუარო და მასწავლელო ჩემო სწავლათა სხჳსა და სხჳსა ტალანტითა, ზეცისა და ქუჩუანისაო! თქვენ დამერწმუნებით, რომელ მე მტკიცედ მიჰყრიეს და ნამდვლ აღვასრულებ ყოველთა სწავლათა თქვენთა კეთილმოქმედებითა და სიმშუდითა, და შეუდგები კანონთაცა და რჩევათა, მე განღვებულ—ვარ თქვენისა მეტყუტლებითა, ვითარცა სიტყუერ, ეგრეთჲ წერილთამიერცა მიმართჲად ესოდენ მაღლისა და კეთილშობილურისა სწავლისადმი, მზრუნველობით თქვენითა ვიზრდები, გარდა მოძღვრებისა თქვენისა ბუნებითსა ენასა-ზედა ჩემსა სხჳათაცა მოძღვართა დაკავებითა საგანთათჳს ენასა-ზედა ევროპიისასა, რომელნი საკიროებენ მაღალნი ცნობანი უნივერსიტეტსა—შინა, მე განღვიძებულმან მივხედე რა ჩინებულთა ამათ საქმეთა, რომელნიცა ამალდებიან და განდიდებიან; თხზულებათა შინა თქვენთა ვიხილე კეშმარიტება სიბრძნისა, რომელი მისწრაფებით აღამალდებთ ზენა ქრისტიანებრსა სარწმუნოებასა და გამოავლენთ დარღვევასა განდგომილთასა; ვიხილე ღთის—მეტყუტლებასა —



შინა თქტუნსა, სული ამალღებული, გონება განდიდებული და გული განცხადებული და ხარაკტერი მარცვლისა მშტუნიერ—მსიტყუელი ჭეშმარიტებისა; მომეცა ცნობა საშუალობითა თქტუნითა და იუწყა სულმან ჩემმან გარეგანთა გრძნობათა მიერ გარდაბეჭდითა სოფელი ესე, და მიზეზი ამისი, მდგომარეობა ერთა საზოგადოობისა პოლიტიკებრი, ზნეობითი მოქცევა ურთიერთაშორის, ხარაკტერი სხვისა და სხვისა ნათესავისა, მოქმედებანი მათნი გამობრწყინდებიან უშუაღლესსა ხარისხსა-შინა სიბრძნისასა, რომელნი აღაშენებენ მეცნიერებასა და განაშტუნებენ ენასა დიდითა სიმდიდრითა ლექსათათა. ქუხს და სკექს მთასა-ზედა მაღალსა ჩინებულება მწერალთა და პირსა ზედა ყოვლისა ქტყანისასა განითესების კმა უკვდავებისა მათისა, ესე იგი ძტპლსა ზა ენასა ბერძენთასა: არისტოტელი¹, ლონდინ², დიონჯისიოს ლალიკარნასელი³, ათინელი დემოსტენ⁴; რომაელთა: ციცერონ⁵, კვინტილიან⁶; ახალსა ენასა ზედა; ფრანციისა: როლლენ⁷, ბიტტე⁸, ლალარნ⁹; ანგლიისა: ბლერ¹⁰; ნემეციისა: ეშენბურდ¹¹, მოას¹²; რუსეთისა: ლომონოსოვი¹³, რიესკი¹⁴, კარამშინ¹⁵, და სხჳანი ჩინებულნი მწერალნი იკმევიან უკუდავითა სახელითა.

ხოლო საგანი ჩემი მხოლოდ არს ესე, რომელ მიძხედმან სულმან ჩემმან სიბრძნისა მათისა და ესე ვითართა სხჳათაცა ჩინებულთასა განიღვა მწყურვალისა სურვილითა, წარმოსდგა გამოხატჳასა-შინა ჩემსა ძალი მის სულისა, რათა სდგეს მხოლოდ გზასა ამას ზედა.

მამაო სულისა ჩემისაო! მე სათნო შემდეგი სწავლისა თქტუნისა, თუმცა ვარ დადგენილ თქტუნ მიერ მათისა უგანათლებულესობის მეფის ძის ზ.¹⁶ ძეთა-ზედა მასწავებლად, კეთილმოქმედება ესე ჩემთვის სასეფურო და სახალისო-არს, რომლითაცა ვრაცხ თავსა ჩემსა ბედნიერად ესე ვითარისა მოქმედებისათვის და აღვასრულე თანამდებობა ესე ჩემი ამ დროდმდე, რომელი მდგომარებს მეორესა წელსა, შრომაჲ ჩემი მაქტნდა უშურველ მეცადინეობასა-შინა, გარნა აწინდელნი შემთხჳულებითნი მიზეზნი მომცემენ დაბრკოლებასა მზგავსადეე მოქმედებად და, უკეთუ ინებებთ თქტუნ და მშობელნი



მათნი, შრომასა ჩემსა არარად აღერაცხ მათთჳს, და მუნ^{გან} ვჰვლი მისაცემად სწავლისა არა ნაკლებითაჲე საქმითა ორ-
ჯელ, და ოდეს მეცლება სამჯერცა კვირაში. მიზეზნი:

1) სიშორემან გზისამან შემამთხვია ვნება სნეულობითა;
2) სნეულობისა ამის გამო ვიქმენ შეპყრობილ სამი თთჳს და
უმეტესცა; 3) ამის გამო დავშთი უკან და მოვცდი საგანთა,
მასწავლელნი მოუთხრობენ, „დღისა დაკლება განაგრცობს
წელიწადსაო“; 4) ყოველსა დღესა თანამდებარ მუნ ყოფად;
5) მრავალნი საგანნი გარდამოიცემიან და წელსა ამას მომა-
ტებულ; 6) დროჲ შემოკლდა და უკანასკნელისა ეგზემენიისა
მომზადება თანა მადს და; დასასრულ ვთქჳთ, მე ვარ კაცი და
მეშიშჳს, რათა სული ჩემი არა იცჳდლოს სხჳთა და სხჳთა გა-
რემოებათა მიერ, რომელსაც ეწინააღმდეგების თჳსებანი პირ-
მოთეთა კაცთანი:

ამისთჳს გაგებდავ თქჳსნისა ღირსებისადმი მამაო! ინე-
ბეთ ცხოვრებაჲ ჩემი იმპერატორის სასწავლებელსა-შინა, რა-
თა ვისმინო გარდამოცემანი სხჳთა და სხჳთა პროფესორთანი
ყოველსა-შინა დღესა.

და ესრეთ იჰყარით სწავლაჲ ჩემი სადიდებელად სახელი-
სა თქჳსნისა, ვითარცა ცათა-შინა წინაშე მეუფისა, ეგრეცა
ქჳსყანასა-ზედა წინაშე ყოველთა შემდეგთა სიბრძნისათა.

ამასთან წარმოვაღვლენ დაწერილსა ხუთსა რჳტულსა
ღვთის-მეტყველებისასა.

ვგიე სრულიადსა ქეშმარიტებითსა პატივის ცემასა შინა
ყოველთჳს მოწაფე თქჳსნი სოლომონ დოდაევი.

მარტის 27 დღესა 1826 წელსა, სანკტპეტერბურლი.

7. მ ა ს კ ე

თქჳსნო მაღალღირსებაჲ! ქრისტე აღსდგა!

სიხარული იგულისხმევის ჩჳსულებითად ჟამსა მას, ოდესცა
მივიღებთ სასურჳტლსა კეთილსა, ანუ განთავისუფლებასა რომ-
ლისამე უბედურებისასა.

5. მასალები საქართ. და კავკ. ისტ-სათვის, ნაკვ. II, 1944.



დღესა არა ესე ვითარი ჩქედრი გამობრწყინდებისაა? არა ღირს ვიქმენითა ჩნ სიმრთელით ხილჭასა დღესასწაულისა ამის ძლიერისა და დიდებულისასა? ვინაჲთგან უმაღლესობს დღესასწაული ესე ეკლესიისა ჩქნისა, გამოხსნისათვის ცოდვისა ჩქნისა და მომზადებისათვის საუკუნოვან ცხოვრებისა ჩქნისა, აწინდელსა ამას დღესა აღსდგა გუშინდელი ვნებული, აღსდგა საფლავისაგან ყოვლითა ძალითა და დიდებითა, და ყოველი სული განსტყნებული მისთანა, ყოველნი ქრისტიანენი ვიხილავთ სიტკბოებასა გრძნობისა ჩქნისასა, სიხარულსა სულისა და გულისასა, რომელი დღეს შთაიბეჭდების მას შინა განმადვიძებელად ზნეობითისა განათლებისა, დღეს მივიღებთ ზეციურსა სიხარულსა და გამოუთქმელსა კმაყოფილებასა, დღეს მიუთხრობენ ყოველნი სულნი ურთიერთ დიდებასა აღდგომისასა მშტქნითა კმითა სიხარულისათა, დღეს შეემთხტვიან აღტაცებულნი გრძნობანი შეერთებულად, შემოკლებულად ვსთქვა: დღე ესე დღესასწაულთ დღესასწაული არს დიდებულ და ამაღლებულ ყოველთა ქრისტიანეთათვის, იხილეთ გუშინ რა იქმნა, ხოლო დღეს რა გვესმის, რას ვიხილავთ, რას ვგრძნობთ? რას ვდღესასწაულობთ? მაცხოვარი ჩვენი აღსდგა.

აჲ კაცა ჩემი მეტყუტლებს მიუწთომელსა სიხარულსა ესე ვითარისა სმენისათვის წინაშე თქტნისა მაღალ—ღირსებისადმი მოლოცვითა თქტნისა განთავისუფლებისათა და ყოა ბუნებათა მოყუასთა ჩქნითასა. და მან ძალმან აღდგომისამან აღაყუავოს დღენი თქტნნი სიხარულსა და კმაყოფილებასა შინა ჩქნისა ნუგეშის—ცემისათვის უკუნიითი უკუნისამდე ამინ.

თქტნისა მაღალ-ღირსებისა მორჩილი მოწაფე

სოლომონ დოდაევი.

აპრილის 18-სა დღესა, 1826-სა წელსა, სანკტპეტერბურლით.

8. მ ა ს ვ ე

თქტნო ღირსებაჲ მ. მ. მ. იონა და მზრუნველო მამობრივ!

დიდ ფრიად აღმამკობელი და განმადვიძებელი სულისა, მარგებელი გონებისა, და განმანათლებელი გულისა ჩემისა, ავ-

თრათი თქვენნი მივიღე კელითა მათის უგანათლებულესობის
 მეფის ძის ბაგრატის ძის ნიკოლოზისათა, რომელმან მიჩუ-
 ნა ჭეშმარიტი ყდი მოძღვრება სიბრძნისათჳს, რომელი იყ-
 რობს შიშსაცა ღმრთისასა და მტყიცედ დადგრომასა ჩემსა
 სარწმუნოებასა ზედა, და სხუათა მრავალთა მაგალითთა შეი-
 ცუტამს იგი ცნობისათჳს ჩემისა, ყოველთა ამათ ცნობათა აღად-
 გინეს გულსმოღვინება, წარმოადგინეს გონება, და აღძრეს
 ძალნი გულის-კმისყოფისა ჩემისანი განუცომად ძვრფასისა
 ამის საქმისა წინარე ამისსა, პირუტყლსა ავთრათსა შინა თქვენ-
 სა მაცნობეთ პირი ყოვლისა ქრისტიანისა, რომელნიცა იქადგიან
 დაფუძნებულთა სწავლათა სასიბრძნოთა და ყუთავილოვნობს ყო-
 ველი ქრისტეს მისახელე ერი, ესრეთ ვსთქუა, რომელი ქუხს და
 სტეკს, ამასთან ყოველთა დაბადებულთა სიტყვიერთა და უსი-
 ტყოთა ცხოველთა შრომანი მამხილეთ, რომელნი იღვწიან
 დღითი დღედ და ჟამითი ჟამად მადიდებელნი ღმრთისანი იკ-
 რეფენ თავთა თჳსთათჳს და საზოგადოობისათჳს ყოველთა
 საქმეთა, აწინდელსა ავთრათსა შინაცა მაცნობეთ ესე ვითარ-
 ნი და ბევრეულნი ცნობანი სწავლისანი ისტორიებრ აღწე-
 რილნი, ფილოსოფიისა, ღმრთის-მეტყულებისა და მატემატი-
 კისა გამოხატუანი. ორთავე ამათ ავთრათთა შინა გარდმოცე-
 მულნი ვსცან იგინი ყოველნივე, და ესრეთ დაიდუბა საფუძვე-
 ლი თქვენ—მიერ ჩემ—შორის სწავლისანი და მზრუნველობა-
 ნიცა თქვენნი არიან დიდ ფუძე კეთილნი ჩემ-ზედა, რომელთა-
 ცა ვგრძნობ ჩემ-შორის და ესრეთთავე ხატითა ნიადაგ იწარ-
 მოებს შთაბეჭუდითა ხატებთა შინა ჩემთა დიდ—ძვრფასნი
 საქმენი თქვენნი, რომელი მივმღებლობ ცნობასა სიბრძნისასა
 საკუთრითა მზრუნველობითა და გზასა—ზედა ძლომითა თქვენ-
 ნითა და მეცა აღვსთქუამ წინაშე თქვენსა ქრისტიანებრ,
 რათა მოძღვრებათა თქვენთა და საქმისა ცნობათა შთაბეჭ-
 დავ სულსა შინა ჩემსა და შეუდგები მას ყოველთვის. კუალად
 მოწყალეო მამაო! მიბრძანებთ სოლომონის ძის მიხაილის²
 აღზრდასა, უკეთუ ღმერთსა ნებაეს არა თუ მას, არამედ ყო-
 ველთა შთამამავლობათა სახლისა თქვენისათა სიცოცხლესა
 შინა ჩემსა მივიღებ მეცადინეობასა შეძლებისა-მებრ ჩემისა და

აღვასრულებ მათზედა წინადადებასა ამას თქვენსა, სარწმუნოდ ბრძანდებოდეთ.

ამ თთვს 13, იწყო აღამიან³ ქადაგებისა წერაჲ ჩემთა-
 ნა, მივეც გეგმი, წარვგზავნე თვსად სახლად, და აღმიტქა
 მეცადინეობა და გულს-მოდგინეობა, წარმოგზავნილი ხუასტაკი
 სრულად მივიღე, თუქა მე მაქჳნდა საკიროება, გარნა აღამ-
 საც ესე ვითარივე და თვს თვსი ნაწილი მივიღეთ, რომლი-
 სათვს დიდსა მადლობასა ვავლენთ, მეცა აღვსწერე ღმრთის-
 მეტყუპლება ვიდრე ასოცდათჳრამეტადმდე პარალრაფი 138.
 ვაქებ და ვადიდებ სამებასა პირებით და გჳამოგნებით და-
 მტკიცებასა, რომელმან მიჩჳნა ცხადად მაგალითებითურთ
 და ვიმეცან მტკიცედ.

17 ივლისის უნივერსიტეტსა შინა იქმნა შემთხჳვა სა-
 ზოგადოჲსა გამოცდისა აღსაზრდელთა კეთილშობილთ პანსიო-
 ნისა, მინისტრნი იყჳნენ მუნ და სხჳანი მრავალნი ჩინებულნი
 კაცნი, ცერემონიამან. იწარმოვა ესრეთ: ჟამსა მინისტრის
 მოსჳლისასა იქმნა კმა ბგერისა საყვირთა და მას ზედა გა-
 ლობა, შდ შესხმა რუსული, ამასთან საგანი სჯულისა ღთისა,
 კდ სტატისტიკა, რიტორიკა, გინა რუსული სიტყვიერება.
 როსიის ისტორია, კანონნი რომისა და სამოქალაქო, მატემა-
 ტიკა, ფიზიკა, სამკედრონი სწავლანი, ლათინური ენა, ნემე-
 ცური და ფრანციცული, შემდგომად საგანთა ამათსოქჳა შესხმა
 მღჳდელმა მალისტრმან მალოვმა⁴ (შესხმა რუსული), კჳალად
 აღსაზრდელთა მიიღეს, რომელნიც მუნვე დაჴონენ ჯილდოდ
 წიგნები, და რომელთაც ჴეასრულეს კურსი, ექვსს მიცა მეთ-
 თე კლასის ჩინი და ოთხმა მათგანმან ოქროს მენდალიცა და
 რჳამან მეთოთრმეტე კლასის ჩინი, უკანასკნელ იქმნა გალობა
 და საკრავნი მშჳჳნიერ-ხმად, ესრეთ შესრულდა და ერნი მი-
 იქცნენ თვს თვსად.

მოწყალეო მამაო და მზრუნველო, სხჳბრ და-
 შთები თქჳნის ღირსებისა მორჩილი მოწათფ

ს. დოდაევ.

[1826 წ.].

9. მ ა ს ვ ე

მაღალ ღირსო მამაო, მ. მ. მ. უფოწყალესო
კელმწიფე იონა!

მყოფი აღრეულობათა ანუ აღშფოთებითა მოძრაობასა შინა სხეულისა ყოველთა კერძოთასა მიზეზთა გამო სხტა და სხუათა უსიამოვნოთა კატეხებათათა ე. ი. პირველად შედგენასა შინა ჩემსა მდგომარეობითა სხეულებისათა, მეორედ გარემოთა შემთხვეულებათა მიერ, რომელნიცა მიმცემენ საქმეთა შინა ჩემთა დაბრკოლებასა, წარვჰსწერ თქვენდამი უწყებასა ამას მოკლედ, მამაო!

ვინაფთვან თქვენ მიერ ანუ გამო მიყვანილ-ვიყავ სასოებასა შა (იმედსა), რომელმანცა ვიპყარ საქმეცა ეგრეთ, მე ვჰგონებ უწყით, რომელ ყოველი საქმე ჩემი არს მას საგანსა შა, რათა არა იცხალოს არცა ერთითა წერტილითა, გარნა გამოხატუასა ამას შინა შინაგან სულისა ჩემისასა ვქმენ მრავლითა ცთომითა ცვლილებათათა, რომელნიცა ვნებად შემეგრაცხებიან მრავალთა გარემოებათა შინა; 1) გასსჯასა შინა სიბრძნისასა; მომავალსა სამშაბათსა იწყების გარდამოცემა საგანთა და ამასთან რეპეტიციანიცა გინა ეგზამენნი, რომელიცა დაჰვითი უქონელობისა შინა მრავალთა საგანთასა მოუშაღებელ; 2) განსჯასა შა მომცემთა სიბრძნისათა, იგინი არა კმაყოფილი არიან ჩემ მიერ, ვინაფთვან ჯერეთ არა რაჲსა სამსახურსა ჩემსა იხილვენ საქმითა რაფათმე; 3) განსაჯასავე შა ვასხ მომცემთასა; ესე შეადღენს ფრიადსა უპატიოებასა კაცისასა ზნეობით და ბუნებით მე ვჰყავ ღებულ მათთვის ნიშნად დრონი და ვჰცხალებ მრავალჯერ, ხოლო მათ ვიხილავ თვით იწროსა მდგომარეობასა შინა, და არა ესრეთ იგინი აზმნობდენ ჩემ შა, რომელთა არღარა დარწმუნება ექმნებათ ჩემდა (იხილეთ რამეთუ მეგრულისა და სხტათა ვასხი შესდგების ვიდრე ათხუთმეტ წითელადმდე). ესე ვითარითა წარმოებათათვს მოგმართავ თქვენისა მაღალ-ღირსებისადმი ვედრსა ამას, რათა ჰყოთ სული ჩემი

თვსსა მდგომარეობასა შა, რომელიცა არს განკუთვნილი სა-
კუთრად თქტუნდამი ყოველსა ჟამსა თვსისა მოქმედებისასა.

თქტუნისა მაღალ-ღირსებისა მორჩილი მოსამსახუ-
რე ჭეშმარიტითა პატივის-ცემითა დავშთები მოწაფე
თქტუნი სტუდენტი სოლომონ დოდაევი.

აგვისტოს 14. 1826 წელსა, ს. პ. ბ.

10. მ ა ს ვ ე

მაღალ ღირსო მამაო მ. მ. მ. იონა,

უმოწყალებსო კელმწიფევ!

იქმენ ბრძენ ნათელ ბრწყინვალე სწავლათა,
ოვბაბა წყაროო მომდენელო კეთილთა,
ნაყოფ გამოძღებ, მეცნიერ წყურვილ-მომდინარედ,
არსთა არსებამან გყოთ სათნოებ სავესედ,
სახენი კეთილთა მომდინარებულ,
ურიცხველ ჩემდა არიან ხილულ,
ძალსა ბუნება და ზნეობა გულსა,
ღმრთისადმი აღძრავს ვედრებად თვს თქტუნისა,
ვერ-შემძლებელ-ვართ, არა ვჰყო ცხადად,
წუგეშ-საგრძნობელ ჩემდა მოქმედად,
იღია ჩემი მდგომარეობს მისად,
ხიტყვით წარმოვადგინო თვსება თვსად,
ოდესმე იქმნას კეთილი მემამულეთა საცნობლად,
ლოცუად ზედა ჰყონ და თუთ ჰქმნან მსგავსად,
ოცად ტრიქონად მოკლედ აქ წარვსწერ,
მაშინცა ჰსცნობენ მხოლოდ სახიერ,
ოდესმე აღრიცხტუნ სათნოს სახეთა,
ნადებსა თანა ვასრულებ ყოველთა დღეთა,
ამათდა ვავლენ მოლოცებასადა,
წინაშე თქტუნსა და ზემო წმიდას თხოვადცა.

სოლომონ დოდაევი.

სეკდემბრის 21-სა, 1826 წელსა, ქალაქსა პეტრეს
დიდისასა.

11. მ ა ს გ ე

მაღალ-ღირსო მ. მ. შ. იონა, უმოწყალესო
კელმწიფეგ!

შემდგომ დიდ ფულ ძლიერისა გრძნობათა შა აღტყინებულისა მწუხარებისა, მაქუს პატივი უწყებად თქვენდა ამისთვის მოკლედ, დღესა ხუთშაბათსა ამ კვირისასა სასმენელად ლექციისა დავჰყავ უნივერსიტეტსა შა, მუნ მიხაილ მკურნალმან¹ ზკითხა, რაჟსა ჰსტიკენეულობო! მიუგე ოდესმე მტიკენეულება თავისა, მან მიითხოვა ქალაღი და დასწერა რეცეპტი, ხოლო მუნითგან წარმოსრული მტიკენეულებითა თვსითა მოვედი სადგომად თვსად, წარგვზავნე ბარაკიელი² რეცეპტითა მოტანად-სამკურნალოჟსა, მოტანილი ვიხილე, რომელ იყვნენ შპანსკი მუშკი, აბჯი და ზეთი, ღამესა მას ვიდრე განთიადმდე მაქენდა კისერსა შა მუშკი, რომელმან მაცრემლა დიდად და აღძრა შედრგენილება სხეულისა ჩემისა, აღყარა ტყავი კისრისა, იწვის მსგავსად ცეცხლისა, მიდის ყვითელი წყალი მოუწყვეტელ მსგავსად მდინარისა და მე ვმწუხარებო უმეტეს შავისა დღისა, დიდ ფრიადსა სუსტობასა შა კუჭისასა, კისერი გამოუთქმელად აღრეულარს და ესოდენ ვაღს მატერია აღრეული, რომელ მეოთხედ სამოსი საცხე ვჰცვალე, ვჰცვალე და არა განიკურნების მსწრაფლიად, რომლისა გამო კიდევ ვიშიშვი ვნებულებასა, ვინათგან საშიშრად მკურვალე არს, აღმოვრგებელ ანუ აშლილ, რაჟსა ყოფად ძალ-მიძს მოკლებული საქმისა და არა რაჟობისა ცალიერ ყოვლით ურგ. და ესრეთ გთხოვ, ჰყოთ მაღალღირსო მამაო ყურადღება ჩემ ზედა, რათა განვიკურნო და არა წარიწყმიდოს ღვაწლი და შრომა თქვენი ჩემზედა. დღეს წირვაზედ უკეთუ გახლდეთ უბრძანეთ ერისთოვს შანშეს ძეს,³ რათა მწერალნი წარმოგზავნოს ჩემთან, მე წერად არა ძალ-მიძს ამ შემთხვევასა შინა, ეგების საქმე ესე სრულ ვჰყოთ და მივმართო სხტათა და გრძლად არა დაშეთეს; მამაო იონა, ამას მცირაკისა ავთრათსა შა აღმახსენდა ზეკითხუად თქვენი ცალიერობისათვს. კარტეზიანნი იტყვიან ლოლიკებრ ესრეთ,



უკეთუ არს ბუნებასა შინა ცალიერობა მაშა სათანადო აზრით, რათა არსებანი იყვნენ თვნიერ შინაგანთა ვითარებათა, გარნა ესრეთთა არსებათა არა ძალ-უძს ყოფად ბუნებასა შა, მაშასადამე შედგების, რომელ არა არიან ცალიერობანიცა. ხლასენდი⁴ ესრეთ შეიცავს: უკეთუ არს ბუნებასა შინა მოძრაობა, ჯერ არს რათა იყოს ცალიერობა, გარნა მოძრაობასა შა არავინ არა იიჭქცბის, ამის გამო შესდგების რომელ არს ცალიერობაცა. აწ უკუტ განსაჯე ტალანტითა თქვენითა წინააღმდეგ დადებადნი, ესე მე ვჰგონებ შემდგომსა ჭეშმარიტად; უკანასკნელ მშვიდობით და მას შა მტკიცედ ვსასობებ, რომელ ყოველთვის თქვენს ლოცვასა შა დაუფიწყებელ ვარ.

მორჩილი მსმენელი მარადის მოწაფე თქვენი
სულიერი შვილი სოლომონ დოდაევი.

ოკტომბრის 3-სა 1826 წელსა.

12. მ ა ხ ვ ე

მაღალ ღირსო მ. მ. მ. იონა, მოწყალეო მამაო!

აჰა, აღმომკითხველი უუპატეცემელისა ავთრათისა თქვენისა და მხილველი აზნობათა გამოხატულთა მას შინა მივიღებ არა ნამდვილ გამოცხადებად, გარნა განმაფრთხილებლად და განმამკაცრებლად. და მივმართავ მოკლედ ყურადღებასა ჩემსა გამოცდილებასა ზედა თქვენსა, თუმცაღა წარმოსდგებიან მრავალნი ძალნი სულსა შა ჩემსა ძმათათჳს.

იხილეთ მამაო სამარადისოო, აქ განსაზღვრებასა შინა ჩემსა წარმოებულასათჳს რაჟსამე შემთხვეულისა ნიადაგ ლიტონად აღმოჩენილარს და ესრეთ ნამყოფსა ავთრათისათჳს, რომელსა შა იხილვების ზმნა—ვიყავ, ლექსი ესე ამას ჟამსავე მესმოდა, გარნა იგი დაიდების არა საზოგადოსა მნიშვნელობასა შინა, ვითარცა თქნ აზნობთ, არამედ კერძოობითსა მხოლოდ საქმესა შინა, ე. ი. დროჲსა მნიშვნელი—ავგისტოს პირველისა რიცხვისა, იგი ნიშნავს ერთსა ნამყოსა და არა

მრავალსა, რომელმან განვლო, იგი ჰნიშნავს ერთსა თქვენსა
 ლექსსა, რომელი აღმითქვით მის დროასათჳს და არა ვრცელ-
 სა აზმნობასა, წერილი იგი იყო კერძოობითი და არა საზოგადო.
 აჰა, მნიშვნელობა მისი ნამდვილი; ბ, ოთხი მღვა ბრალ-
 ნი თქვენ მიერ დადებული ჩემდა არიან უსაფუძვლო და უმი-
 ზეზო; 1. იმპერატორის უნივერსიტეტი ¹, საკუთრად წოდებუ-
 ლი, არს ფ'დ მაღალი სასიბრძნო ადგიელი, რომელთაცა აქა აღ-
 რიცხუად შეუძლებელ არს; სადაცა სიძნელე სწავლათა მიიღებს
 მცირეთა მოსწავლეთა და ამის სიმცირისა გამო ეგზამენი არს,
 ყოველთჳს მმართველობასა შინა უნივერსიტეტისასა, რომე-
 ლიცა არს ეასილის ჰალაკსა შინა, მექესესა მწკრივისა და
 სტხოვრებენ მუნვე პროფესორნიცა და გეუფროსენი მისნი,
 ხოლო ორნი ესე განსვენებისა თთჳსნი წარსრულნი, დატევე-
 ბულ იყვნენ უმუშაკოდ და არცა ერთი ვინმე თანა მოსწავ-
 ლეთა ჩემთაგანნი იმყოფებოდენ უნივერსიტეტსა შინა და ამათ-
 დამი გარემოებაცა ჩემი იცვალნენ, ვინაჲთგან ვედრი ვჰყავ,
 რათა ეგზამენი მივცე და ამისთჳს ვამზადებ სწავლათა, რომე-
 ლი შემთხვეულ იქმნების აქავე; გარდა ამათა მუნ დგომი-
 სათჳს წარსაგებელი ჩემი არს რომელიცა არა მხოლოდ მისთჳს,
 არამედ უმეტესთა მრავალთა დიდ ფ'დ საჭიროთათჳს, მცირა-
 კიცა არარის შემოსავალი ჩემი. ერთისა მხოლოდ სიტყვითა
 არარაჲ იმოქმედების ანუ გამოხატუთა მოქმედებანი საქმენი
 და გარემოებანი მიზეზითურთ მიიღებიან განსჯასა შინა; 2:
 შეიძულისა დღეთა და ჟამთა ყოვლის დღისათჳს ვიხილავ,
 და უკეთუ გნებავსთ გარდაბეჭდვა ვჰყო ამათი სულსა შინა
 ჩემსა, მაშინ უნივერსიტეტსა შინა ათი წელი ყოფად ჯერარს.
 შესაძლებელ არსა რათა კაცმან თჳსისა ცხოვრებისათჳს ყოვ-
 ლისა წლისა შეიკრიბოს ერთსა წელსა რაჲცა საჭიროდ შე-
 ემთხვევის? ვგონებ შეუძლებელ არს; მაშასადამი ყოვლისა
 მისთვის მცირესა აჰას დროსა შეუძლებელ არს გარდაბეჭვდად,
 თვით უწყით, მღვენელმან ორისაჲმან, ვერცა ერთი შეიბ-
 ყრა, ესენი თჳსისა დროასათჳს დაიდებიან, ესე გუარნი
 დიდ ფ'დ საჭირონი არიან სემინარიისათჳს, ვინაჲთგან მისი
 მთავარი საგანი არს, ხოლო უნივერსიტეტს თჳსი საგანი

აქეს, დაღატუმცა ყოველსა აღმსარებელსა სარწმუნოებისასა ესაჭიროების, გარნა მას თვსი ჟამი აქეს; აქ ვარ გონებით წარმომადგენელ, პირითა მღალადებელ და საქმითა მსახურებელ მის მაღლისა, ესე კმა იყავნ ამისთვის; 3. ახლისა გასაღებისათვს ორი დღე არის. მიზნით და ბრძანებით ზიზღებასა, რომელი დამტკიცებასა არა რაჲსა ვიხილავ ესე ვითარისა უსაფუძვლო, უმიზეზო, უკიდუროჲსა მეტყველებისათვს. განჰსჯა ჩემი მომცემს გაბედვასა მართლად წარმოთქმად, რამეთუ ტყუილ არიან; უკეთუ მე მაქუს მეცადინეობა, რათა მემამულეთათვს ვჰზრომობ და საქმესა შინა ჩემსა ვაცხადებ თხზულებასა თქტუნსა, რათა შეემეცნენ ყრმანი ენისა ჩვენისანი, მაჲა ჰსჩანს არა სიშართლე ენისა ჩემისა სიძულილი; 4. თქტუნნი ნაყოფნი იგი უმაღლესნი და უჩინებულესნი ჩემ შორის ფრიად უუტკიბლესად გოლისა და ვერსადამე ფასისა დებად შეუძლებ მე და გამომიხატავს მე, რათა თხზულებათა გამოთქვენთა ფასგდა ივერიასაცა, ვინაჲთგან სხტათა ენათა ზედა არა არიან იგინი, და ჩვენ საკუთრად მთხზველი აღმოგვჩნდების ნათიად ივერიის, ინებოს უმაღლესმან, რათა იქმნან სხტათა მსგავს თქვენსა, რამეთუ ივერიას უმეტეს სრულება მიეცემის, რომელნიცა სიბრძნისა გამო სურველ არს; მე ვჰგონებ, ყოველსა ცხოველსა ძალ-უძს ცხოვრება სოფელსა შა და მეცა შემედლო საქართველოსა შა ცხოვრება, გარნა სიყვარულმან მამულისამან განმადვიდა, რათა სარგებლად ამისსა ოდესმე ნებითა განმკმულისათა ვიქმნა სწავლისა გამო და უხვება მოწყალებისა თქტუნისა ქმნილნი ჩემზედა მტკიცედ გარდაბეჭვდითა დამტკიცებულარს გონებასა შა ჩემსა აღმოუფხვრელად, რომელი ვიკრეფ სიბრძნესა მამულისათვს. შემდეგი თქვენისა მოძღვრებისა, თუმცა ჯერეთ ყოველნი მოქმედებანი ჩემნი იმყოფების თეორიულისა ჭეშმარიტებასა შინა დაფუძნებულ, გარნა უკეთუ ბრძენი ბრძენთა ინებებს, პრაქტიკებრსა შინა აღმოჩნდების ხელმძღვანელობითა თქვენითა და სახელისა თქვენსათვს თვსად დროსა გონება ჩემი წარმოიდგენს გამოხატებასა დთვისა სულისა და ამოვნებასა, ხოლო ნება სიშართლესა, სიმშვიდესა, სიწრფეობასა წმიდასა ჭეშმა-

რიტებასა და სათნოებასა, აი თვსება სულისა ჩემისა, რომელ-
ნი მიმიღია თქვენ მიერ და ამათ გამო იდიასა შინა ჩემსა
თქვენ კართ ბრწყინვალე სანთლად წინაშე ღმრისა, უმეტესად
ვიტყუ, არა თავისა თვისისათვის მხოლოდ, გინა ბედნიერები-
სათვის ვჰმუშავებ, არამედ სიყვარულისათვის მამულისა, რა-
თა ევროპამან ოდესმე ჰსცნა ივერია საშუალებითა წერილთა
სარწმუნოთა. მომიტევეთ უკანონო მოწერისათვის, ვინაჟთვან
ვჰსწერ არა სხტასა, არამედ მამასა ჩემსა სამარადისოსა, ყო-
ველთვის მსასოებელი და მონა

სოლომონ დოდაევი

განსჯასა შინა ჩემსა აწინდელსა საუკუნესა მაძიებელი
კაცთა მამულისა ჩვენისათა, წარმოვადგენ მე მხოლოდ თქნთვს
უაღმატებულესსა ხარისხსა შა ჩინებულებისა ღირსებასა და
სრულებასა შემძლებელობისასა სიბრძნეთა შა ნამდვილ ვიტყვი,
ვარ მწუხარე სიხარულისა თქვენისა. ნოემბრის 14-ს, წელსა
1826-სა.

13. მ ა ს ვ ე

მაღალ--ღირსო მამაო მოძ. იონა,

უმოწყაღესო კელმწიფევ!

ფიზიკო-მატემატიკებრი ავთორაითი თქვენისა მაღალ ღირ-
სებისა მივიღე რლსა შა [ვიხილე] მაღალნი ტალანტნი გონე-
ბისა თქნისანი ზეგარდამო ნიჭებულნი გამოხატვთა უძლურე-
ბისათვის სდ შემცტვლისა ერთისა ყდისა სხეულისა, სხტა და
სხტა სახეებრ, კერძოებრ და შევემცენ გარდამოცემულისა გა-
რემოებასა ყოვლით კერძო მოქმედებისასა, ესე იგი, ვა ფიზი-
კებრსა სჯულსა შედრგენასა შა კაცისასა, ეგრეთვე მათემატი-
კებრსა მოქმედებასა განფენილებასა შა, რლთა გამო დამერთო
დიდ ფრიალნი მწუხარებანი მომატებულ მწუხარებასა შა მათ
კტვთებათათვის გარეგანთა მავნებელთა, გარდა შინაგანისა
მდგომარეობისადმი გარდამეტებულად შესრულთა მისსა, რომ-
ელნი გამოვალნ მქისენი, ურგებნი გინა მავნებნი მატერიალნი



საშუალოებითა ბრძნობათა კაცისათა, რლთაგამო მოჰქცდებიანთა დალნი მოძრაობათა აღესითა ძარღვთა ძარღვაკთა, მუსკულათა და სხტათა; გარნა მტკიცე მსასოებელი წმიდისა წმიდათასა მოხარულ — ვარ ერთკერძ თქვენსა და ჩემსა მხოლოდ კორცისა უძლურებასა და სისუსტესა და არა მას შინა მთავრისასა, უმაღლესი და უდიდებულესი ძალი ყლთა ძალთა დიდ ფდ გვჰწყალობს, ვინათგან ესე ვითარისა კორცისა მოუძლურებითა უმეტეს ამორჩილებს სულისადმი და სულსა უმეტეს და უმეტეს განაძლიერებს და განამტკიცებს მოქმედებასა და გრანობასა მისსა, ხოლო ჩტჰნ მოგუნიტა გონებამან გონებათამან ნუგეში და მოთმინება ლოცვსა და დიდებისა მის მხოლოდსა და უშორეს საქმენი თქტჰნნი, რლთაცა მე ვჰგრძნობ მარადის უკუნისამდე, გჰყოფთ (იგი) ცხოველობითსა ცხოვრებასა შინა. მაღალ ღირსო მამაო, ჩვენ განვჰსაჯეთ ქვეყანისა ცალიერება მატერიათა შა, ვა იხილვების შეკითხვასა მიგებასა ზა თქვენსა და აწ უკუჰ მივმართავ ყურადღებასა ჩემსა მცნობელი ქტჰყანასა ზა ცალიერობისა სულთა შინა არსა ანუ არა? კითხტასა ამას ზედა მოკლედ ვიტყვ მამაო!

ცალიერობა არს ადგილი ცალიერი, ხ სულთა და ანგელოსთა არა ძალაუძსთ ადგილისა ქონებად და არცა მოძრაობისა, არამედ მოქმედებისა, ვინათგან, მაშასადამე არცა სულთა ანგელოსთა, ჩვენთა და დემონთა არა ძალ-უძსთ ცალიერობისა ქონებად. მამაო წმიდაო, დასასრულ გთხოვ, რათა ინებოთ და გამობრძანდეთ ვასილის ქალაქში მეთაორმეტესა მჰკრივსა შა საქმისასა რაჟსათვსმე.

თქტჰნი მაღალ-ღირსების ჰეშმარიტისა პატივისა-
ცემითა მორჩილი მოწაფე
სოლომონ დოდრეე.

14. ფილადელფოს კიკნაძისადმი

თქტჰნო ღირსებაე მოწყალეო კელმწიფეე,
მამაო ფილადელფოს! ¹

ღირსკმნილი მიღებად უუბატეცემულესისა ავთრათისა თქტჰნისა, შემდგომად განგრძობისა მოლოდებასა შინა მათ

დროთასა, რომელთაცა განვლეს საშუალ პირისპირ თქტვნი-
ნა ხილვისა ჩემისა ვიდრე აქამომდე, ვჰრაცხ თავსა ჩემსა
ბედნიერად გარდმოფენისათჳს კურთხევისა თქტვნისა ზეცით
ჩემზედა და დიდ ფრიად მოხარული სიმრთელისა თქტვნისა
სმენისა მივიქეც ყოვლითა ძალითა ჩემითა ნათლისადმი ნათელ-
თა მადლობად და ვედრებათცა პირისპირ ხილვისა თქტვ-
ნისა.

წინააღმდეგ წიგნისა თქტვნისა წარმომიდგებიან იდიანი,
გარნა მხოლოდ ესეცა კმა არს მართლებად თავისა, რომელ
ჩემმიერ რაოდენთამე წარმოგზავნილთაგან, მაშინც ერთი
მოგრთმევით და მე კი არცა ერთი მბოძებია, მხოლოდ პირ-
ჭელი ესე არს, რომელი მივიღე ნიქნილოროდით დეკემბრის
15-სა. მე მსურდა შეერთება აზმნობისა ჩემისა უმეტეს თქტვ-
ნადმი, ვიდრე ლა სხუათადმი, რამეთუ თქტვნ ხართ ჭეშმარი-
ტი გულითადი იგი მეგობარა, რომელსაცა გსურდით ნათელი
ჩემდო მომართ და კეთილისა მოცემა, რომელნიცა წარმოგიდ-
გებიან ესტეტიკებრსა გრძნობასა შინა მარადის, ყოველთადმი
ვიკითხვდი მოწერისა თანა საქართველოსა შინა ვითარებასა
თქტვნსა და მდგომარეობასა. არცა ერთჯერ არა მიცნია არა
რომლისაგან, განკვრეებასა შინა ვიყავ დადუმებული. არა
მამა-პაპური მოთხრობა მიზეზად აღმოჩნდების, ვინაჲთგან ორ-
კერძ განხილვად სათანადო ყოვლისა; კაცი ყოველთა მკარეთა
შინა და ყოველსა დროსა ჰგრძნობს თჳს შორის განხვნასა
ამაღლებულთა ძალთასა გულის კმიერისა სულისასა. უმაჲვრეს
გულსა კაცსა შინა არს დასაბამი რაჲმე ანუ გონება, და ეს-
რეთ ვუტევით ყოველი ზრახუა, უკეთუ მე მაქტს ბრალი,
გვედრი მოტევებად წარსრულთათჳს, და განახლებად ძტვლისა
სიყვარულისა.

შემდგომ მოიხსენებთ ჩენს მდგომარეობასა, ტაძარსა
შინა აღნთებულისა სწავლისასა გახლავარ მეძიებელი სიბრძ-
ნისა სახელდებით იმპერატორის უნივერსიტეტსა შინა მესამე
უქტვ წელი მივლის რაოდენიცა შესაძლებელ არს უკეთი-
ლესად წარმატებით მადლობასა შინა განგებულისასა. კურ-



სისა შესრულება ჩემი მომავალს იანვარს იქმნების. ანუ საგანნი სწავლათანი ურიცხვ არიან, ესე იგი მრავალნი ანუ ბევრნი. ტფილისში მაღალი საკეთილშობილო სასწავლებელი გაიხსნება 1827. უნივერსიტეტის მზრუნველმა წარმადგინა მინისტრთან განათლებისა უფროსს მასწავლებელად ფილოსოფიისა და რიტორებისა რუსულს ენაზედ, უკეთუ ღმერთი ინებებს, იქმნება მინისტრმან წარმოგზავნოს ტფილისად, მე კი ჯერეთ არა მსურს წარსვლა; ჩემს კერძო არა სასიამოვნოდ არს თქჳსნი აქ დაანლოება, მე ვაზნობდი სხჳსა რაჲსამე, და ოდეს მთავრობასთანა სრულ — გჳყოფ, მაშინ ძალმიძს ცნობად თქჳსნდა, რომელი აწცა მაქჳს იგივე და მსურდა თქჳსნი მყოფობა ამის მიზეზისათჳს საქართჳსლოსა შინა. არა შესახებელად მისსა, სადაცა მე მაწესებენ, არამედ სხჳა აზნობა არს სარგებელად მამულისა.

გთხოვ მიიღოთ რუკა ესე წაგნი, გარნა ლექსი იგი ავთრათსა შინა თქჳსნსა („მენდე“) შემაწუხებს ნუ უქჳც ესე ვითარნი მცირაკნი რაჲმენი შესარაცხ არიან წინაშე ჰეშმარიტისა მეგობრისა? და კჳლად გიზრახავთ ფულის წარმოგზავნა მისთჳს ესეცა გამოხატჳ უტევეთ, და გთხოვ სხჳანიცა სამსახურნი მიბრძანოთ, რომელსაცა მარადის სეფურობით აღვასრულებ. მომიტევეთ, უადრეოს ამისსა ვერ წარმოგზავნე, მდინარესაზედ გზა არ მაქენდა.

უკანასკნელ ნუ მომაკლებთ თქჳსნისა ვითარებისა, სიმრთელისა, ცხოვრებისა და მდგომარეობისა, წარმოებისა წერილსა,

მოწყალეო კელმწიფევ!

თქჳსნის ღირსების მორჩილი მოსამსახურე დეისტვითელნი სტუდენტი იმპერატორის უნივერსიტეტისა

სოლომონ დოდაგვი.

დეკემბრის 20-ს 1826 წელსა

ს. პეტერბურლი.

ზაგრატ მეფის ძემან გთხოვათ თქჳსნს მიერ თხზული ჟადაგება რომლისამე დღესასწაულისა და სიყუარულით მოგი-

კითხათ, თუმცა პირისპირ არა მაქვს ცნობაო, გარნა სულ
 კი ჩემი გიცნობსო. მას კელმწიფემ უბოძა ლენერალ ლეიტე-
 ნანტობა და სენატორობა.

15. მ ა ს ვ ე

საყვარელო ჭილადელა!

მცირედ შეუძლო გახლავარ და ამისთვის არ ძალმიძს
 ხლება, უკეთუ ინებებთ და თქვენ აქ გამობრძანდებით, დი-
 დად დამავალეთ და სასიამოვნოთ განვატარებ დროსა.

თქვენი მყვარებელი სოლომონ-დოდაშვილი.

16. იონა ხელაშვილისადმი

თქვენო მაღალ ღირსებაე მამაო მოძღვარო
 მ. მ. იონა,

უუმოწყალესო კელმწიფე!

ბევრის ბევრი უხეება თქვენს ჩემზედა მოღებულ დიდ
 ფრიად საგრძნობელ არს ყოველსა ჟამსა შინა, არა მხოლოდ
 ჩემ შორის აწ, არამედ ყოველთათვის იქმნების მარადის, და
 თვსსა დროსა გამოჩნდების ყოველნი მოქმედებანი, წარმოე-
 ბულნი თქვენისა მაღალ-ღირსებისანი, სიბრძნისათვის ჩვენთა
 შემდეგთა ბრძნისადმი.

წყაროო სიბრძნისაო! აღრე იქმნება თუ გვიან, ნათესა-
 ვი ჩვენი ჰსცნობს შრომასა ჩვენსა და ყოველთვის ძალ-გვიძს
 მათდამი შეერთება წერილთა ჩვენთა, ხოლო რა ბევრის
 ბევრობს სიბრძნე ნათესავთა სლავიანისათა; ამისთვის შევაერ-
 თოთ პირტსლსა ნაწილთა სიბრძნისა სიუყვარული სახელი
 თქვენი და ჩემი ცნობად, რომელ ნათესავნი ჩვენნი მახვ-
 ლობენ გონებითა სწავლასა შა, ვინაფთგან იგინი მთავრობენ
 ჩვენზედა და მით გზა გეტყმნების ყოველგან მემამულეთა; და
 ესრეთ გთხოვ სახელისა თქვენისათვის, ინებეთ მამაო დაბე-
 ქტლად წიგნისა მის, რომელიცა აღიწერა ბრძანებითა თქვენ-



ნითა, და წარსაგებელი იგი შეგკრიბოთ შ"დ დაბეჭდისა მისა
მგებლობისათვისვე მამულისა. მომიტევეთ არა სრულებისათვ
ის ავთრათისა; ვინაჲთგან არა მაძლევს ნებასა იგი, რომე-ს
ლიცა უწყით თქვენ ე"ი მათემატიკა. გთხოვთ უმოკრძილესად
მაჟურ თხოთ ჩუტულებისამებრ თქვენისა მაღალ ღირსებისა
რომელიცა მარად ვარ კურთხეულ თქვენ მიერ.

თქვენისა მაღალ-ღირსების მორჩილი მოსამსახურე

ს. დოდაევი.

მარტის ზ-სა 1827 წელსა ს. პ. ბ.

17. მ ა ს ვ ე

თქვენო მაღალ ღირსებაჲ მ. მ. მ. იონა,

უმოწყალებსო კელმწიფე!

იხილეთ მოკლეთ შემთხუცვა ესე, რომელიცა აწარმოვა
მცირისა გამო მოქმედებისა სარგებლობისათჳს მათისა და
რ"ლი მათ მიერ მიღებულ-იქმნა უსარგებლოდ და დიდ—ფრიად
გულ-ძვირებულად. მე ვიწყებ უწინდელისა და აწინდელისა
დროთა გარემოებასა, საქართველოდამ მოველ მზრუნველო-
ბასა შ"ა თქვენსა, მიღებისათჳს სიბრძნისა და თქვენ ჰპოეთ
აღვლი, სადაცა მიღებულ ვიქმენ, რ"ლსა მომეცა მუნვე სად-
გომიცა და მივიღე განვითარება შემწეობითა თქვენიითა.

თქვენო მაღალ—ღირსებაჲ! წინადადება თქვენსი პ"ლ
მოსვლასა შ"ა ჩემსა სწავლისათჳს ბაგრატ ბატონის შვილის
ძეთასა მივიღე და აქამომდე არა დავზოგე ძალისაებრ ჩემისა
შრომა და მეცადინეობა; შემდგომად გაოსვლისა წინასწარი-
სა სადგომისაგან ცხოვრებასა შ"ა მათ თანა ჩემსა, შემემთხვია
დიდნი ვნებანი, მოუსვენებლობანი და ამათ გამო სწეულება-
ნიცა, რომელნი ვითმინე აქამომდე, ე"ა სიტყვითა, საქმითა და
მრავალს მოტყუებითა მათგან. თქვენ უწყით, უკეთუ ამათ
არარაჲ იციან, რ"ლ სწავლასა შ"ა დიდის კაცისა და მცირისა
ერთნი და იგივეი არიან, ე"ი, ერთად შესარაცხ არიან მასწავ-
ლებისათანა; და ესრეთ უფროსსა შვილსა მათსა ვასწავე
რუსული ღრამმატიკა, ქართული დ., არიხმეტიკა, ჰსჯული



ღოთისა ანუ კატეხიზმო, სამღვდლო ისტორია და ეგრეთვე
 რაოდენიმე მსოფლიო ისტორია და ლეოდრაფია, საშუალ-
 სა და უმცროსსა საეკლესიო და სამოქალაქო კითხვა რუსუ-
 ლი და ქართული, ეგრეთვე ასოებისა დასახმა. პირველს მოს-
 ვლაში აღმითქვა ყნისავე კმაყოფილება და მეცა თანხმა ვიქმენ
 მისი, ვა მეფის ძეს ვერწმუნე, ვგონებდი მოაქცევდა ყურადღე-
 ბასა შვილთათვის მისთა მასწავლებლთა ზედა. შემდგომად ერთის
 საგნის შესრულებისა აღმითქვა საყამე და რაოდენს წიგნს
 შეასრულებინებო, ესოდენსა საყამეს მოგცემო და მკნს ზვას-
 ტაგს მოგაგებო, შესაბამსა საცმელსა და სახურავსაო, აღმით-
 ქვა ფიცით, არცა ერთს დღეს არ გაგზავნი ქვეითიო თანამ-
 დებობასა შინა და ესე ვითარნი ურიცხვნი აღთქმანი აღუ-
 სრულებელ იქმნა და სრულიად მოთმინებით ვმყოფობდი, წარ-
 სულთა დროთა შა რაოდენჯერმე წარმოუთქვამს შვილებს
 მიკოცაო, არა მხოლოდ მასწავლებელს, არამედ არა რომელ-
 სამე არა ეთქმის ესე ლექსი, რომელიცა წინააღმდეგ არს ყი-
 სა ჰსჯულისა და სარწმუნოებისა უმიზეზოდ. უკანასკნელ დღე-
 სა ამის ერთმან შვილთა მათგანმან წარმოიდგინა ნიშანი ტირი-
 ლისა და ამისთვის თვისი მართელი მოგზავნა: ჩემი შვილები
 მოსაკლავად არ მომიბარებიაო, / ხუალვე გადიო! უგუნურება
 არ არის? რა ზვასტაგის აღრიცხვა არ მოუციათ ესოდენთა
 ჟამებთა შრომისათვის და წარმოიტყვიან კი ლექსსა ამას.
 უმოჩინოვსად გთხოვ, ვინაჲდგან თქვენ ბრძანდებით მიზეზი
 ჩემისა მათსა სახლსა შა ცხოვრებისა, რათა იხილოთ შვილნი
 მათნი და გამოიძიოთ, თუ რაჲმე აკლიათ შვილთა მათთა ჩემგან,
 პასუხი მიიღოთ, თუ არა, რაჲსათვის ჰხედვენ ესრეთსა ლექსსა
 მძიმესა და გამოთქმელსა საენებელად სიმართლისა ჩემისა,
 იგი არს სენატორი და ნებაგსაა რათა ლექსსა ამას ზედა სტა-
 ტივები უსამართლობისა წარუდგინო სენატსა, რლისაცა მოქმე-
 ლი მიეცემის კანონითა სამსაჯულოსა ქვეშე და კუალადვე-
 გთხოვ ჰკითხოთ მათ და პასუხი მიგოთ.

თქვენი სულიერი შვილი და მარადის სათნო

სოლომონ დოდაშვი

მარტის 16 დღეს 1827 წელს.

18. მ ა ხ ვ ე

ქრისტე აღსდგა!

მოვმოლოცველობ დღესა ამას სიხარულისასა, და ვჰსთხოვ თქვენს კეთილდღეობასა, ვითარცა ღუბესა (sic) ამას ზედა, ეგრეთვე ცათა შინაცა, ხოლო მე გახლავარ გაციებისა გამო დიდსა შეუძლებლობასა შინა და ამისთვის გთხოვ მომიტეოთ, თუ რაჲმე არა შესაბამ ანუ შეცთომი იხილვების ჩემ შორის და ამისთვისვე მივიქცევ სახლად გინა სადგურად, თქვენი შეილი სოლომონ დოდაევი.

1827-სა აპრილის ვ-სა.

19. მ ა ხ ვ ე

ქრისტე აღსდგა!

თქვენო მაღალ-ღირსებაჲ მ. მ. იონა.

მოვმოლოცველი აღდგომისა და მგრძნობელი უწმინდისა ამის დღესასწაულისა მიუწთომელისა, ვღალადებ და აღვამაღლებ დიდებასა და სულ-გრძელებასა ღვთისასა, ვინაჲდგან დღეინდელსა ამას დღესა ყდ შემძლებელმან მეუფემან იხსნა კაცი ვაებათაგან და ცოდვათა და მოანიჭა სოფელსა მადლი და მშვიდობა. ოჰ, თუ ვითარ საგრძნობელ არს აღურაცხელნი ძალნი და მოქმედებანი სულისა და გულისათვის, ყოველნი ქმნილნი აღიდებენ მას, ყოველი სოფელი ღალადებს სიხარულითა და დღესასწაულობითა; ხოლო მე რაჲ ვსთქვა ამისთვის, უკეთუ კელ-ვჰყო აღრიცხვიდ სიყვარულისა და მოწყალებისა მისისა ჩვენ ზედა. არა ესოდენ ძალ-მიძს აღწერად, რაოდენიცა იცის და უწყის მან, ვისდამიცა გამოხატვიდ მნებაჲს გრძნობისა ჩემისა მილოცვად და მადლობად, გარნა აღვაღწე მადლობასა ქრისტეს აღდგომასა, რამეთუ მიგებებულ გყოთ წმიდისა დღესასწაულსა სიმრთელითა და კეთილ-დღეობითა. ვმადლობ და კჲალადცა ვჰმადლობ, რამეთუ მოგანიჭათ ნიჭი კეთილ-მოქმედებისა, უპატიოსნესი და

უსამღებლოდესი განზრახუა და საგანი საქმეთა, რომელიც ვალად ჩემდა მარადის წარმოთქმად საქმეთა შინა, ვინაჲდგან ვიხილავ თქნ შორის უშუქბილესსა პირსა სიბრძნისასა, ბრწყინვალესა კაცთ-მოყვარებასა კეთილობათა, უხვსა კელსა მოწყალებისასა და ყოველთა თვისებათა სათნოებისათა. სამართლად ჰსთქუა არისტოტელმან, გუამი კაცისა შეიქმნების უბრწყინვალეს და უკეთილშობილეს მაშინ, ოდეს მიიღოს ცნობა და სიბრძნე. მხილველსა ესრეთთა ხარაქტერთასა, მომეცა სიყვარული აღუსპობელი არცა მახვილითა, არცა მოტყინებითა რაჲთმე და უმეტესად მისთვის, რომელ მიღებულ გაქუსთ საკუთარი მფარველობა და დიდნი კეთილმოქმედებანი, რომელნიცა დაშთებიან გულსა და განზრახუათა შინა ჩემთა და თვსსა დროსა გამოჩნდებიან თითოეულად ისტორიასა შინა ჩემ მიერ აღწერილსა.

სიბრძნის მოყვარეო მამაო! ყოველთა კეთილთა მგრძნობელი მოვმლოცველობ აწინდელსა ამას დღესასწაულსა დღესასწაულთასა, და ვჰსთხოვ რა სიმართლესა შინა და კეთილდღეობასა განგაგრძოს დღენი თქუცნნი ვიდრე მიხრწნილადმდე სარგებელად მამულისა და მემამულეთასა.

თქუცნის მალაღ-ღირსებისა შორჩილი სულიერი შვილი
სოლომონ დოდაშვილი.

აპრილის 3-სა, წელსა 1827-სა ს. პ. ბ.

20. ანა დედოფლისადმი

უმაღლესო დედოფალო ანა!

უმოწყალესო კელმწიფე!

ვინაჲთგან ყოველთა მთხზულობთა აქუსთ ჩუპულება ეგროპსა შინა წინა პირველ უწყებად უმაღლესთა გუამთადმი, ამის მიხედვისა მეგრ მეცა გავბედავ წინაშე თქუცნისა უმაღლესობისა, რომელ სარგებელად მამულისა შვილთა იქმნების თხზულება ჭილოსოჭიისა ნებისა განგებულისათა, რომელთაგან აწ იბეჭდების პირუტყლი ნაწილი ლოლიკა, ვითარცა ქართულად, ეგრეთვეც როსიულადცა ჩემ მიერ თხზული, ორივე



ფასობს ორ თუმნად ასიგნაციად, რათა სხტანიცა დაიბეჭდოს და ესრეთ უმაღლესო დედოფალო! უკეთუ ინებებთ მოწერასა მიღებისათვის, ტიტულითა თქქსნისა უმაღლესობისა სახელითა დაიბეჭდებრს ყოველსა შინა წიგნსა და რაოდენსაცა წიგნსა ინებებთ მიუცილებლად მიიღებთ.

თქქსნის უმაღლესობისა მორჩილი მოსამსახურე
სოლომონ დოდაევი.

21. იონა ზელაშვილისადმი

მაღალ ღირსო მამო იონა!

მე გუშინ ვჰსცან უნივერსიტეტისაგან, ამ წელსა იქმნება შემდგომად ეგზემენის შესრულებისა გამოშვება ჩემი სრულის ატესტატითა, დეკანმა მითხრა დროზედ წარმოადგინე ლოდიკო, ამისთვის გთხოვ იმეცადინოთ მოსწრატებით მოძიება წარსაგებელისა, რათა რუსულს ენაზედ ახლა დავაბეჭდინოთ და ქართულზედ შემდგომ მისსა. ადამის¹ მიღებისათვის ვიკითხე და ყოველნი მისაღებელნი წარუდგენიათ მინისტრთან, რომელთა რიცხვში ისიც ჰსწერია და ერთის კვირის შემდგომ იცნობება ღიმნაზიაში.

თქქსნის მაღალღირსების მოწაფე

სოლომონ დოდაევი

22. მ ა ხ ვ ე

მაღალ ღირსო მამო მ. მ. მ.

უმოწყაღესო კელმწიფე!

ნიათა ცვლილებამან მომცა გრძნობა სნეულებათა ყოვლისა კერძოხსა და უმეტესად თავისა, გუშინდელსა დღესა შინა, ხოლო აწინდელსა დღესა ამას მივიღე რწყევლისა მკურნალება, რომლისაცა მოქმედება გარდამოვიდა რვაჯერ და ფრიად სუსტებულ ყო სხეული ჩემი და მწუხარებულ. გარნა გული ჩემი შეფოთავს და არა უწყი ვითარ დასრულდება

მდგომარეობაჲ ესე. მე ვჰგონებდი, თქვენნი მაღალ ღირსება-
ინებებდა აქარე მობრძანებასა; და ესრეთ უმოარჩილესად ვით-
ხოვ საქმენი ჩემნი სრულ ჰყოთ, რათა კურთხევითა წარვემარ-
თო უენებელად, ვინაჲთგან ვჰგოდნობ ფრიადსა ვნებულებასა
და დროცა დანიშნულ არს განსვლისა, ოცამდი ამ თთვს
რიცხვისა: სხტპზრ მარადის თქვენნი შვილი დავშოები უჰე-
შმარტესსა პატივისცემასა შინა.

სოლომონ დოდაევი.

მაისის 1827-სა (sic)

23. მ ა ხ ვ ე

მაღალ ღირსო მამაო იონა.

მოწყალეო ხელმწიფე!

შაბათს გამომგზავრებულ მანდიდან ვიქმენ დიდად შე-
წუხებულ გახშორებისათვს, მომეცა სიცხე და თავისტიკილი,
მერწმუნეთ მე ესტრემლეოდი ორ დღესა განუწყვეტელ, ვი-
ნათგან ყსა წამსა შა მზა იყავით კმაყოფილყოფად ჩემდა და
მათ საქმეთა, არა თუ მხოლოდ ვგოდნობ გარეგან, არამედ
სული ჩემი გამსჯელ შინაგან დიდ ფრიად განცვიფრდების,
აწ უკტპ ვითარი განშორება არს ესე! გარნა სული ჩემი არს
თქვენთანა და სიყუარულსა პზრახეს და შემდგომთა დღეთა-
ცა ვგოდებ, უკეთუ არა დაატკბოთ წეოილითა თქვენითა სუ-
ლი ჩემი. კვარას მეთესა ეამსა მოველ ნოვლოროდში, რაჲდა
მრავალი განვაგოდო, ერთი ბრმა ცხენების პატრონი შემხტდა
ნოვლოროდით, აცთუნა თქალმან და ერთი კერძო კევსა მისცა
და გარდამიბრუნდა საჯდომი, მე მსწრაფლ უსწარ გარდაკლო-
მასა, გარნა კაცი იგი მცირედ მოემწყტდა, აღსდგა იგი ფრიად
მწუხარე, შეჰმუნებდი და ვგონებ უმეტეს შ. შინაგან, რათა
არა ვგვემო იგი, ვინაჲთგან შემდგომ რაოდენისამე მინუტისა
იქმნა მრთელ და არა რაჲსა მტკივნეულ. შემდგომად მოვუწო-
დე კაცთა რაოდენთამე შორით, ჩავაწყობინეთ და წარვემარ-
თე გზად, თუმცა მუნ არა რაჲ გატყდა, გარნა შემდგომად



ერთისა დღისა მოუწდა წინა გორგოლებსა გაკეთება და დაკიდებულისა რკინასა. შემთხვევანი ესე, მადლობა ღა, ლოცვითა და კურთხევითა თქვენითა, კეთილად იცუალა და აქამომდე მოველ სიცოცხლით მე და უვნებელად ქონებულთა. დასასრულ განვეკირდები თვისებასა ერისასა, ვითარნიცა გზასა ზა ფიხილე. თუთ ვე მოვშორდებოდნი ქონებათა, ვთხოვდი წყლის მოტანასა, არა ოდეს არ აღასრულებდნენ, უკეთუ არ მივსცემდი ორ შაურს, ყოველსა ადგილსა გორგოლების დასხმისათვის მთხოვდნენ ფულსა, უკეთუ თბილს წყალს მხოლოდ მოვატანინებდო, მისთვისცა ორ აბაზსა მთხოვდნენ და გამომართმევდნენ და ესე ვითართათვის, უკეთუ როსნი არიან და ქრისტიანნი. რათა იქმან ამას, ვკითხავდი მათდა და მომიგებდნენ მართლმადიდებლობასა, გარნა საქმენი ესე ვითარნი მოგზაურსა ზედა არა არიან მორწმუნეთა. ყოველნი ესე არა რაჲ, გარნა მწუხარება მაქვს დიდ განშორებისა თქვენიასა. დღეს გახლავარ მოსკოვსა იენისის 2-სა. ბაგრატ ბატონის შვილის¹ სახლში მსუროდა დადგომა და სახლი ვერ ვპოვე, განმაშორა ცხენების მეურნემან ადგილსა მას. მივახლოვდი დედოფლის² სახლსა, პდ ვიკითხე შესაძლებელი არსა აქ სადგურობაჲ? მომიგეს ძალგძსთო. მიშილეს კეთილად მათმან უმაღლესობამან რაოდენსამე ჟამსა იმეტყველა ჩემთანა, ეგრეთვე ბატონის შვილმან ოქროპირმან³ და თამარმან⁴, ილია⁵ კი თვისი ცხოვრებით ბრძანდება ზაფხულის სახლსა შა და დედოფალიც დღესავე წაბრძანდა. დიმიტრი მღვდელმან⁶ თაყუანისცემა მოგახსენათ.

აქაურთა ყოველთავე მოკითხუა მოგახსენეს და თაყუანისცემა. მამა ტარასის⁷ რუსულის ვრცელის კატეხიზმოთგან ნათარგმნი იბეჭდება აქ, რომლისათვის დოსითეოსს არხიების-კოპოსს⁸ კელი მოუწერია და პავსკისათვის⁹ დაურწმუნებია და მას ნება ურთავს, სხუა ახალი არა რაჲ არს, კდ ფილადელფი¹⁰ შეპყრობილი ჰყოლიათ ერთი თთჳც აქა და აქითგან ქვევითი ნიჟნი ნოვდოროდს წარუყვანიათ, რომელიც დიდ ფრიად შესაწუხარ არს, ღნ ინებოს იხსნას თავი თვისი ამ განსაცდელისაგან. ჩემთან მანდ მოუწერია ავთრათი და თქვენ

მიიღეთ, ბაგრატ ბატონისშვილის სახლში იქმნება. ადამ სიევს¹¹ და სხვათა სიყუარულით ვიკითხავ. უკანასკნელ ზედალ თუ ზეგ განვალ გზასა ზა და თქვენ მშვიდობით მამაო სამარადისოო სულისა ჩემისა მამაო!

მოწყალეო კელმწიფე თქვენი მაღალ ღირსების
მორჩილი შვილი ყოვლისგზით ს. დოდაევი.

1827 ივნისის 2, მოსკოვი.

24. მ ა ს გ ე

მაღალ ღირსო მამაო იონა,
უუმოწყალესო ხელმწიფე!

წმიდასა და ნათლით შემოსილს მაკუთხეველსა ჩემსა მარჯვენასა ზედა ვეამბორები, მოსრული ძუძულსა სამეუფოსა ქალაქსა ზა, ვიდრე აქამომდე სიმრთელესა ზა გახლავარ ესრეთ, რომელ სიცოცხლე იპყრობების ანუ იცუბს. აქაურნი ბრძენნი ვიხილე და შემთხულებათა გამომცდელნი, მიმიღეს დიდ ფად კეთილად, მთხოვეს მეგობრობა კეთილი და შეერთება მათდამი წერილისა და სხვათა გარემოებითა შემთხუცვათა თბილისით, რათა აცნობონ საზოგადოებასა ქურნალსა ზა დაბეჭდითა, ჩემ მიერ აღუთქვი ესე ვითარისა მოქმედება¹. ვიხილე უნივერსიტეტი, თეატრი, ბიბლიოტიკა, და სხუანი ჩინებულებანი ყოვლით კერძო გამოვიარე, მოსკოვი ვრცელი ესე და ჩინებული ქალაქი, თუმცაღა აღმომიჩნდა საამო საზილველად, გარნა, ყოველივე კეთილ-გჭარობა ს. პეტერბურლისა უწარჩინებულეს არს ქალაქისა მის, ანუ ვიდრელა აქა, გარნა მე ვსწუხვარ განშორებასა თქვენსა, არა რაჲ არს ჩემთვის საამო ესრეთ, ვა თქვენი ხილვა და ვითარებისა თქვენისა ხილვა, მამაო. მე დამიხანდება აქა კიდევ შაბათამდინ ანუ კვირამდინ, ნივთები ძრიალად ამძიმებდა ბრიჩკას, ამისთვის სრულად ერთს ყუთში შევკრიბე და განვისტუმრე, რომელიცა მოვიდა თორმეტი პუდი, თითო პუდი თბილისამდინ წარიღეს ცხრა რუბლად, ვითარ სხვათაცა ესრეთ განისტუმრეს, ნაკლებ

ვერ მოვიძიე; მეორე მიზეზი ესე არს, რომელ ბრიჩკის ცუთში სრულად წაბლალულიყო ყდები და უყდონი წიგნები, დიდად შეგსწუხდი ამის წარხდენისათვის (- სიმძიმისათვის და წარხდენისათვის წარგვზავნე წყნარის მოგზაურისათანა ნივთები პირობითა ტფილისად-); ნიაფი აქა არს მძიმე, წვიმიანი და უსიამოვნოდ ღრუბლიანი, რომლისა გამო მტკივა თავი დიდად შესაწუხებელად, გარდა სმენისა, ხედუა და დამაკლდა, დაკლება-სა ამას ვგრძნობ გამოცდილებისა მიერ, და არ ვუწყვი ვითარ შეიცვლების საქართველოსა შა, თქალებისა ძარღვნი მტკივა და სრულიად თავისა ჩემისა სისტემა მოშლილია, და დიდ ფრიად სუსტი. დასასრულ რაჲ მრავალი ჰაზრი ვითარებისა და გარემოებისა ჩემისა მოგახსენო, რამეთუ არა სახლსა შა ჩემსა ესცხოვრებ საკუთრად, რათა აღვსწერო კანონიერად და შესაბამად ყოველივე გრძნობა და ზრახუა, ვითარნიცა იწარმოებიან ჩემ შორის. ჰბრძანდებოდეს სიცოცხლით და სიმრთელით, რათა ლოცუბან თქვენისა მაღალ ღირსებისამან განმკურნოს განზრახულისა საგნისა აღსრულებისათვის, სარგებლობისათვის და აღზრდისათვის მემამულეთა.

მშვიდობით! უუმოწყალესო მამაო!

თქვენის მაღალ ღირსების მორჩილი მოსამსახურე

ს. დოდაცე.

იენისის 9-სა 1827 მოსკოვი.

ადამ ღირსივეს² და სხუთთა, გიორგი პაიჭაძეს³, პეტრეს⁴ მოკითხუს მოგახსენებ.

შ. მ. ხ. გ. ე

მაღალ ღირსო მამაო, უუმოწყალესო კელმწიფე

მამაო მ. მ. იონა!

ბალტიის ნისლისაგან გამოლტოლვილი შეპყრობილ ვიქ-მენ ვიდრე აქამომდე გარემოებათა მიერ სხუდა სხუთა მოსკოვსა შა. ესე ვითარისა შემთხვევისა მიზეზნი არიან შემდეგი:

1. შეუძლებელ იყო, რათა არ წარმეგზავნა წყნარად მგზავრითა ქონებულნი ნივთნი, რომლისა სიმძიმისა გამო, ბრიჩკას წინა ხეები შემუსრვილ იყო და მასაცა უნდა განახლება.

2. გაკეთებისათვის მოუნდა წარსაგებელი ათი თუმანი მრავალსა აღვილსა გატეხილსა. 3. წარსაგებელი შემემთხვია არა მცირედი წარგზავნისათვის, გაკეთებისათვის და საბუთების მოვაჭრებისათვის, და ამისთვის მგზავრსა შეუცადე, ალექსანდრე¹ წარმოეღალს ლინიამდინ და მუნ დაშთების იგი.

4. მგზავრმან ჩემთანა წარმოსასვლელმან მოიგვიანა, ბრიჩკის გაკეთებამან, და ამათ შორის მე განვიხილე ჩინებულებანი და განათლებულებანი მოსკოვსა შა წარმოებულნი. ესე ვითართა მიზეზთა გამო აქამომდე უჭირფასესისა დროესა წარმგებელ, რომელსაცა მრავალნი მქიმენი ტვირთნი კეთილთა საქმეათანი მიმელიან. აქამომდე მაქჳნდა ჩინებულსა პოეტთან და მწერალთა საუბრობა, რომელნიცა იქებოდნენ პეტერბურღსა შა თვსითა საქმეებითა და ყოველსა ქვეყანასა ზედა ისიან პატიოსნებანი მათნი, მათ მახოვეს თბილისი დამ წერილისა შეერთება, ერთი მათგანი მიდის ევროპასა შა უმეტეს განათლებისათვის, მე ვსთხოვე მუნიტგან მოწერა ავთრათისა და ღირსი ხსოვისა ცნობა, მან აღმითქჳა. დასასრულ დღეს მე განვალ გზასა ზედა და თქვენ გთხოვ უმორჩილესად, რათა ხარებულ-მყოფ მე მშვიდობითა უძვირფასესსა ავთრათსა შა გამოხატვითა, მერწმუნეთ მამაო, მე არარაჲ მომცემს სასიამოვნოსა კმაყოფილებასა, ვითარცა სმენა თქვენისა სიძრთელისა და სიცოცხლისა. უკანასკნელ ყოველთა კაცთაგან ვიქმენ კეთილად მიღებულ, მომცეს კმაყოფილება ზნეობითითა მიღებითა და უმეტესად პოლიტიკურისა ქცევითა, ჰგარნა არა რაჲსა შემწეობითა.

პარჳენ მღჳდელმან² კეთილისა გულათა მოხარულითა მის-ტუმრა აქამომდე, რომელსაცა ემადლობ დიდად, და თქვენდამო მთხოვა თვსისა პატივისცემისა განცხადება. თბილისის სამეცდრო ლუბერნატორის მეუღლემან სიპაილინისამან³ მიმიღო ფჳდ კარგა, წარსაგზავნი და ავთრათი წარმატანა მასთან. და ესრეთ მშვიდობით მამაო! გთხოვ ბრწყინვალესა თავადთა ფარ-



სადან თეიმურაზიჩიან⁴ ჩემ მიერ პატივისცემა განაცხადოთ და ყოველთა სხვათა კეთილის-ყოფელთა-თანა.

მაღალ ღირსებისა თქვენისა უუმორჩილესი მოსამსახურე სჯულიერი შვილი თქვენი ს. დოდაეც.

ივნისის 15, 1827. მოსკოვი.

26. მ ა ხ ვ ე

მაღალ ღირსო მამო იონა,

უუმოწყალებო კელმწიფე!

შემდგომად მიღებისა იმპერატორის ხარკოვის უნივერსიტეტის წევრობიან (ვ^ა მოგახსენე ხარკოვიდამ მოწერილსა წიგნსა შ^ა)¹ გეორგსა დღესა, შემდგომად შტადლისა, ჟამსა მეოთხესა იწყო დღესასწაულობა, სლობდო უკრაინსკის ღიმნაზიასა შ^ა ხარკოვის ქალაქსა: მუნ მიმითანკმეს უნივერსიტეტისათა, სადაცა პირველი მქვერტელი იყო ყ^დ სამღუფლო, მეორე რექტორი უნივერსიტეტისა ივან იაკოლიჩი კრონბერდი,² ხოლო მე მამულისათეს არა მიმსახურია და არცა ღირს ვარ ესოდენსა მათსა პატივისცემასა, რაოდენიცა რექტორმან ჩემზედ აჩუქნა საშუალო საზოგადოობისა და სხვათაცა მუნ კმისა მქონებელთა: პირველად შესვლისა ჩემისა ზალასა შ^ა (საკრებულოსა) კარებთან მომეგება ინსპექტორი ღიმნაზიისა; მე ქვემო ყ^დ თასა მნებაედა ჯდომა, გარნა რექტორმან გარდამიყუანა და თვისთან დამაჯღინა. საზოგადოობა იყო დიდ ფ^დ მრავალი ორისავე სქესისა; თავადი ლექსანდრე რიფსიმასიცი³ მუნ მყოფობდა; დღესასწაულება ესე შესრულდა შემდგომითა ხატი-თა: პირველად იწყეს საამოს კმასა ზედა კონცერტი, ამის შემდგომ ერთმან მასწავლებელთაგანმან სთქუა შესხმა ლათინურსა ენასა ზედა სიყუარულისათვის მამულისა: ჰსჯული ღ^დ თისა, როს-სიული რიტორიკა, ლათინური ჭნა, ბერძნული, ნემენცური და ფრანციცული, მაჭემატიკა, ისტორია, ლეოღრაფია, ჭიზიკა ჰკითხეს; დასასრულ მუზიკა გუჟასმინეს და ამასთან მიჰსცეს მოსწავეთა რომელთამე ჯილდოჲ მედალი და რომელთამე წიგნი ატრესტატიოჲ; უკანასკნელ მასწავლებელმან არტილ-

ლერიისა წარმოსთქტა და საჭიროება მკედრობისა საკელმწიფოსა შა, ამასთან იყო სასიამოვნო კმა გალობათა.—ესრედ შესრულდა საგანნი ამის დღესასწაულობისანი.—ლოლიკა განჰყვეს სხტა და სხტა ჰსწავლად: შინაგანად, გარეგანად და ბუნებითად, გამოცდილებითად ანუ კელოვნებითად და სხუად მრავლად.—ლოლიკა არაოდეს განიყოფების, იგი არს ჰსწავლა გულისკმისყოფისა, ზე გულისკმისყოფა. განიყოფების თჳსსა მოქმედებასა ზედა არა გარეგან, არამედ შინაგან ფორმაული არს. სხტებრ მბილველნი კმაყოფილ იყუნენ და მეცა.

შესრულებისა შემდგომ რექტორი აღვა, თავი დაუჟკრა ყდ სამლუდელოსა, მე კელი გამომართა და მკითხა ვითარ (მოგეწონაო) გესიამოვნაო? მიუგე: მადლობა ღთსა საკმაო კარგად. ინსპექტორმან ღიმნაზიისამან მთხოვა მუნვე თერმონიისა და სხტათა სასმელებთა მიღება, გიახელით რა იგინი, რექტორმან წარმიყტანა კალასკითა სახლად თჳსად, მასთან ვიმეტყჳტლე ყლზე საჭიროება მამულისა ჩვენისა, ჰსწავლისთჳს, სხუათა მრავალთა მოთხოვრებათა შორის.—სხტათა შორის სიტყჳთა მითხრა: ეცადე მამულისა შენისათჳს სარგებელად და სახელისა შენისა პატივად, რაჲსაცა ითხოვ ყლსავე აღვისრულებთო, მასწავლებელს უნივერსიტეტიდამ გამოგიგზავნითო, ფდ მსთხოვა, მე საკუთრად მომწერდეო შენს წერილსა და ყთვის შეწევნასა შენსა ვიმეცადინებო აღსრულებად და ღირექტორსაც მოვჰსწერეო შენთჳს. პირველს მისულაში, ოდეს წარიკითხა ჭილოსოფია, მკითხეს სახელისა თქჳსნისათჳს, განათლებული არსო ანუ სადა არსოო? მიუგე მათ: ნევსკის მონასტერის აკადემიაში სრულ ჰყო ჰსწავლა და ჰსცხოვრებს მათს უმაღლესობას დედოფალს მარიამისათანაჲ, მრავალნი თხოვლებანი არიან მისნი, რლნი სახელდებით მიუთხარ, რომელმანცა ფრიად მრავალნი მოქმედებანი აღმოაჩინა ჰსწავლისა ჩემისათჳს და განმადვიდა სიყუარულსა ზედა მამულისასა... ნუ განმირისხდებით მასზედა, რომელ არ სრულიად ქებასა გწერ ეგზემენიისასა, კარგი იყო. გარნა მე უკეთუ არ ვგრძნობდე შეცთომასა მათსა, არაოდეს არ ვიტყოდი. მამაო სულისა ჩემისაო! და მარადის მზრუნველო! ყოველივე დიდ



ფედ კეთილი, ყოველივე დიდ ფედ წარმართება არს, გარნა სული ჩემი მწუხარებს განშორებასა თქვენსა, და ჰგრძნობს არა სრულიად სიმრთელესა. ხარკოვიდამ გამოთხოებული გამოვედით ხუთშაბათს საღამოზედ.

მრავალს აღვიღს გავეცედა ბრიჩკა, თუმცა ჯერედ არ მაძლევდნენ ნებასა გამოსვლისასა, მთხოვდნენ რაოდენსამე დღესა მუნ ყოფნასა, გარნა მიზეზნი წარუდგინე, დიდად მსურდა, რათა მგზავრობა ჩემი სრულ-ვჰყო.

თქვენნი მაღალ ღირსების სულიერი შვილი

სოლომონ დოდაევი.

ხარკოვიდამ გამოვლე ქალაქნი, ჩუგუევი და იზიუმი, ბახ-მუტი, ეკატერინოსლავი, როსტოვი და ნახჩევანი, სადაცა ახალნი, მდიდარნი სომეხნი კრიმიდამ გარდმოსახლებულან და ჰსცხოვრებენ უკეთილესად. კურთხეულნი აღექსანდრე პირველს⁶ უსადგურია მუნ სამჯერ. სიმრთელე ჩემი ლოცვითა თქვენითა უკეთილესდების; გარნა ჯერეთ ეგრეთვე არს ეპეტრებურლსა შაიყო, მიზეზი ხარკოვსა შინა დაუდგომლობისა არს: მრავალნი საქმენი, ქიზიყს წარსტლა და უმეტესად მოსკოვიდამ მეუღლემან ლუბერნატორისამან⁶ ტფილისს წარმატანა პეთრათი და წარსაგზავნი; ხოლო მე მოვიგვიანე; ეგრეთჲ მოსკოვიდგან ჰსწავლულთაგან მოვიდოდა ტფილისს, ვითარისამე აზრისა შეერთება და მათ უნდა პასუხი და სხუანი.—გთხოვს სულისა ჩემისა მამაო ბრძენო, მახსენოთ ყთა პირთა თანა ადგილისა და ღროიხსამებრ.

დოდაევი.

წელსა 1827 годა ივლისის 9 დღესა.

27. მ ა ხ ვ ე

თქვენო მაღალო ღირსებაჲ მ. მ. მ. იონა,

უმოწყალესო კელმწიფევე!

წმიდასა მარჯვენასა ზედა ამბორს მოგახსენებ და ვისურვებ სიმრთელესა და პირისპირ ხილვასა თქვენსა, კჳალად

მოგახსენებ შემდგომსა განზრახვასა, „ესე ჯერ იყო ყოფად“
იგი არა დატეხად“, აქამოდ მეცადინეობამ. ჩემი და ლო-
ცვამი თქვენს დაძვარა და მსურს, რათა არა რად უკანო-
ნო შემემახტას შემდგომად და არცა მოქმედება ჩემი სიბრ-
ძნისადმი დასცეხვის აქაურსა აეროვანებასა შინა მოიძნელებს
დაცხრომა ბუნებისა; და ამის გამო გთხოვ უმოჩილესად ნე-
ბა მართო ქორწინებად, უკეთუ ინებოს მაღალმან და თქვენ-
მან მზრუნელობამან, განვრცელებად ესე ვითარისა გამოხა-
ტავისა ნება არა მაქვს საქმეთაგან კლასისათა, მხოლოდ ნებასა
ზედა თქვენსა დამოკიდებულ-არს, კდ'ცა უკეთუ შეიძლებოდეს
კვედრი ჩემი სრულ ჰყავით ანუ შვილისა მისისა სიზპარი ჩარ-
თეთ, ვინაფთგან ერწმუნებიან აღვილად.

შემდგომად სიღნაღელთ სწავლის გახსნა განუტყუადე,
მათ აღმიტქვს და სიხარულით მიიღეს სახელსა ზედა თქვენ-
სა და ზაფხულში მე წარვალ და მიუცილებლად შევასრულებ,
გარნა მე უკეთუ არა მარჯვენამან თქვენმან, არად ძალ-მიძს,
გთხოვ უმდაბლესად აზრი თქვენი შეერთოთ ჩემთანა, უკა-
ნასკნელ უკეთუ ინებებთ ტფილისსა შინა და მომცემთ შემ-
წეობასა, აღვაშენებ დუქნებს და ზედა სახლებს, რათა შემო-
სავალი განმდიდრდეს სარ. ებელად მამულისა. რადცა წარეგე-
ბა, მალე შეკრებება და გთხოვ ინებოთ განზრახვითა ამათთვის
მალე მიბრახნოთ აზრი თქვენი.

მდაბლად ყოველთავე კელს კოცნას, თაყვანისცემას და პატი-
ვისცემასა ჩემსა განუტყუადე. მშვიდობით, მიგვიანდება კლასში.
მორჩილი შვილი თქვენი სოლომონ დოდაევი.

თქვენ მიერ წარმოგზავნილი გლარძი მეზოძა და დი-
ლად გადვალ, უკეთილესნი გახლდენ.

სეკდემბრის 5-სა, 1827-სა.

28. მ ა ს გ ე

თქვენო მაღალ ღირსებაე უმოწყალესო კელმწიფე!

მამაო მ. მ. იონაე!

მაკურთხეველსა ჩემსა მარადის მარჯვენასა ზა ამბორე-
ბას მოგახსენებ და სიმრთელით განსვენებას ვისურვებ ყოთა



ძალითა სულისა ჩემისათა. აჰა მამაო სამარადისო ვითარება, გარემოება ჩემისა. შ"დ სამის დღისა, დროსა მოსვლისა ჩემისასა მკედართმთავარმან მმართველმან სამოქალაქოასა წარმოებისამან¹ სადილად მიმითანკმა თვსთახ და დამსჭა და შეაერთა აზრნი თვსნი განათლებისათვს შემამულებთა.—მე ჩემს კერძო ყ"ლივე მივუთხარ სარგებლად და მოჰსწერა განათლებისა მინისტრს; გარდა ამისსა, რაოდენჯერმე გახლდით სადილად და დიდ ფ"დ კარგა მიშეილო, რ"სცა განჰკვირდებიან ყ"ნივე აქაურნი თავადნი და ნიშოვანნი კაცნი და ალიან გაოცებასა შ"ა; კ"დ სობორსა შ"ა ეკზარზმან შ"დ შეწირვისა მიჰსცა სეპისკვერი და მან მე, სხტათა შ"ს მკედართა ლექსითა ამით,— „ბილეო, რათა უმეტესად განათლდეს და ასწავლო ჰსწავლანო“, და ესე ვითარნი სხტანი ლექსნი, რ"სცა დაეეთხოვე კანეთსა და მომცა ნება შ"დ ერთისა კვირისა ტფილისიდ განსლტამდე და შემოსტლადმდე ქალაქსა მას შ"ვე და ე"თ გახლდი მქისიყს, მამულსა შ"ა ჩვენსა სამი დღე, ყ"გან მოვვლე და მოვფინე ვითარება თქვენი საკეთილობისა, წარმოტანებულნი მივე თვს თვსსა ადგილსა, რ"ლთათვს არიან და იქმნებიან ლოცტასა და ვედრებასა შინა ნეტარებისათვს სუფევისა თქვენი სათელსა შ"ა სოფლისასა. გახლდი სახლსა შინა ძმისა თქვენი სალომონისსა, ყ"ნივე ვიხილე სიმრთელით, იგი წარმოვიყტანე ჩემთან და მივუთხარ სოფლისათვს, რ"ლ მას შ"ა კაკი უსწავლედი რაჲ არს და ჰსწავლული და ვითარსა განსხუებასა შ"ა არიან! იგი ჩემს ლექსებს დაემორჩილა, განდვიძებული მომითხრა, ყოველსავე თქმულსა შენსა აღვასრულებო. აჰა, ცნობა ცხადა სახლეულთა ძმისა თქვენი სათა². უფროსის ძმისა იობისა არა რაჲ არს დაშთომილი შვილი და ცოლი ყოცა იქმნა სხვისადმი ცოლად; მეორისა ძმისა გარდაცვალებულისა იოსებისა გახლავსთ ერთი ნინველი წლისა ცამეტისა, რ"ლსა სახელად გრიგოლ და ორი ქალი; უფროსი არს ათორმეტისა წლისა და საკელი მაია, მეორე წლისა ხუთისა და საკელი მისი მარია, დედა მათი ქვრივი გახლავსთ სახლსავე მას შ"ა, რ"ლსა ცა ეწოდება მართა. მესამის ძმისა სოლომონის არიან შემდგომნი: ცოლის სალი მაია, შ"ლნი მამრისა სქესისანი ან სამნი, უფროსი არს წლისა ცატ"სა, რომელსა საკელად ეწოდების

იოანე; მეორე წლისა ოთხისა და საკელად მიზაილ, ხ^{მესამე} წლისა და ნახევრისა, სახელად ნოდარ; მდებრისა სქესისა შვილი ა^ნ ორნი, პლ^{ასა} ეწოდების კონია და არს წლისა ათორმეტისა, მეორასა სოფიო, არს წლისა ექვსისა. გიორგი ვერ ვიხილე, მოგახსენეს, რომ წამოსულა თქვენთანა უწინარეს მოსვლისა ჩემისა, ცოლსა მისსა ეწოდების ნატალია და შვილსა დიმიტრი, რომელიცა არს წლისა და ნახევრისა.—იოსების შვილსა გრიგოლს და თვს შვილს იოანეს მოგაზარებო სასწავლებლად—სოლომონმან მომიტბრა და შეგვედრად, რათა მწუხარებათაგან განმათავისუფლოთო. პ^დ ესოდენთა სულთათვს მე ერთი გახლავარო პატრონი ცხოვრებისათვს მათისა და მთ^{ლად} სხუათაცა მიტბრეს მის შეწუხება შრომათა შინა, ამის გამოხსნისათვს საჭირო გახლავს, რათა მოიკაცოს კაცი ვინმე და ნინელი იგი მოიყუანოს ჩემთან; ამისთვს მეც აღუთქვი წარსაგებელისა მიცემა და მათთვს აღსრულება, რდ^{ენიცა} შეიძლება ჩემ კერძო; მ^დ გახლავს გასა[...]ღებსა შ^ა, რ^{ლთაცა} ვერ ძალ—უდვით დამტკიცებად აზნაურობისა, კელის მოწერი-სათვს ნიკოლოზ არხიმანდრიტს კელავს² უთხოვნია ოცი თუმანი თეთრი ფული, რ^{ლიცა} მე ვერ ვიხილე ჯერედ თელავს შინა მყოფობისა გამო მისისაჲ. მესამედ ფ^დ გთხოვენ მამულისა მოვაჭრებისათვს, რ^{ლიცა} ამას წინად მანდ მყოფობასვე შ^ა ჩემსა მოგხსენდათ. დიდად სურს სოლომონს მამულისა მის ქონება. იგი ფასობს ოცს თუმან თეთრ ფულად, სივრცე სიგანისა და სიგრძისა მისისა არს ორმოცი ადლი და ათი ადლი ვენაკი ესე არს გვერდსა შ^ა თვსისა ვენაკისასა. მეოთხედ მთხოვა ს^ნმან, რათა მოგახსენო დროსა გარდაცულებებისა ძმათა ჩვენთაო, დამიტევს ანდერძი შდ^{გომითა} ლექსითა: „რათგან არ აღსრულდა სიცოცხლისავე შ^ა ჩვენი სურვილი ზილვისა თქვენისა, მაშინც ინებოს და საფლავი ჩვენი აკურთხოსო“ ლექსნი ესე გამოხატულნი სიტყვითა მიუთხრობიათ გარდაცულებულთა დროსა სულის განსვლისასა; მეხუთედ, ქალთა ჩვენთა თხოულობენ ჩინებულნი აზნაურნი მამულისა ჩვენისანი და შეუძლებლობასა შ^ა გახლავართო გასტუმრებად მათისა; მცნობი ყ^{ლისა} სამთა შ^ა დღეთა საქართველოს იტალიასა შ^ა ანუ მქისეიყსა, მოვიქვეც ქალაქად ტფილისად. ერთსა დღესა გამო-



გვ. 96
ს. ხუციშვილი

ვცხადდი ლუბერანთან და მივიღე თანამდებობა; გარნა შემიძინა რება შემემთხვა სნეულებისა, რა სა გამო მკუდართან შეჰსწორებულ ვიქმენ, ზუთმეტი დღე არა რაჲ სანოვანისა მიმღებელი, სიმწარემან, ესრეთმან მიმიყუანა დიდსა სისუსტესა შა, მკურნალნი ეცადნენ და ორის გზით მიჰსცეს გზაჲ განსვლისა ბალღამთა და შემწეობითა ლოცვისა თქვენისათა მოუბრუნდი განმრთელებად არსებისა ჩემისა და თანამდებობაჲნ უძეტესად შემაწუხა: ვდგან ორშაბათიდგან ვიდრე შაბათადმდე თვითოეულსა დღესა რეა რეა ქაჲ მაქუს კლასი ესრეთ, რომელ მოწაფეთათჳს ვერ მოჰისწერია, რათა შევადგინო ჰსწავლანი რეჰსულთ შა. სნეულებასა შა მრავალი ანუ ბევრი წარსაგებელი მომივიდა; გარდა ამისსა ცხოვრებასათჳს ხუასტაგი არა სჲკმაო არს სიძვირისა გამო ყთა საზრდოთა ხუთი რუბლი ასსიგნაცია და ოდესჲ ვმეტენი კა. — მხოლოდ ნუგეში თქვენისა მაღალღირსებისა ამტკიცებს სულსა ჩემსა და კუდ კურთხევა თქვენი, რელიცა მოუკლევლ არს ჩემთჳს საზრდოდ ორისავე ცხოვრებისა.

დასასრულ უსასურველესო მამაო და მოყუარეო მამულასაო! ხუთს სეკდებერს ნათელნი გონებისანი და წყარონი საბრძნისანი ე. ი. ავთრათი უუძკირფასესი კელითა თარხანოვისათა⁴ [მივიღე], რთაცა განვიკურნე სნეულებათა მწუხარებათაგან და შევჰსწირე მადლობა ნათელსა ნათელისა. მე მარადის ვაჰყრობ მოძღვრებათა თქვენთა ჰსწავლისა გარდაცემათა შა. ჰეშმარიტი ქება, პატივასრულება და თვთ დიდებაცა მიეწერების მიზეზსა ანუ მოქმედსა მიზეზებულისა და მოქმედებულისასა, ხოლო თქვენ ხართ დასაბამი ჩემისა კაცობრიობისა და შემყუანელი საზოგადოებასა შა, რელიცა ვაძლევ სიბრძნეთა მემამულეთა ჩვენთა სასოებითა შით, რელ იგინი თჳსსა დროსა აღვლენან ხარისხსა შა განათლებისა, სადაცა მე მაქუს სახესა შა სიყუარული მამულისა და მაგალითად არათუოდენ მხოლოდ მოწაფეთა თანა წარმომიდგება თჳსება თქვენის მაღალღირსებისა, ად ყლისა შეკრულებასა შა განძლიერდება მოქმედებანი, გარდა ამისსა არათუოდენ ლექსებითა, არამედ სიტყუაობითა ქარტასა შა; მაშასადამე, ვისნი ჰსწავებანი მექ-

მნებიან მე განმადვიებლად, უკეთუ არა მისი, რ'ლისაგანაც
მიმიღიეს ჰსწავლანი გასანათლებლად გულისკმის ყოფისა, ვის
მიეწერებიან ესოდენნი მოქმედებანი, უკეთუ არა თქვენ. ამის
გამო მაქუს სასოება და მექმნების მარადის, რ'ლ არა დამი-
ტეებთ, რათა [არა] განახაროთ სული ჩემი ტალანტებითა, ნიჭე-
ბულითა მადლით გამო; გარნა ოჰ, ცაო! ოდეს ვიქმნები ბედ-
ნიერ ხილვითა თქვენითა და სადა? უკეთუ მექმნების შემთხვევა
ესე, რაოდენ მადლობას მივჰსცემ მომნიჭებელსა ცხოვრებისასა
გამოუთქმელისა და მიუწოთმელისა ამის ბედნიერებისათჳს.

თქვენი მაღალ ღირსებისა მარად მორჩილი შვილი
და მსმენელი სოლომონ დოდაევი.

1827 წელსა, სექტემბერს 10 დღესა.

29. მ ა ს გ ე

მაღალ ღირსო მამაო, მ. მ. იონავ,

უმოწყალებსო კელმწიფევ!

განმანათლებელი სულისა ჩემისა, შემამკობელი გულისა
და აღმნთებელი გამოხატვსა ავთრათი თქვენი მივიღე და
მათ თანა განმანათლებელი გრძნობისა, მასიამოვნებელი სხეუ-
ლისა და სასურველი ნებისა. რაოდენ საგრძნობელ არს ჩემთვის
და რაოდენ სამადლობელ, გარნა კეთილობანი და სათნობა-
ნი თქვენი გამოუთქმელ არიან და ყოველსა საუკუნესა ზა
სახსოვარ და შეუძლებელ მადლად ესოდენთა საქმეთა, რო-
მელთა მიერცა ნიჭებულ მყავით მე, არა მხოლოდ ჩემ მიერ,
არამედ ივერიისა ნათესავთა მიერცა განუმარტებელ და მიუწო-
თომელ, ვნადგან პსავე მოსვლასა ჩემსა იქუსა ქალაქმან თბი-
ლისისამან, საცა მიუთხრობენ ერთი მეორესა სიბრძნისათჳს
მხილველნი რჭულთა შინა წარწერილითა და გარდაწერილ-
თა კანონთა სისტემატიკებრისა წყობილებითა, რომელნიცა
მოქმედებენ სულიერთა ძალთა. ზა უმეტეს ყთა სხუათა წარ-
მოებათა. მე აღვწერე ახალსა ფრასსა ზა უმეტეს სიტყვიერე-
ბითი სწავლა, სადაცა მივეც თჳსი განსაზღვრება შესაბამი და
წესიერი და ეთეჲ განწყობილებანიცა საკუთარსა წესიერსა
გუარსა ზა დავაწყე. თვთ ღრამმატიკასა მოუმატე ნაკლნი და



გარკუნული
მისწერეს

განუტევე მეტნი; ყ¹სა წამსა შეკრულ ვარ საქმეთაგან ყ¹სა შემ-
თხვეყასა ვმეცადინეობ, რათა მოვჰსდრიკო მსმენელნი ჩემნი
ქემპარიტებასა და საყუარულსა სწავლად ამის. მე არასოდეს
არა მაქვს ცნობა არა რ¹ლისა უსაქმოვსა კაცისა და არცა
საქმიანთა, უკეთუ არა არს მზრახველი, ზეციურთა საქმეთა
მქონებელი და დამწობელი მაღლით. ავთრათი თქვენი მივი-
ლე სეკდემბრის 16 დღესა მაშინ, ოდესცა ვიჯექ კათედრასა
ზედა და ვმარტებდი აღსაზრდელთადმი მატემატიკურისა და
ფიზიკურისა მდგომარეობისათვის სოფლისა სა¹გადოდ, გარნა
სიხარულმან ავთრათისა თქვენისამან მიმცქალა ფერი, რ¹იცა
აჰგრძნეს მოწაფეთაცა ჩემთა და ესრეთ მოსრული კლასთაგან
პ¹ლსა ჟამსა წარვჰსწერე ესე მოკლედ და მუნვე მივიქეცე. ამის
გამო გთხოვ მომიტეოდ მოკლედ წერისათჳს, ვინაჲდგან ყ¹ლი
გარემოება წარსულსა დროსა მოგართვი ე¹ა სახლეულთა ძმისა
თქვენისათა, ე¹თჳს ჩემნიცა. სოლომონ¹ და სახლეულნი
თქვენი უფნებლად მყოფობენ, გარნა მოელიან ჩემ მიერ
მოხსენებულისა პასუხსა; მამა ჩემმან² მგრძნობელმან თქვენისა
ჩემდა სიყვარულისამან, მდაბლად გულისთადი პატრვისცემა და
თაყუანისცემა მოგახსენათ; ე¹თვე მორჩილმან ჩემმან მამან სტე-
ფანემან³ მოგახსენათ მარჯვენასა ზ¹ა ამბობება. — უმოჩიალე-
სად გთხოვ მიბრძანოთ თქვენი ვითარება მამაო სულისა ჩემი-
საო! ჩემს ვითარებას მოიხსენიებთ, ვმადლობ ღმერთსა სიმრ-
თელით ვახლავარ. თქვენი მაღალ ღირსების მორჩილი მოსამ-
სახურე

თქვენი შვილი სოლომონ დოდაევი.

სეკდემბრის 17 დღესა, 1827 წელსა.

30. მ ა ს ვ ე

მაღალ ღირსო მამაო მ. მ. იონა,

უმოწყალესო კელმწიფე!

სიყვარული, დანერგული გულსა შინა ჩემსა არა ძალ-
მის წარმოვადგინო წინაშე განათლებულისა გჭამისა თქუნი-

სა და აზრს შემძლებელ ვარ გამოთქმად თვსებათა თქტუნისა მალალ ღირსებისათა, თუმცალა კი ვპგრძნობ, გარნა ვერ მოვსწვდები; ხოლო შეძლებისაებრ ძალთა ჩემთასა ზრახუასა ამის საგნისათვს გამოვხატავ. ისტორიისა ანუ ცხოვრების აღწერასა შინა მოთხრობითა ყოველთა გარემოებათა და შემთხტსულებათასა, არა რომელსა წამსა არა ძალ-მიძს დადუმება, რათა არა წარმოვსთქტა ზრახუა ჩემი სათნოებათა და სიბრძნითთა მოქმედებათათვს თქტუნისა უხვეებისათა; გარნა ტვრთი სქეთა შრომათათა არა მაძლებს უფლებასა, რათა ყოველი გამოხატუა და აზრი შევაერთო სხუათა თანამდებობათაგან. სულგრძელებითა თქტუნითა მომიტევებთ ბრალსა ჩემსა მცირაჲისა ქარტისათვს, რომელსა ზედაცა წარვსწვრე ჩემ შორის და-ნერგულისა სიყვარულისათვს და შევაერთებ თქტუნდამო აქარე წარმოვებისათვს.

თითოეულსა მზის მოქცევასა შინა, მღვძარებასა და მძინარებასა შინა გული ჩემი და უმეტესად სული არს თქტუნთანა, რომელიცა შემდგომად განღვიძებისა ჩემისა ძილისაგან ვპვრეტ ცასა და ვიტყვ მარადის ესრეთ: „ვის განვშორდი, სადა ვარ, და ოდეს ვიხილავ მას, რომლისაგან ვიყავ და ვარ ნეტარებასა შინა კურთხევითა, გარნა უხალაობითა მწუხარე შევსახოვ უძვირფასესა ღროსა ხილვსასა მომცემელსა თქტუნსა ჩტუნთვს“. დაუფასებელო, სამარადისოო სულისა ჩემსა მაშაო! ნუ დამიტევებთ მე მხოლოდ ერთსა თვნიერ შეერთებისა მოქმედებათა თქტუნთასა, მომეცით მალალნი ტალანტნი, ნიჭებულნი თქტუნდა ზეცით გამო მაშაო! აჰა, ქართულის ლიტერატურისათვს ჰსცანით თუ ვითარი ვაწარმოე ცვლილება: 1) ღრამატიკასა შინა: თვთ დაწყებითგან ვაწარმოვე განსაზღვრებანი საზოგადოანი და მოუმატე ნაკლნი რაოდენიცა ძალმედუა, დაწყებით ბრუნვა განუტევე დამტკიცებითა, რომელ არა-არს საჭირო ცნობისათვს ცვლილებათა ლექსათათა და სხუანი მრავალნი, რომელიცა დაიბეჭდება და მუნ სცნობთ. 2) სიტყვიერებასა შინა უმეტესად, რომელსაცა მავეც შესაბამი სისტემატიკებრი წყობილება და განყოფილება განსაზღუ-



რებითა, უკეთუ ინებოს ღმერთმან და დაიბეჭდა, მაშინ ვაჟსა ჩემსა
სარგებლობასა მისსა კეთილმზრახველნი მკითხველნი.

გარნა სახლეულთა ჩემთა ძლიერ შემაწუხეს, და ჩემი
მისცეს ხირსელაშვილს ანაგაში, შეუძლებლობისა გამო მათისა
მოვიდნენ დიდის თხოვითა სავაჟროდ ნივთებითა წარსატანებ-
ლად და ჩემზედ ოცდა ათი თუმნის თეთრი ფულისა წარიღეს
ვაჟართაგან, რომელიცა იქმნების ას ოცი თუმანი ასიგნაცია;
საზრდოდ და სწავლისათვის ოთხი სული ჩემის სახლისა გახლავთ
და ერთი სოლომონის შვილი იოანე, ძმისწული თქვენნი ჩემ-
თან არის, ამ ორმეტის წლისა გახლავთ და ისწავებს სწავლა-
თა გონებითა და საქმითა; ბრძანებისაებრ თქვენისა პური
და ღვინო სოფლიდგან შევიკვეთე, რომელსაცა მომიტანენ
თქვსა დროსა, გარნა ფრიად ძვირობს; სხუთბრ ყოველივე
მშვიდობით არს, მედრობაცა ჩემნი წინაშე მტრისა გმირობს
და იმარჯუტვს. რვა სული იზრდების ჩემთანა მოწყალებითა
თქვენითა, მამა ჩემა თაყვანისცემა მოგახსენათ, სოლომონიც
ამან ჩამოიყუანა თავისის შვილითა. რაოდენიც შემეძლო მი-
ვეც შეწევნა სოლომონის სახლსა მცირედ და სხუთბრ თქვენს
ბრძანებას მოველი. სოლომონ, ძმა თქვენი იყო ჩემთან ერთი
კვირა, რომელმან მოიყვანა შვილი თვისი იოანე ჩემთან, რო-
მელსაცა დიდად სურის და სწყურის სწავლა, არვის უმეცა-
დინებია მათთვის, ამათ არა რაა ბრალი აქტსთ მოუსვლ ლო-
ბისა სწავლასა შინა, ახლა მე ვითარ ვსცდილობ, ვგონებ
თქვენ სცნათ.

თქვენის მაღალ ღირსების სულიერი და მსმენელი
შვილი სოლომონ დოდაევი.

ოქტომბრის 8, წელსა 1827.

31. მ ა ს ვ ე

მაღალ ღირსო მამათ, ჟმოწყალესო კელმწიფევ, იონა!

წმიდასა და განათლებულს მარჯუტანასა ზედა ამბორებას
მოგახსენებ, სულითა და გულითა ვისურვებ თქვენის მაღალ
ღირსების ხილვასა და ვსთხოვ ყოვლითა გულითა ჩემითა

მომნიჭებელსა ყოველთა კეთილობათისა თქქსნს სიმრთელესა და მშვიდობასა, გარნა განკვირვებულ გახლავარ უხვებისა თქქსნისა სიბრძნეთაგან, რომელ და აღროეთ წყარონი ნიკთანი შეერთე აღ ჩემდა მოცემისათჳს გონებათადმი მემამულეთა ჩქქსნთა ჭჭრუტანი, მარადის მიმართებულ არიან ჩიგრიკთადმი ანუ მსლავლთადმი და არაარაჲ ვიხილე გამოზრდისათჳს მშვიდობისა და მწყურვალისა სულისა ჩემისა, რომელიცა ექქსთების უძვირფასესთა სიტყუათა ანუ ჰაზრთა განათლებითა თქქსნ მიერ მოღებულთა. და ესრეთ გთხოვ უმდაბლესად მამაო, რათა არა დამიტეოთ თქქსნ მიერ წარმოებული საზოგადოობასა შინა. მე მარადის ვმეცადინეობ მიწდომისათჳს საგნისა ჩემისა, გარნა ვერცა ერთსა ვიხილავ მემამულეთაგან, რათა ეძიებდეს სარგებლობასა მამულისასა, მხოლოდ თავის თავის გამოზრდას სცდილობენ დღითურად, არცა ეძიებენ სწავლასა, არცა სწავლულთა, არცა წიგნთა სწავლითთა, არა მოყუარე არიან შრომისა, უკანონოდ და უწყესოდ და ფრიალ შერევნულად მდგომარეობენ, მზად არიან ვნებისათჳს რომლისა. მე პირისა უბედურებისათჳს და სხტათა, ხოლო მე ჯერეთ დადუმებული გახლავარ სხტა და სხტათა წარმოებათათჳს და განხსნათა სასწავლოთა ადგილთა, ვეძიებ ღონესა და ვსჭჭრეტ მდგომარეობათა. არ უწყი ვითარითა ხატითა ვაწარმოო საგანნი ჩემნი. აქაური სასწავლებელი, თბილისისაც ჯერეთ უწყესობასა შინა არს, მოსწავლენი მრავალ არიან და მასწავლებელნი მცირე, არაფინ მიაქცევს ყურადღებასა და არცა სჭვრეტენ სწავლათა, გარნა ამის შემდგომ ვგონებ იმეცადინოს მთავრობამან განვრცელებისათჳს სწავლათა, ვინათგან ინება ღმერთმან მშვიდობისა მონიჭება, მტერნი განივლტნენ ძალისა გამო მხედრობათა ჩქქსნთა და საჭურველთა. ასან ხანი ერევნისა დღეს მოიყუანეს ოკდომბრის 23-სა თბილისის ციხეში და სხტანიცა ოთხი ათასი კაცი სპარსთა, მადლობა ღმერთსა¹.

დასასრულ, ძმისწული თქქსნი იოანე მეხსიერ-არს და კარგათ სწავლობს. მამაო! უმდაბლესად გთხოვ განუსვენოთ სულსა ჩემსა შეერთებითა ვითარებათა თქქსნისა მაღალ ღირსებისათა. მშვიდობით!



მომიტევით სულგრძელობითა თქუწნითა ცთომანოვანთა
 რათისანი! ვინაჲთგან ვჰსწერ მამასა და არა სხუასა. თქუწნის
 მაღალ ღირსებისა ჴორჩილი მოსამსახურე

სოლომონ დოდაევი.

ოქტომბრის 24-სა, 1827-სა.

32. მ ა ს გ ე

მაღალ ღირსო მამაო, მოძ[ღვარო] იონა!

ყოვლად ნათლისაგან ნათლით შემოსილო ნათელი ჩემო
 და ბრწყინვალეზაო! რაჲ ძალ-მიძს წინაშე მოძღვრისა მოწაფე-
 სა და მამისა ძესა თქმად, უკეთუ ესთქუა მადლობა, შეუძლე-
 ბელ არს სრულ-ვჰყო იგი, ვინაჲთგან მოქმედებანი ბევრეულ
 არიან ყოველთა დროთანი, ესე იგი ნამყოფსა, აწმყოფსა და
 მყოზადისა, რომელთაც მარადის ვგრძნობ მე მათ თქუწნ
 მიერ და არიან გამოუთქმელ და განუსაზღვრებელ; მაშასადა-
 შე მადლობაცა მიუწერელ-არს, გარნა შრომანი და ძალის
 კმევანი ჩემნი სარგებლობისათჳს მემამულეთა ჩუწნთა, რომელ-
 ნიცა გარდიცემიან სწავლითად მიმდინარეობასა შინა ერთისა
 კერისასა 46 ჟამი არიან ზეცისა სასუფეველისათჳს გუბამისა
 თქუწნისა, გარდა ჟამთა ამათ ზემოხსენებულთა თხზულება-
 თათჳს სხუანი დრონი შენიშნულ არიან.

მე არ ძალ მიძს უკეთილესად ვიკმარო პირველი წამი
 თავისუფლებისა ჩემისა, რათა არა ცხად ვჰყო მადლობაჲ ჩემი
 თქუწნდა, მრავალნი მონაწილეობანი და კეთილშობილთნი ლო-
 ნენი თქუწნ მიერ მოღებულნი არიან უმაღლესნი ხარისხნი
 კეთილმოქმედებისანი, კურობეულ არს წარსული იგი დროჲ,
 ოდეს მოვიპოვე მე რაჲმე უძვირფასესი, ესე იგი თქუწნი
 მფარველობა და სიყვარული—ესრეთ—ესრეთთა ჩემთა გარე-
 მოებათა შორის ვითხოვ მოტეებასა სულგრძელებითა თქუწნი-
 თა, უკეთუ ბრალეულ ვიყო წინაშე გუბამისა თქუწნისა.

მაკურობეველო ჩემო! მომელოცველობ ახალსა წელიწად-
 სა და ყოვლითა გულითა ჩემითა ვისურვებ აღუჭაებასა და

განგრძელებასა წელთასა ბედნიერებისთვის მემამულეთა ჩემთათა საზოგადოდ და საკუთრად ჩემისა წარმატებისათვის და საზოგადოებასა შინა, იყავნ და იქმნის მაკურობეველისა ჩემისა დღენი და ჟამნი საუკუნოდ განკეთილებულ — განცხოველებულ — განზეციერებულ, — განბრწყინებულ — განძლიერებულ — განუფლებულ და განკელმწიფებულ.

აჰა, მოიხსენეთ მდგომარეობა ჩემი: მეცადინეობა ჩემი თხზულებათა და გარდაცემათა შინა და ქცევა შეკრებულებათა შინა და საზოგადო ცხოვრებათა შინა განსხტეებულ არიან სხტათაგან — მნთებარეობენ იგინი; გარნა, რადესათვის არა მოვიქცევი ჩემსულებისამებრ უსაქმოთა კაცთა წარმომთქმელთა უსარგებლოთა ლექსთა, მავნებელთა და ღიზლთა, ვითარცა უწყით რომელთაზე ქართუშლოთი? ამის მიზეზისათვის გარეგანნი კერძონი პირნი მიმღებელობენ შურიისა ძიებასა და მტერობითსა, უმეტესად სომეხნი და რომელნიმე მცირედ მოსაქმენი რუსნი; ხოლო მაღალნი გჳამნი მოყვარეობენ ცნობასა ჩემსა, მეტადრე რომლისათვისცა ვისურვე ნებისა მოცემა თქტსნისა მაღალ ღირსებისაგან, ესე იგი მეგობრისა ანუ ცოლისა¹; ქალი იგი ესრეთ არს აღზრდილი, რომელ ძნიად იპოების ღორიზონტსა ზედა საქართველოვასასა, რომლისაცა საქმე აჩტსნებს, იგი არს პოლკოვნიკისა ქალი, მამა გარდაცვლილი და დედა ჰყავს ქართუშლი რომლისაზე ჯავახოვისა, მოძღვარმან მისმან მარწყმუნა პატიოსნება მისი და საქმენიცა ამტკიცებენ ესრეთ. ქალმან იცის რუსული, ქართული და ფრანციული ენები, ღრამატიკა, რიტორიკა, არიჰმეტიკა და ლეოღრაფია, ცოკვა (ტანცაობა). საკეთილშობილო შეკრებულებასი იმყოფებოდნენ ყოველნი გჳამნი, მან იტანციავა და შემდგომად შესრულებისა მეცდართ ღუბერნატორი და მმართუშლი საქართუშლოვ[სა]² დაჟდა მასთანა და იმეტყტლა რომელთაზე საგნებთათვის, რომლისაცა საუბრობა მოეწონა და ჩემთანაცა ღუბერნატორმან მრავალნი აზრნი შეაერთა დროსა შეკრებულებისასა. ქალი იგი არს ჯერეთ ათოთხმეტის წლისა და უმეტესად განათლებების. მრავალნი მეცდარნი მეცადინეობენ დაწინდვასა მისსა, გარნა დედასა ჰსურს, რათა მე ნიშ-



ნულ ვჰყო, მხოლოდ მივეცი სიტყვა და ნებასა თქტჳნსა მოველი, მე თჳნიერ კუთხევისა თქტჳნისა არა ძალმიძს. და ესრეთ იყავნ ხება თქტჳნი ჩემჳდა.

რადგა შეეხების ცხოვრებასა ჩემსა, თუმცალა ხჳსტაკი კჳა იქმნების და კიდევ დაშთების შემდგომად, გარნა მყოობადმან და აწინდელმან მდგომარეობამან სახლისა ჩემისამან და თქტჳნისამან მყო დიდ ფრიად გლახაკად, მგზავრობასა შინა წარსაგებელი არა კჳა იყო, რომლისთვისაც მოვივასხე გზასა ზედა ორასი რუბლი. მეორე დროსა მოსვლისა ჩემისასა არა რად მაქტნდა, მოვივასხე ორასი რუბლი, გაიხელ მქისიყს, მუნ ვიხილე შეწუხება ნაკლულევანებისა საზღოთა შინა, მუნიდგან მოვიქეც ქალაქად და ვიქმენ ავად, რომლისთვისცა წარეგო ხჳსტაკი ჩემი, შემდგომად ჩამოიყვანეს აღსაზრდელად ოთხნი სულნი და საზრდო დაბათა შინა არ იზოგების, ვვაქრობ და დიდ ფრიად ძვრად, იმოსებიან და იზრდებიან რჳა სულნი ხჳსტაკითა ჩემითა, რად ჩემი განისტუმრეს და ოცდახუთი თუმანი წარეგო; აწ უქტჳძმა ჩემი სტეფანე³ ფრიად მწუხარედ ავად გახლავსთ და დიდად ვსწუხვარ. გთხოვ უმდაბლესად, რათა მომცეთ ღონე შემოსავლისათვის, კარგი დროშკა მოივაქრეთ, თუნდ ათასი რუბლიც წარეგოს, შემოსავალი კარგი იქმნება და ჩემთვისაც საჭირო გახლავთ.

უმაღლესთა მარიაჲ დედოფალს,⁴ ანნა დედოფალს⁵ და ნინა დედოფალს⁶ გატბედავ ხელზედ კოცნას. უგანათლებულესთა: იოანე მეფის ძეს⁷, თეიმურაზს⁸, მიხეილს⁹, ირაკლის¹⁰, მირიანს¹¹, ფარნაოზს¹², ლჳარსაბს¹³, დიმიტრის¹⁴ და სხუათა ეგრეთჳც ხელს კოცნას მოვახსენებ.

მწყალობელთა ჩემთა ბატონის რძლებს ეგრეთჳც და სხუათა და სხუათა მდაბლად ამბორებას მოვახსენებ. თავადს დავით ციციშვილს¹⁵ მდაბლად თავის დაკვრას და სიყვარულით მოკითხჳს მოვახსენებ.

თავადმან ალექსანდრე ჩოლაყევმან¹⁶ თაყვანისცემა მოგახსენათ, გუშინდელს რიცხვს წარვიდა კახეთს და ისევ მალე მოიქცევა თბილისად. ზაქარია ორბელიანოვი¹⁷ და იოანე¹⁸ მომიამბორეთ უკეთუ ინებოთ. [ს. დოდაევი]

83 8 3 6 8 0

მალალ ღირსო მამო მ. მ. მ. იონა,
უმოწყალესო კელმწიფე!

წარსულთა დღესასწაულთა მომლოცველი და მვედრებელი თქტუნისა ნეტარებისთჳს ვისურვებ ყოვლითა გულითა და სულითა სიმრთელესა და სიცოცხლესა, უმეტესად წმიდასა მარჯტუნასა ზედა თქტუნსა აზზორებას. სული ჩემი დიდ ფრიად მწუხარე-არს უსმენელობისათჳს თქტუნისა ვითარებისა და დატევებისათჳს მიმდინარეობასა შინა რაოდენისამე დროასასა თჳნერ ყუ-ადღებისა თქტუნისა და მზრუნველობისა მფარველო სულისა ჩემისაო! უკეთუ მაქტნდეს ცთომილებაჲ რაჲმე წინაშე თქტუნისა მაღალ ღირსებისა, ინებეთ მხილებაჲ ჩემი. ყოველსა მდგომარეობასა შინა ჩემსა გამოხატულ-არს გუჲში თქტუნი; თჳნაერ რომლისაცა არა რაჲ არს ჩემთჳს სოფელსა შინა, რომლისაც მოქმედება მაცნობებს საზოგადო-სა მამასა. წარსრულთა ავთრათთა შინა ცხად ვჰყავ გარემოება ცხოვრებისა ჩემისა ე. ი. ცოლოსნობა, გარნა განმხილველმან ესრეთისა ბიჯისამან წარმოვადგინე საგსესა შემეცნებასა შინა, განვსაჯე და აღმოვაჩინე, რომელ იგი ჯერეთ არა მეოჳსების მე, ვინათგან ნუგეში სიბრძნისა მაღლო[ინ] და უმეტეს-არს მყოფობა სიტკბოებასა შინა ფილასოფიისასა, ვიდრელა და-მორჩილება ესე ვითარისა სუსტობისა; გარნა მორჩილება ჩემი არა დასცრების და შეჩტულება ჩემი მარადის იქმნების ყო-ველთა სხტათა შორის. მე გახლავარ ესე ვითარსა სიმზრგტ-ლესა შინა საზოგადოობისასა, სადაცა ვერა რაჲსა ღირებასა ვერ ვიხილავ, არა არს მათსა სულსა შინა ქეშმარიტება, არა-მედ დანერგილ არს ყოველი ვნება, არა-არს მიდრეკა მათ შორის სიბრძნისადმი, არა არს მეცადინეობა, არა-არს სიყვა-რული სწავლისა და სწავლულთა, არამედ ყოველი სიძულელი და მტერობა, რაჲ ვჰყო მუნ, სადაცა ვერ მომიძიებია არა რაჲ ღონე და საშეალობა. ყოველსა წინააღმდეგსა მეტ-ყუტლებასა შინა პირთა თანა სხტაჲ საშეალობა არა რაჲ მაქვს, გარდა დუმილისა, ქართტლნი ცუდ მოშურნეობასა ში-



ნა არიან, ხოლო რუსნი უმეტესად; ვინაჲთაჲნ ლენინად ლტოლნი ბერნატორმან რაჲსათჳს აღმირჩია მასწავლებლად შკლათათჳს თჳსთა¹, რამეთუ არიან მრავალნი როსნი როსსიულისა ენისა შემძლეზლნი სწავლად. გარნა ტვრთთა ჩემდამო მოღებულთა უმთავრესისა მართებლობისაგან ვასრულებ უადვილესად შემწეობითა. ნათლისა ნათელთათასა და თქჳსნისა კუთრხევეითა, მხოლოდ უსმენელობა ყურისა ჩემისა და სწულებანი, რომელნიცა შინაგან ჩემსა მდგომარე არიან, ბალტიისა სენნივე ნამწუხარებენ და ჯერეთ არა თავის უფალ მყოფენ, უკეთუ ღმერთის ნებაჲს, საგანნი ჩემნი არიან იგინი, რომელნიცა უწყის თქჳსმან მალალ ღირსებამან, და ოდეს ინებოს მანვე განთავისუფლება სენთაგან და ლოცვამან თქჳსმან—აღსრულებების. დასასრულ ვჰსთქჳ ერთის სიტყვით: ყოველსა წამსა ვიზრახავ და ვიტყვი ეედრებასა მაღლისადმი, მაღლობასა თქჳსნდამი აღზრდისათჳს, აღსრულებასა საგნისასა, რომლისათჳსცა განმსწავლეთ და ლტოლვასა ბოროტთა პირთაგან, საშუალ რომელთაცა ვჰგიე მე. ცვლილება იმყოფების არა მხოლოდ ერსა შორის, არამედ ყოველთა კერძოთა შინა სოფლისათა, ბუნებათათა, არსებათა ანუ ფიზიკებრსა მდგომარეობასა შინა სოფლისაჲსა, იხილეთ მრავალი იქჳნენ საქართველოსა შინა შემდგომად მკედრობისა ანუ აღრეულებისა მკედართასა და აწ არს ნანდვლ ჩრდილოეთის. ყინვა გიორგიასა შინა, შიმშილი, ვაება და მსგავსნი, არა უწყი რაჲსა მივაწერო ანუ ვითარ ვიაზნო, ხოლო მე ესე ვითართა საწუხართა სწულებათა და შემთხჳტულობათა შინა დიდ ფრიად მტკივა გვერდი, ესრეთ რომელ არღა ძალმიძს მრთელსა ჟამსა წერა, შრომათა ჩემთა დიდად სწულ—მქჳსს, რომლისაცა (სიმრთელისა) მოქცევა შეუძლებელ არს. არა რაჲ არს ჩემთჳს უსასიამოვნეს, ვითარცა ავთრათი თქჳსნისა მალალ ღირსებისა და ცნობა სიმრთელისა თქჳსნისა, არა მაქჳს მიმოსვლა სახლად არავისადმი, გარდა დღესასწაულისა. განთიადიდგან ვიდრე მიმწუხრადმდე თანამდებობასა შინა გახლავარ, ხოლო დღესასწაულსა დღესა ვეზიტით ვიახლები ჩინებულთა გვამებთა თანა, ესე იგი ღუბერნატორთან. სასწავლებელში სადგომი არ გახლავთ, ფრიად განშორებულად ვცხოვრებ, ჩემთვის დიდად საჭირო

გახლავთ დროშკა, უკეთუ ინებოთ მოვაჭრება, ვითარცა მეძნეულად
 ძანებთ, შემოსავალი კარგი იქმნება და სიმრთელესაცა ჩემსა
 შეეწევის, ვინაჲდგან მიმოსვლისაგან მკერდი მტკივა და შრო-
 მისაგან. ცხენები მზად გახლავთ, გარნა უკეთუ მოვაჭრებთ
 სათანადო არს მოვაჭრება ესე ვითარისა, რათა წარსაგებელი
 თვისი ყოველს დროს აქენდეს.

თომა ენდროვიკოვმა² მარჯუტნას ამბორება მოგიძღვა-
 ნათ, ნიკოლოზ არხიმანდრიტმა³ და სხუთთა ყოველთავე.

ძმა ჩემი სტეფანე⁴ სნეულობს დიდად და გახლავსთ
 მქისიყს, სხუანი მშვიდობით გახლავან. სახლობა თქუტნი მშვი-
 დობით არს, სოლომონმა⁵ აღმითქუა ამ იანვარში მეორის
 ჩამოყვანა, ესე იგი ობლისა⁶, შვილი მისი⁷ კარგათ სწავ-
 ლობს. სასწავლებელი ჩვენი უწყსოსა მდგომარეობასა შინა
 არსს, არავინ მეცადინეობს განვრცელებასა სწავლათასა და
 დატეხულ არს თვინიერ ყურადღებისა. მე სიმშვიდით გახლა-
 ვარ, მრავალმა კაცმან იმეცადინა ჩემთან ძვირის შემთხვევა,
 ხოლო მე უტეგბ თვნიერ ყურადღებისა.

უკანასკნელ ვითხოვ მოტეებასა ყოველთა ჩემთა შეცო-
 დებათასა, მაკურობოთ და განმათავისუფლოთ ყოველთა წინა
 აღმდგომთა შემთხუტლებათაგან და მიბრძანოთ თქუტნი ვი-
 თარება და აზრიცა ყოველი შეაერთოთ ჩემდამო. გეშურები
 კლასსა შინა ლექციისა გარდაცემად და იყავნ მოტე[ე]ბა
 ჩემდა და იყავნ ნებისაებრ თქუტნიასა! მშვიდობით მამაო ჩემო!
 თქუტნის მაღალ ღირსებისა უმოწყალისა კელმწიფისა, მფარე-
 ლისა და მზრუნველისა ჩემისა მორჩილი მოსამსახურე და მო-
 წაფე სოლომონ დოდაევი.

იანვრის ე-სა 1828-სა წელსა. თბილისით.

34. მ ა ს ვ ე

თქუტნო მაღალ ღირსებაჲ წმიდაო და განათლებუ-
 ლო მამაო, სამარადისოო მოძღვარო სულისა ჩემბ-
 საო მ. მ. იონა!

სიყვარულით მარჯუტნასა ზედა მაკურობეველსა ჩემსა
 გიამბორებ. ჭეშმარიტნი, კეთილნი და საამოდ აღმკობილნი



საქართველოს
ისტორიის
ინსტიტუტი

აეთრათნი თქტუნისა მაღალ ღირსებისანი მებოძა მარტისა¹ პირველსა შინა მიბრძანებთ ცნობისათჳს იოანესა¹ თჳსებისა და მეორესა შინა მეუღლეობისასა და ეგრეთჳც გამოჰხატავთ ზრახუათა სხუა და სხუათა საგანთათჳს. აჰა ხარაქტირი იოანესი, იგი არს წყნარი, მშვიდი, ერთის ლექსით, კეთილისა თჳსებისა არს, გარნა ძალნი სულისანი მძიმე საზოგადოდ, მქისე და ბლავჳ აქვს, უყუარს სწავლა და აქვს საშუალო მეცადინეობაჲ, რუსულსა და ქართულსა კითხულობს და ასოებსაცა სხამს მიხედვსაჲბრ დროჲსა; სვინილისი კარგი აქტს და მორჩილ არს თჳსისა უფროსისა; თმა ბნელ-წითელი, სახე ნაყვავილარი მოწითლო, თვალეზი მოჭრელო, ტანი მოსქე მცირედ და კელები მსხვილი—აჰა საზოგადონი ხაზნი მისისა ფიზონომიისანი, გარნა განათლება გონებისა და განვითარება გულისა ხშირად შესცვლის ყოვლადობასა კაცისასა. გრიგოლ² ავადმყოფობს და არს სახლსა შინა მამისა ჩემისასა. სტეფანე³ ასწავებს, ვიდრე განთავისუფლებადმდე წარმოვიყუანე სოლომონიდგან⁴ და მისამდე დაუტოვე მუნ. ყოველნივე საგანნი თქტუნ მიერ მოძღვრებულნი ჩემდამო აღსრულდებიან ადრე თუ გვიან, გარნა მეცადინეობა ჩემი ყოველსა ჟამსა შინა მოქმედებს, ნუ ერწმუნებით ტყუილსა არა კეთილ მსურველთასა, არამედ ჭეშმარიტსა ლექსსა და სიტყუასა ჩემსა, რომელნიცა მართალ არიან და საქმეცა აცნობებს კაცსა. რომელიცა მოსამსახურე მყავს, ესეთ ემსახურება იოანესა, ვითარც მე. არა რაჲ საქმე არა აქვს რა ძმისწულსა თქტუნსა, თვნიერ სწავლისა სახლსა გინა სადგომსა შინა ჩემსა. ვუტეოთ, რომელ სიბრძნე ვერ მიიღოს მაღალი, ზოლო განვითარება ექმნების კეთილ გუარობითი, ცნობა ღვთისა და კაცთა რაოდენცა საჭირო არს საზოგადო ცხოვრებასა შინა თვითოეულის კაცისათჳს. დიდად საჭირო გახლავსთ ღრამმატიკა რუსული ნაკოლოზ ღრეჩისა⁵, ახალი გამოცემული და განვრცელებული, ინებეთ გამოგზავნა ორისა ანუ სამისა ეგზემპლიარისა, ეგრეთვე ადამს⁶ უბრძანეთ კარგი რვაულები ღეოღრაფიისა გარდაწეროს და წარმოგზავნოს, უკეთუ სხუათა სწავლათა

რვაულებსა გარდასწერს და წარმოგზავნის, დიდად მადლობელ მყოფს.

მეუღლეობისათვის წარსულთა ავთრათთა შინა მოგახსენე აზრნი და გრძნობანი ჩემნი. რომელ ჯერეთ დაუტევებოდა იგი წარსულა მყოფობისათვის, ვითარცა ღმერთს ენებოს, ესრეთ აღსრულდეს, თუმცაღა ყოვლით კერძო მომითხრობენ რათა ვიქორწინო, გარნა შეუძლებელ არს აღსრულება, დრო არა მაქვს და ყოველი წინაგანზრახული ჩემი შეიცვლების, რომელთაცა მიზეზისა მის გამო ვერ ძალ-მიძს მიწდომა, და ესრეთ ნუგეში სიბრძნისა უუსასიამოვნეს არს ვიდრე სხტანი მიღებულნი სუსტნი შემთხტავითნი გარემოებანი და წარმოებანი.

კატეხიზმი ჩემთანა-არს და ჯერეთ გადუწერელია, ვინცა იწყო წერა ვერ შეასრულა მიღებისა გამო სნეულობისა, ეგრეთვე ლექსიკონიცა ვიწყე, გარნა თანა შემწე და მწე ი არა მყავს, ხოლო ქადაგება წმიდის ნინას მონასტერსა ში. ითხოვს გარდასაწერად და მუნ არს. არცეთი წამი არა არს ჩემთვის თავისუფლებითი, უმეტესად ეგზემენიამდი; ყოველთა მოქმედებათათვის საკუთრად წარმოვსწერ.

ალექსანდრე⁷ ჩემთან დგას, რიფსიმა მეფის ასულსა, თაყუანისცემა მოგახსენათ და თვთონ სიმრთელით იმყოფება, ზაქარიასგან⁸ წარმოგზავნილი წიგნი მომივადა, გარნა ჩნ აქავე ტელელარფსა შინა ვიხილეთ ქება ლოდიკისა⁹, ხოლო თავადს ზაქარიას მოგახსენებ [მადლობასა]. ლენგრალ სიპია-ლინმან განხსნა კომიტეტი, სადაცა გამოიცემა როსსიულსა, ქართულსა და სომხურსა ენასა ზედა სხტა და სხტანი ცნობანი ანუ გაზეთნი და სხტანი. წარსრულსა ავთრათსა შინა მოგწერე მამო ოსიბ იაკოლიჩის¹⁰ დუქნებისათვის, მე მითხრეს ორი დუქანი დაიქცევაო პლანისაგან და თუ ინებებთ, ეცადენით დროზედ ანუ მსწრაფლად წარმოგზავნა, რათა მიიღოთ თვისი საკუთარი, წინა აღმდეგსა შემთხტავასა შინა შემდგომად არლარა იქმნების მისაღებელი, მოვალეცა მიიცვალა.

მსურველი ხილვისა თქტუანისა და სიმრთელისა

სოლომონ დოდაშვილი — მადაროელი.

მარტის 10-სა 1828 წელსა.

მნ. მ ა ხ გ ე

მაღალ ღირსო მამაო სულისა ჩემისაო იონა,

უმოწყალესო კელმწიფევ!

დღესასწაულთა დღესასწაულისა მომლოცველი და მღალადებელი მისდამი სურჯლისა ჩქმნისა აღსრულებისათჳს წარმოვსწერ მაკურთხეველისა ჩემისადმი მცირესა შემთხჳსულებასა: დღესა მესამესა ქრისტეს აღდგომისასა მეექჳსესა ჟამსა განთიადისასა იყო ძლიერი ძრვა მიწისა ტფილისსა შინა, რომელისა გამო ყოველნი მძინარენი განღვიძებულ-იქმნენ, გარნა არა სულითა, არამედ სხეულითა.

მეორე, უკეთუ ინებოს ნათელმან ნათელთამან, თთჳსსა მისსა გამოცხადება მოკლე თხზულებაჲ ჩემი როსსიულსა ენასა ზედა სიბრძნისათჳს რომლისამე შემთხჳსულებისა, ესე იგი ოთხისა მდგომარეობის საქართჳსლოსა შინა ძჳსლისა დროჲსა, უკანასკნელისა აქამომდე, აწინდელისა და მყოობადისა, რომელსაცა იხილავთ სრულიადსა შედრგინებასა მისსა ცხადად. მისის გასულს ვგონებ ქართულადცა იქმნას. უძნელესი თანამდებობა ჩემი მიმკდელი უფლებისა არს შესაწუხებელი სულისა ჩემისა, რომლისა გამოცა არა ძალმიძს ყოვლისა სურჯლისა აღსრულება. მოწაფეთა ჩემთა არა აქჳსთ სული აღძრული და განღვიძებული მისწვდნენ ჳეშმარიტსა კეთილსა და საამო აღმოკობილებასა, არა აქჳსთ მიდრეკილება განათლებისადმი ზრახვისა, ცნობისადმი (სურვილისა) ნებისა და განვთარებისადმი გრძნობისა (გულისა). არა შესაბრალებელ არსა კაცი მყოფი სიმგრგუალესა შინა ესე ვითართა ერთასა, სადაცა არა იხილვების არცა განათლებულნი, არღა ღონენი ანუ საშჳლობანი მისნი, და სადაცა არა ისმის სათნოებანი. კაცი ესე ვითარი შესაბრალებელ არს, რომელიც ექჳსთების მაღალსა რაჲსამე და არა ჳოვებს ღონესა და დროსა ადგილსა შინა. და ესრეთ მამაო წმიდაო და განათლებულო! გთხოვ უმდაბლესად მომცეთ შემწეობა კარგისა წიგნებითა შესაწევნელად და ნუგეშად სულისა ჩემისა ყოველ-

თა სხტათა ამათ წარმოებათა შინა, ოდეს მექმნება მე უსასი-
მოენესი სიხარული პირისპირ ხილვისა, ინებოს მაღალმან მო-
ნიჭება მის დროჲსა და აღსრულებად კეთილისა სურჯლისა
და ღირსყოფად პირისპირ მეტყუტლები¹ თქტუნდა. სიყუ-
რულით ძმასა თქტუნსა², ადამსა³ და სხტათა მიულოცავ
დღესასწაულსა. ადამ ყავით განღვიძებულ, რათა დრონი არა
წარსწყაიდოს და წარსაგებელნი ამოა არა იყუნენ, ნუ უკვე
არა ჰგრძნობს არსებობასა თვსსა და მოქმედებათა თქტუნ-
თა. აწინდელსა დროსა მამულიაა ჩტუნისათვს დიდ ფრიად
საჭირო არს სწავლა, რომელნიცა ყოვლით კერძო იხილვებიან
თვალთ, მე აქა არა საჭიროდ ვრაცხ დამტკიცებასა, ვინაჲთ-
გან პეტერბურლსა შინა მყოფი ვინარა ჰზრახავს და გრძნობს,
უმეტესად მეტყუტლებანი თქტუნნი აღმოჩინებისათვს მისისა
არა სახილველ არს მისთვს.

მიბრძანეთ ვითარებანი თქტუნნი, რომლითაცა მახარებთ.
ოსებ³ იაკოვლევიჩს³ მოაწერინეთ წერილი ანუ ავთრათი დარ-
წმუნებით ღუბერსკის პრავლენისთა მიღებისათვს ვასხისა, რო-
მელიც იღებს ფულსა, ესე იგი პლეშჩიევი⁴, არღა ემსახურე-
ბის სუდსა შინა რომლისამე შემთხვეულებისათვს, მან მითხრა
ექვსისა თთვსა აკლიაო ექვსი თუმანი, ეშურეთ დროსა უკეთუ
ინებოთ

თქტუნი მაღალ ღირსების მორჩილი შვლი და
მსმენელი სოლომონ დოდაევი.

1828-სა, მარტის კ-სა.

36. მ ა ხ ვ ე

თქტუნო მაღალ ღირსებაჲ მამაო წმიდაო მოძღვაო
მამა იონა, უმოწყალესო კელმწიფე!

განწმედილსა და მაკუთხეველსა მარჯვენასა ზედა ამ-
ბორებას მოგახსენებ და დაცვასა სიპრთელით და მშვდობით
გულითადურ ვისურვებ და უბესა ამას ზედა ქტყუნისასა ბედ-
ნიერებისათვს ჩნისა, რნიცა მოველით მზრუნველობითსა ყუ-
რადღებასა თქნისა მაღალ ღირსებისასა და ვმადლობ წმიდა-



საქართველოს
საზოგადოებრივი
მეცნიერებათა
აкадеმიის
გამოცემის
სახელით

სა წმიდათასა ორისავე კერძო, ესე იგი მეფეთა და ქალაქთა თქუნიისა კეთილ-დღეობისათჳს, რომელმანცა ვისმინე მიმ-
ლებმან ავთრათისა თქუნიისამან, შემდგომ მქისეიყით მოსლვისა
ჩემისა ქალაქად ტფილისად ივლისის 2-სა. მასთანავე მებოძა
ლილნი წარმოგზავნილნი, გარნა არა ფორმისა ჩემისანი და არ-
ცა იხმარებიან ჩემ მიერ, რომელთაცა მისაბრუნებლად წარ-
მოგზავნი მანდავე მძიმე ფორტაში ანუ შიკრიკით, ვინაჲდგან
ლილნი ესე არა არიან ხორკოვის უნივერსიტეტისა, არამედ
ხორკოვის ლუბერნიისა უნივერსიტეტისა ღილთა აქვსთ ღერ-
ბად არწივი.

მიბრძანებთ გამოცდასა აქაურის შკოლის თავადთა და
აზნაურთასა. წარმოსულთა მავათ თავადთა და აზნაურთა არა
აქუსთ. მიღებული სული იგი, რომელიცა მიმიღიეს მე თქუნი
მიერ. აქაცა უმოავლესი რიცხვ მათგანნი მიმოდაეგებიან იქი-
აქა, არა მცნობნი არცა თავისა თჳსისა და არცა სოფლისა
ანუ არსებისა და ბუნებისა. მოთმინება და სულგრძელება მათ-
თჳს, რომელთაცა არა აქუსთ განმრჩეველობა თავისა თჳსისა
პირუტყვთაჲს და არა უწყიან საგანი თჳსნი მამავო სასურ-
ველო. უტევოთ თავადნი იგი შემოსრულ სხუა მამულიდგან,
აწ რაჲსთჳს იქადიან მამულსა შინა ჩუნი? რაჲ აქუსთ ანუ
მუნ ძეშლსა მამულსა და ანუ ახალსა შინა საქადელი, ვი-
ნაჲდგან არა რაჲ იხილვების საკუთრება მათი და არცა მოქ-
მედება გონებით და კელოვნებით. ყოველთავე იმათ გუარისა
ანუ სქესისა მაქებელთა მიუგოთ ესრეთ: არა გუარითა იქების
კაცი, ანდ გონებითად მოქმედებითა კელოვნად, იგინი უსარ-
გებლო ლექსებითა წარაგებენ ღირსებასა თჳსსა და არა რაჲ
დაშთებათ, მე ესე ოდენ განშორებულ-ვარ ტრახახთაგან, ვი-
თარცა ტფილისი პეტერბურგისაგან სივრცითა, ცუდ და უსარ-
გებლო მეტყუტლებისათჳს დრო არა იპოება ჩემ შორისა და
არცა მსურს. საგანი ჩემი არს სიბრძნე, ვითარცა უწყით და
ვსარგებლობ ესრეთ თქუნი მიერ, ვითარცა ვსარგებლობდი
თქუნი წინაშე, რომლისა თჳსცა მაღლობასა ჩემსა არა აქუს
საზღუარი და არცა ექმნების ყოვლისა რაჲს მიმართობითა
ანუ ყოვლითა გარემოებითა ძალისაებრ მოქმედებათა სულისა



ჩემისათა; და ყოველთა კეთილობათათა თქტუნთათს ვკრძნობ მარადის და აღვაღვლენ ვედრსა უმაღლესისადმი საუკუნოდსა ცხოვრებისათს თქტუნისა, ვინაჲთგან მზა ხართ წარმართებად მარადის საქმეთა ჩემთა.

შემდგომ ეგზეგეზიკისა შესრულებისა ივნისის 6-დგან ორს კვირას დაეჰყავ თბილისსა შინა, სხტა და სხტათა საქმეთათს წარველ მქისეიყად, სადაცა წარვმართე სახლისა ჩტუნისასა, ესე იგი მამისა ჩემისა და ძმისა თქტუნისა საქმენი სხტა და სხტანი. სოლომონის¹ მარანში გახლდი ერთი ღღე და დიდ ფრიად მხიარულებით და სიყვარულით დამიხტდა, მრავალჯერ თქტუნი ვჰსვით და ძმისა თქტუნისა გიორგისა სადღეგრძელო. სიღნაღის ნაჩაღნიკთან მიუწოდე ვაქირის ქეგხას და უთხარ, რათა სახლსა ძმისა თქტუნისასა არა რაჲ უსიამოვნოება არა მისცეს, რომელმანცა ფიცით აღმიტქტა. ვიდრე ჩემს მისვლად-მდე სოლომონს ქალი თჰსი დაენიშნა ვაქირსა შინა მცხოვრებს დემეტრა შვილზედ², რომელიცა არის მღტდლის შვლი, მე მოუწოდე და განჰხილე იგი, ვსცან ფრიად კეთილად და გავითარებულად ჩვეულებისაებრ ივერიის. ძმა თქტუნი სოლომონ და სახლეულობა მისი გთხოვსთ შემწეობასა ქალის მზითვასა. ესე ესრეთი, გარნა ერი მის მაზრისა ფრიად მწუხარე და მტრალი ვიხილე, ნახევარი მცხოვრები არღა იპოება, რომელნიცა გარდაეგნენ სხტა და სხტასა მხარესა ანუ კერძოსა ამას ქტყანის ნაწილისასა შიმშილისა გამო, მრავალი არ მოვიდა, ახალი არა რაჲ და ძველი ხომ არღა იყო: კოდი ფქვლი ოთხ მანეთთ თეთრ ფულად კახეთში და მადლობა ღმერთსა ქლაქში უფრო იაფია, გლეხთა ვინ მისცათ, რათა მოივაჰკრონ ფასითა ამით, ესე ვითარმან მდგომარეობამან სახლეულთა ჩნთა და მემამულეთამან დიდ ფრიად მწუხარე მყო და შეჰირვებულ, მოვაჰკრებითა ვზრდი თავსა თჰსსა და მოყტასთა ჩემთა და თქტუნთა.

შემდგომ მუნ რაოდენისამე დღისა ყოფნისა ჩემისა სიღნაღს მობრძანდნენ ლუბერნატორნი: მკედართი და ქალაქთი³, განიხილეს ერისა მწუხარება და ადგილისა მდებარეობა, მე მიბრძანა მსწრაფელ ქალაქად ტფილისად ჩამოსვლა, მხოლოდ



დავყავ მუნ ორი კვრა, დაუტევე ძმანი ჩემნი და ძმისწულნი¹ თქტუნნი სახლსა შინა ჩნსა, ვიდრე კანიკულის შესრულებადმდე თხოვისაებრ მშობელთა მათთა. დროსა მოსვლისა ჩემისასა ტფილისსა დამნიშნა ღუბერნატორმან კომიტეტსა შინა გამოცემად ვედომოსტებისა ანუ გაზეთებისა², სადაცა იქმნებიან სხტა და სხტანი გჳარნი თხზულებათა წარმოებათანი, რომელნიცა შემთხტსულან ანუ შემთხტსულ იქმნებიან. ჩტჳ ვიწყეთ გამოცემა ამ ივლისის თტჳში ომარხნის³ ომიდგან, გარნა რომელნიმე ძტჳლნი თავნი იმყოფებიან კომიტეტსა შა და ვერა რაჲ შემისმენია ქართულისა ფრაზისათჳს.

შეკითხტანი თქტუნნი ათვრამეტნი და მეორე ბოლოს ჴედნი ღვთის ცნობისათჳს მივიღე და ვსასოებ, უკეთუ ინებოს მაღალმან, რათა განვმარტო ძალისაებრ ჩემისა. მოცემულთა ჟამებთა შინა მამულისათჳს, გთხოვ ხშირად მიბრძანებდეთ თქტჳს ვითარებას, რომლითაცა ფრიად მახარებთ. ადამ ღირსიევს მოჴკითხავ სიყვარულით და ვახარებ მშჳდობასა სახლეულთასა.

მდაბლად თავის დაკვრას მოვახსენებ მათ, რომელთად მეცა ძალ მიძს. მამა ჩემმა მდაბლად თაყვანისცემა მოვახსენათ და ძმამან ჩემმან სტეფანემან, შემოდგომასა ჰსურის წარმოსვლა რუსეთად და რაჲსა მიბრძანებთ.

მე ყოველთვის მზად გახლავარ შემოდგომად რჩევისა თქტჳნისა და ვჴკონებ აჴამომდე სცნობდით ყოველსა თჳსებასა სულისა ჩემისასა და მოქმედებასა, ვითარცა ჰსცნობდით პეტერბურხსავე შინა. მაჴურთხეთ მწოდებელმან ჴვლად სულისად, უკეთუ ინებებთ ხვასტაკისა დადებასა ტფილისის ლომბარდსა შინა, იგი იქნების არა ერთისა სულისათჳს, არამედ მრავალთათჳს და საუჴუნოჲსა ნეტარებისათჳს თქტჳნისა, უკეთუ არა მაჴუნდეს ნაკლი ხვასტაკისა, მაშინ უმეტესი საქმენი იწარმოებდა ჩემ მიერ მამულისათჳს.

დროსა მეოფობისა ჩემისასა სიღნაღსა შინა გამოუცხადე განხსნა სასწავლებლისა, რომელთაცა ვამხილე სარგებლობა, გარნა რომელნიმე თანჴმანი იქმნენ და უმრავლესი ნაწილი არა, მომავეს შიმშილი გვაწუხებსო, თანჴმანიცა სიტჳთა

ჰო ჰო და საქმითა არა რაჲ, გარნა თვთ მთავრობასა ჰნებაჲს
ყოველსა ჭეშდსა შინა განხსნა სასწავლებლისა.

თქვენის მაღალ ღირსებისა სულიერი შვლი

სოლომონ დოდაშვილი.

1828-სა, ივლისის 6.

37. მ ა ს ვ ე

თქვენსო მაღალ ღირსებაჲ, მამაო წმიდაო და ნათლით
შემოსილო, მაკურთხეველო სულისა ჩემისაო იონა!

ამ ჟამს ჩიკრიკი (ფოჩტა) წარმოვაღს და ვეშურვები წე-
რასა მოკლედ, სადაცა გამოვხატავ შემთხვეულებასა მდგომარეობისა ჩემისასა. დღეს შესრულდა ჩემზედა საიდუმლო ქორწინებისა შემდგომითა წესითა: ლუბერნატორმან¹ ინება პირველად წინა დადება, რათა მივიღო მეუღლეობა აღრჩეულისა მის მიერ სძალსა ზედა, ესე იგი, მან აღარჩია ჩემთვის ნათესავით ქართველთა კეთილშობილთაგანი კობიევისა და შვილობილი ლუბერნიის არხიდეკტორისა,² რომელსაცა აღუზრდია უკეთილესად ორსავე ენასა, ესე იგი რუსულად და ქართულად, წლისა ათოთხმეტისა, რომელიცა შესაძლო არს უმეტეს განვთარებად ამისსა, ვითარცა ჰსთნდეს მეუფესა, სახელი მისი არს ელენა დეოდორესი. ვიცი, რომელ თქვენსა მაღალ ღირსებასაცა ჰსთნდა ესე და მაქჲნდა კურთხევა ამის სჯულისა შეერთებისათჲს და უმდაბლესად ვითხოვ, რათა კდცა მაკურთხოთ, რომელიცა შემემთხვა მსწრაფლად, თუმცაღა მაქჲნდა მისი აღრე, გარნა არა ზრახვა, კვრიაკესა დილით ლუბერნატორმან მიბრძანა და საღამოზედ ღამით ჯვარისწერა იქმნა ჩემი. მეუღლეობისა ამის ჩემისა მე კმაყოფილი გახლავარ და ესრეთ ესე ჯერ იყო ყოფად და იგი არა დატეებად. ამის გამო მამაო უსაყვარელესო და უძვირფასესო სულისა ჩემისაო, ნუ იზრახვთ რათა სხუანი საქმენი ჩემზედა რწმუნებულნი იყვნენ ამის შემთხვევის შემდგომ დაყოვნებულ, უმეტესი ძალის კმევა და შრომა მოუწყვეტელი მექმნების. კომიტეტსა შინა, სამხედრო ლუბერნატორმან და მზრუნველმან



კომიტეტისამან³ მარწმუნა საკუთრად მე გაზეთებისა და ჟურნალებისა გამოცემა, საქმისა ამის გამო არა მაქვს არცა ერთი წამი თავისუფლებითი, არცა ღამე და არცა დღე მოსვენება არა მაქვს, მერწმუნეთ ყოველსა ამას და შემობრალეთ ესოდენისა საქმისათვს, რომელ საკუთარნი საქმენი ჩემნი და სახლისანი დაშთომილ არიან ჯერეთ, უმეტესად სხტა და სხტანი თხზულებანი ჰმთებთან შეუსრულებელად და დიდად ვჰსწუხვარ. თქტჳნ ბრძანდებოდეთ სიმრთელით და მშვდობით და ყოველივე აღსრულდეს ვითარცა ენებოს მაღალსა ბრძენსა.

აგარის დაკავებისათვს ანუ დაგირავეებისათვს გებრძანათ წარსრულსა ავთრათსა შინა, ესე დიდ ფრიად კეთილი და სასარგებლო მარად ცხოვრებისათვს ჩნისა და კეთილთა საქმეთათვს ფრიად საჭირო არს და ცნობისაებრ ჩემისა, კაპიტალი რაოდენიცა იქმნების, ერთსა წელს ათად შეიქმნების, და გთხოვ უმდაბლესად აღასრულო ბრძანებული იგი თქტჳნი და მომცეთ კეთილ შემთხტევა და სარგებლობა სახლეულთა ჩნთათვს. დიდად ვჰსწუხვარ, რომ გიორგი პაიჭაძე⁴ აქ არ იმყოფებოდა ამ შემთხტევაში. ტიპოღრაფიისთვს, რომელიცა კომიტეტსა შინა სიჭირო იყო, ერთი სომეხი განაწესეს და მისცა ოცდა ათი თუმანი თეთრი ფული ღუბერნატორმან.

მომიტევით, რომ არა ყოველი გარეშოება გამოხატულ არს ამა ავთრათსა შინა, ვინაფთვან არღა არს ჟამი და არცა წამი დროჲსა. მშვდობით მიბრძანეთ ვითარება ძმისა თქტჳნისა⁵ და სხტათა ვითარებანი და მოიკითხეთ ყოველნივე. სახლეულნი ჩტჳნნი მშვდობით არიან. დროშკა მოივატრეთ და დროზედ წარმომიგზანეთ, რომლისათვსცა ვალი განმრავლდების ჩემსედ.

მდაბლად თაყვანისცემა მოგახსენეს ბარებარე ბატონის შვილმა⁶ და სხტათა. დიაჩოქი კახაბრიძე⁷, მდაბლად გთხოვსთ, რათა უბრძანოთ მის ბატონის შვილს ჯორჯაძეს⁸, რომ დაიბაროს თვსთან.

თქტჳნი მაღალ ღირსებისა უმორჩილესი მოსამსახურე შვილი თქტჳნი სოლომონ დოდაევი.

აგვისტოს 4, 1828-სა, ტფილისით.

38. მ ა ს ვ ე

თქვენო მაღალო ღირსებაე მამაო იონა,
უმოწყაღესო კელმწიფე!

„სული ჩემო ყურად იხტუნ სიტყუანი ტკბილნი საესენო მადლითა, ვეჯევი მე მარტიესა ცხოველ არსებასა და ჰსცან გამოხატული აზრი მამისა შენისა, ჰგრძენ გულო ჩემო კეთილი მზრუნველობა მაკურთხეველისა შენისა, რომელიცა ყოველსა წამსა მოღვაწეობითა თვსითა არა დასცხრების თვნიერ მრომისა და ძალის კმევისა თვსთა მოქმედებათა შინა სარგებლობისათვს საყვარელთა მემამულეთა თვსთა თავისა შენისათვს, რომელიცა მზად გეყო შეწირვად მამულისა ანუ სასარგებლო წერად საზოგადოობისა“. მამაო ბრძენო, მიმღები ავთრათთა თქვენთა აგვისტოს 8-სა და მოხარული სასიამოვნო ცნობათათვს სიმრთელისა თქვენისათა და სხტათა ზრახტათათვს კეთილთა გამოხატავ თავსა თვსსა ზემო წარწერილსა; მე მაქტნდა ბედნიერება სამისა ავთრათისა თქვენისა მიღებად: პირტსლი თავადის ფარსადან ციციანოვთან¹ ყოფილის კაცისაგან, რომლისაცა სახელი მიმეფარა, აგვისტოს 3-სა ივნისის ე-თვან წარმოვზავნილი, ხოლო ორნი ავთრათნი ერთს და ერთსა დღესა, ესე იგი 8-სა აგვისტოს ერთი ათისა და მეორე კდ-სა ივნისისა მოყვისა ჩემისაგან, რომელსაცა მიეღო პოჩტასა შინა. პირველსა ავთრათსა შინა თქვენსა ვიხილენ განხილვანი თქვენანი, სხტა და სხტათა გტამთანი, რომელნიცა ჭეშმარიტ არიან აქაცა მამულსა შინა ჩტუნსა ეგრეთ. ბრძანებთ კუჭითა და ტანტალითა განვთარებულნი, ხოლო ორთა მათ ავთრათთა შინა შეიცვებიან მიღებისათვს ავთრათთა ჩემთა პასუხნი და სხტანი ტალანტნი სულისა თქვენისანი, რომელთაცა სული ჩემი გარდაიტვიფრავს საზრდოდ თავისა თვსისა და სასარგებლოდ მოსწავლეთა მიმართ, მიბრძანებთ რა სოლომონისათვს ძმისა თქვენისა ხვასტაგისაგან ჩემისა ათის თუმნის მიშველებასა მოვაჭრებისათვს საზრდოთა. მე ესე ვითარისა შემწეობისათვს მზად გახლავარ, ამას წინათ ეთხოვნა ორი თუმანი თეთრი ფული და წარუგზავნე,



დიდმარხუაში წარმოვიდა თქუენის ძმის სოლომონის სიძე პეტერბურღში, უკანასკნელ კვირაში მე მრავალი ვურჩივე წარმოუსვლელობა და ვჰკითხე საგანი, რისთვის მისდიხარ, არც მითხრა და არც დამიჯერა. მე მივდივარ ბატონის შვილებთანო, საქმე მაქუსო. მე მრავალნი მიზეზნი წარმოვედგინე, რომ ტყუილი შრომა გექნება, გძელი გზა არის, იქ ვინ გაცხოვრებს, მამა იონა აქ მობრძანდება, ბატონის შვილები სხუა ლუბერნიაში მიბრძანდებიან და სხუანი, გარნა არა რაჲ შეისმინა ჩემგან და წამოვიდა, ეგე ვითარი უსმენელი ღირარს უკანვე წარმოგზავნისა ეგრეთითავე ხატითა, ვითარცა წარმოვიდა თქუენის უკითხავათ, სხუებრ იყავნ ნება თქუენი.

ძმისწული თქუენი იოანე, აღდგომის კვირაში შინ დამეთხოვა, მეც ვაპირებ სასწავლებლების განსაჩხრეკათ სილნახს და თელავს ამ კვირას წარსვლას. ყოველსავე გარემოებასა საქმეთა ჩემთასა და მდგომარეობასა ჩემსა, ეგრეთვე



სახლეულთა თქუწნათასა წვლილათ მოგახსენებ შემდგომ კახეთში
თიღამ უკუნ მოქცევისა ჩემისა.

მთავარმართებელი ჩუწნი ივან ფეოდოროვიჩი ღრფი
პასკევიჩი ერივანსკი დღეს გამობრძანდება თფილისიღამ ს.
პეტერბურღად. მოწყალე მზრუნველი და სწავლის მოყვარე,
არღა ვუწყით, უკეთუ მოვაკლდეთ გმირსა მფარველსა ჩუწნ-
სა. იყავ ნება უფლისა საქართუშლოსა ზეღა.

მამაო საყუარელო და სასურველო! მიბრძანე ყოველივე
ვითარება თქუწნი, მახარეთ ამბითა თქუწნითა გულისა ჩემი-
სათვს სასიამოვნოთა. გარდამოავლინეთ კურთხევა თქუწნი
მწყურვალსა სულსა ზეღა ჩემსა და ჰყავნ შენდობა კაცოვრო-
ბისა ნაკლებობისა, უკეთუ იხილოთ აზრთა შინა ჩემთა. მშვი-
დობით.

სულიერი შვილი თქუწნი ელენა, მემცხედრე ჩემი, მო-
გილოცავსთ დღესასწაულსა აღდგომისასა და თქუწნს სიმრ-
თელეს ისურვებს.

თქუწნის მაღალ ღირსებისა უუმორჩილესი სულიერი
შვილი თქუწნი სოლომონ დოდაევი.

აპრილის 28-სა დღესა, 1831 წელსა, თბილისი.

მ ა ხ ვ ე

[მღვდელ მოძღვარო მამაო იონა]!

წმინდისა და მაკურთხეველისა მარჯუწნასა ზეღა თქვენ-
სა ვეამბორები და სულით ვისურვებ თქუწნ სიმრთელესა და
მრავალსა წელსა სიცოცხლეს, ვინაჲდგან ყოველივე კეთილი
მდგომარეობა და ცხოვრება მაქვს თქვენგან და შემდგომცა
მოველი ამას. ყოველი კაცი ესრეთ ჰზრახავს. აჰა ჰაზრი, რო-
მელიცა განმეცხადა დიდსა შეკრებულებასა შინა და თვთ მე
ამას ვგრძნობდი და მარადის ვჰგრძნობ, მხოლოდ ეს მე-
წუხება, რომელ ვერ შემძლებელ ვარ თანასწორისა მადლობი-
სა გამოთქმად დიდ ფრიადთა მოწყალებათათვს, მზრუნვე-
ლობათათვს, კეთილობათათვს, მფარველობათათვს.

შანშე ერისთოვთან და სხუათა თავადთა და აზნაურთა
მეცა ვიმყოფებოდი სტუმრად მიწვეული, მუნ შემოვიდა დე-

კანოზი აარონ², რომელიცა შემდგომ რაოდენისამე წამისა შეუდგა ფარულად გამოკითხვას შინა ჩემსა და მოვიდა, იწყო კოცნა ჩემი: შენ ხარ ნაშვილები მამა იონასო—მკითხა. მიუგე—მე ვარ შვილობილი. ღმერთმან გაკურთხოსო, სიტუა ამან, მამა იონა არს ბრძენი. შენს მოსვლამდე მრავალნი ქართველნი იყვნენ და არავინ იშვილა, შენ შორის იზილა მან შიში ღვთისა და სიბრძნე, ამისთვის გიშვილა. მრავალი წარაგო შენს ჰსწავლაზედ და ყოველი მოგებულნი თვისის კონდაკით შენ მოგცა და ყოველი შენთვის უნდა, ეს სრულიად საქართველომ იცის, ძმებიცა ჰყავს, ძმის წულნიცა, გარნა ურჩნი ღმერთმან აკურთხოს მამა იონა, ღმერთმან გაკურთხოს სოლომონ დოდაეც და სხუანი.

შემდგომ იწყო ძმისა თქვენის შემთხვეულებანი³, თუ ვითარნი მწუხარებანი მოგცათ, თუ ვითარ მე მემუქროდა და სხუა საგნად საუბრობის შეკრებულობასა შინა შეიქმნა თქუცნი და ჩემი სიყუარული ურთიერთა შორის.

მე აქამომდე აარონს ვერ ვიცნობდი და ვერცა იგი მე.—მრავალჯერ მსურდა შენთან მოსვლა, შენი გაცნობა—მითხრა მან. მე ვსთხოვე ინებებდეს მობძანებასა და სხუანი.

მოდღვარებათათჳს მამობრივთა სიყუარულთათჳს და სხვ. მე სრულებით ყოვლით თვისით თქვენგან ვარ და თქვენი ვარ. გარნა განმიკვირდა დაგვიანებამან თქვენის ავთრათისამან. განვლო მრავალმან დრომან და არ მივიღე ცნობანი თქვენის ვითარებისანი, დამივიწყეთ მამაო საყუარელო? ნუ ინებოს ღმერთმან, არა რომელსა შემთხვევასა შინა არა მოველი მე ამას, რომელ თქუცნ ინებოთ ჩემი დატევება—დავიწყება, ვინაჲდგან თქუცნი ვარ და თქვენგან ვცხოვრებ და დიდნი იგი მოწყალებანი და კეთილ მოქმედებანი, რომელთა მიერ მე ვსარგებლობდი და ვსარგებლობ. არ განიკვეთებიან, არამედ განგრძელდებიან და განმრავლდებიან უმეტეს აღმოცენებად ნაყოფთა.

უსაყუარელესო მამაო! ორი კვირა მგზავრათ გახლდი გორს და ღუშეთს, ამასთან მთიულეთს, სადაცა ვიხილე მთიერნი, ვსცან თჳსება მათი, ზნე და მღგომარეობა და აღვ-



წერე გაზეთებისათვის. დროსა ამას იყო დღესასწაული ღმრთის გიორგისა—ლომისად წოდებულისა 12-სა ივნისს, ვილოცე მთასა ზედა ლომისისასა და მოვიქეცე ქალაქად. გზაზედ ვგონებდი, რომელ, მოვალ რა, დამხვდება თქუპნი ავთრათი, გარნა არა, შევეწუხდი. ავიღე რა კალამი, გწერ ავთრათსა ამას და ვის გწერ და ანუ გეზრახები.

ჟი მამაო! ნუ დამივიწყებ—მახარე ამბითა თქვენითა. მქისეყიდგან არავინ მოსრულა და სახლეულთა ჩუპნთათვის არარაჲ ვუწყი. მომავალს კვირას გიახლები მუნ და ყოველსავე განცნობებ ძმათა და ძმისწულთა თქუპნთათვის.

მე სიმრთელით გახლავართ სახლობითურთ. რომელიც თქუპნთვის, ცენზურობის პროექტი მთავარ მართებელმან წამოიღო, და არ ვიცი მალე დაამტკიცებენ თუ არა, მაგას ველით, რა რომ მივიღებთ, მყის მე ლე ქსიკონის ბეჭდას ვიწყებ.*

მშვიდობით, თქვენი სულიერი შვილი

სოლომონ დოდაევი.

ივნისის 19-სა დღესა. 1831-სა წელსა.

54. მ ა ს ვ ე

თქუპნო მაღალ ღირსებაჲ მ. მ. მამაო იონა,
უუმოწყალესო კელმწიფეჲ და მზრუნველო!

წმიდასა და მაკურთხეველსა მარჯუენასა ზედა თქუპნსა ვეამბორები და სიმრთელესა თქუპნსა ვისურნებ გულითადიერ.

ოჰ! რა მწუხარებაში ვარ მსმენელი გამოჩენილისა ხოლერისა. მგლოვარე გულითა ვევედრები მეუფესა ყოველთასა, რათა დაგიფაროთ თქუპნ, ყოველსა წამსა მღვიძარე და მძინარე გამოხატეასა შინა მაქჟს გარემოება თქუპნისა მდგომარეობისა და ვევედრები და მით ნუგეშსა ვცემ თავთა თქუსა.

აქამომდე, შემდგომ მანდ ხოლერის გამოცხადებისა, მოველოდი ავთრათსა თქუპნსა და ვერ მივიღე, ხოლო მე ვიყავ დაშთომილ მღუმარედ ლოცუასა შინა.

მშვიდობით ღმერთმან დაგიფაროსთ განსაცდელისაგან, გევედრები, მიბრძანო მამაო უსაყვარლესო, ყოველი ვითარება

და გარემოება თქუნი და ძმისა ჩემისა სტეფანესი, რომელსა
საცა მფარველათ, ნუგეშათ და მზრუნველათ თქუნი ბრძან-
დებით. ჩუნი ყოველნივე თქუნი აქ, საქართველოსა შინა.
მყოფნი, სიმრთელით და სიცოცხლით გახლავართ. ეგრეთუ
საქართველოსა შინა მშვიდობა არის და კეთილ დღეობა
ღმერთმან ინებოს მანდაც ყოველი კეთილი და თქუნი გამო-
გისნად უფალმან ყოვლისა სნეულებისაგან.

შვიდობით იყავნ, წყალობა უფლისა თქუნი ზედა, ვი-
თარცა მე ვესავ მას. მშვიდობით, თქუნი სულიერი შვილი
სოლომონ დოდაევი.

ოსიპ იაკოლიჩს დუქნების ნამდვილი დოკუმენტები გა-
მოგზავნეთ, კობიოს მთავრო[ბა] არ ერწმუნება. კდ მითხრეს
რომ დუქნები კი არ არს დაგირავებული, მხოლოდ დოკუმენ-
ტები მიუტიაო.

ივლისის 30-სა დღესა, 1831 წელსა, თბილისი.

მწ. ოქროპირ ბატონიშვილისადმი

თქვენო უგანათლებულესობავ საქართველოს მეფის ძე
ოქროპირ¹,

უმოწყალებსო ხელმწიფევ!

მდაბლად თავის დაკვრას და ხელზედ კოცნას მოგახსე-
ნებ, თქვენს უძვირფასეს სიმრთელეს ვისურვებ ყოვლითა სუ-
ლითა ჩემითა და მრავალს წელს სიცოცხლეს. ბატონიშვილო!
არ ვიცი რომელი დრო იქმნება, განგრძელდება ეს დრო, თუ
ახლო არის, რომელსაც ყოველი გონება ჰზრახავს, მოძრაო-
ბასა შინა და მოქმედებასა არს... როდის გიხილავთ მამულსა
შინა. თუმცა აქამომდე გახლდი მდუმარე და არ ვაცხადებდი
წინაშე უგანათლებულესობისა თქვენისა სიყვარულსა თქვენსა,
გარნა ამის გამო ნუ ჰგონებთ, რომელ თქვენც დავიწყებული
ჰბრძანდებოდეთ ჩემგან. მე ყოველთვის მახსოვხართ, და მაქვს
გულსა შინა დამარხული წინადადებანი თქვენნი ყოვლისა
დროსა შინა სწავლათა გარდაცემისასა.



ამ წიგნის მომართმევი გახლავსთ მღვდლის შვილი, ამის მამა ბატონიშვილს ალექსანდრეს ახლავს. ეს გიახლებათ პეტერბურგს ფარნაოზ ბატონიშვილთან³ და ინებეთ უბრძანოთ თქვენს მოსამსახურეთ, ჟღერონ გზა წარსვლისა.

უკეთუ ინებებს თქვენი უგანათლებულესობა და მამედნიერებს ამბითა, ჩემთვის იქმნება დიდი სიხარული.

თქვენის უგანათლებულესობის მოწყალისა ხელმწიფის მარადის მსურველი სიმრთელისა უმორჩილესი ზოსამსახურე და მონა სოლომონ დოდაევი.

სექტემბრის 18 სა 1831-სა, ტფილისი.

56. ფილადელფოს კიკნაძისადმი

მამაო წმიდაო ფილადელფოს!

უსასიამოვნესი წერილი თქვენი მებოძა, რომელმანცა ფრიად მახარა უძვირფასესი სიმრთელე თქვენი. თქვენის საქმისა მე წარსრულს წელს მოგწერე, და არ ვუწყი მოგერთვათ თუ არა? არქიერთან რაოდენჯერმე გახლდათ დირექტორი, გარნა არ ინება წარმოედგინა მიზეზნი სხტა და სხტანი. შემდგომ არ ვიცი რა იქმნება¹. გაზეთები და ჟურნალი გამოდის², წელიწადში რტა მანეთი თეთრი ფული გახლავსთ იმისი ფასი. უკეთუ თქვენ აღწერთ რასმე სტიხად თუ პროზად, დაჰბეჭდენ ჟურნალებში. მე გირჩევ იყიდოთ, ამისთვის, რომელ მრავალი სასარგებლო აღწერა იქმნება იმაში და უკეთუ თქვენ შეჰნიშნავთ რასმე ცუდსა, ძალგიძსო წინააღმდეგომნი დასწეროთ, რომელიც დაიბეჭდება. ორს ნომერს ეხლავე გიგზავნი, რტა მანეთი გამოგზავნეთ, თუ გნებავდეთ მანდაურს ნაჩაღნიკს მიართვით და ის გამოგზავნის, რათა შემდგომნი ნომრებიც კომიტეტმა გამოგიგზავნოს, სხტათაცა ჰსთხოვე და კიდევ ეცადენით, რათა კელი მოაწერონ, მე ფრიად დამავალებთ, ამისთვის რომელ ცოტანი არიან კელის ზომწერნი და ხარჯი მრავალი უნდა, თუ დადგეს დაბეჭდტა მთავრობისგან, ქართველთათვის სირცხვილია, მამულის დიდებისთვის და გონე-

ბის განათლებისათვის ესრეთი სასარგებლო საქმე. გთხოვ
ეცადნეთ ათიოდ მსურველი იშოვოთ, თუ მეტს იშოვით უფ-
რო უკეთესი, ნურვინ დაჰზოგავს რა მანეთს. ყოველთავე
ურჩიე. თქვენი და ელენა³ მდაბლად თავის დაკვრას და კელ-
ზედ მოხვევას მოგახსენებს, ვანაცა³ ეგრეთვე. ჩუპნ ყოველ-
ნივე სიმართელით გახლავართ, თქვენს ამბავს ნუ დაგვაკლებ.

თქვენი მეგობარი სოლომონ დოდაშვილი.

თებერვლის 6-ს 1832 წელსა ტფილისი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

სოლომონ დოდაშვალის წერილები ამოღებულია რამდენიმე ხელნაწერიდან; წერილების ნაწილი ავტოგრაფებია, ნაწილიც — პირები, სხვის მიერ გადაწერილი და ერთად დაგროვილი აკინძულ წიგნ-ხელნაწერებში.

გამოყენებულია შემდეგი ხელნაწერები: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების ხელნაწერი № 1532 = S; იქიდან ამოკრეფილია წერილები №№ 1—5, 7, 8, 10 და 19; იმავე ფონდის № 1388 ხელნაწერიდან № 45—54; საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ფონდის № 2226 = H ხელნაწერიდან №№ 6, 9—13, 16—44; საქართველოს ცენტრალური არქივის საგანგებო საქმეთა ფონდიდან (ОБД) № 170 საქმე წერილები №№ 14, 15 და 56; წერილი № 55 ამოღებულია გ. გოზალიშვილის მიერ გამოცემული მასალებიდან იხ. „1832 წლის შეთქმულება“, 1935 წ. გვ. 21—22.

წ ე რ ი ლ ი 1.

1. ადამ ღირსიაშვილი — კახელი მღვდლის შვილი, ცხოვრობდა პეტერბურგში იონა ხელაშვილის მზრუნველობით. ისწავლა ჯერ გიმნაზიაში, შემდეგ იყო პეტერბურგის უნივერსიტეტში თავისუფალ მსპენელად. მოხსენებულია ვ. გრიგორიევის წიგნში „Императорский С.-Петербургский университет в течение первых пятидесяти лет его существования“, С.-П.бург 1870 г..

2. იოანე ბატონიშვილი ძე საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII, დაიბადა 1772 წელს, იყო განათლებული და პროგრესულად მოაზროვნე პიროვნება. 1799

წელს მამას, მეფე გიორგის წარუდგინა მოხსენება სახელმწიფო რეფორმების შესახებ. მისი პროექტით საქართველოში (ქართლ-კახეთში) უნდა დაარსებულიყო დაბალი და უმაღლესი ტიპის სასწავლებლები, გაზეთი, ბიბლიოთეკა-მუზეუმი და სხვ. განათლებული და განსწავლული იოანე ავტორია მეცნიერულ და ისტორიულ თხზულებებისა. მას დაუქერია „კალმასობა“, სხვადასხვა ენციკლოპედიური ნაშრომები, რამდენიმე თარგმნილი თხზულება და რუსულ-ქართული ლექსიკონი. 1801 წელს გადასახლდა რუსეთს, გარდაიცვალა 1839 წელს. (იხ. „კალმასობა“, ტ. I, 1936 წ. დაბადებისა და გარდაცვალების თარიღები, თამარ ლომოუტრის მიერ გამოცემულ დავით და ბაგრატ ბატონიშვილთა ნაშრომების შენიშვნებში, დადებულია 1767—1830 წლები, იხ. დავით ბატონიშვილის „ახალი ისტორია“, 1941 წ. გვ. 169—170).

3. ბ ა გ რ ა ტ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — ძე გიორგი XII, პირველი ცოლის, ქეთევან ანდრონიკაშვილის ასულისგან, დაიბადა 1776 წელს; განაგებდა კახეთს, მონაწილეობა მიიღო ნიახურას ბრძოლაში ომარ-ხანის წინააღმდეგ. 1801 წელს ძმებთან ერთად გადასახლდა რუსეთს, მსახურებდა კამერპერად, შემდეგ იშპერატორმა უბოძა გენერალ-ლეიტენანტობა და სენატორობა. იგი ავტორია რამდენიმე ორიგინალური და ნათარგმნი თხზულებისა. გარდაიცვალა 1841 წ. 8/V-ს.

სოლომონ დოდაშვილი ასწავლიდა ბაგრატ ბატონიშვილის ვაჟებს დავითს და ნიკოლოზს. ერთ ჩვენებაში იგი წერს: „საზრდოს ვიღებდი ბაგრატ ბატონიშვილისაგან, რადგან მისი ბავშვების მასწავლებელი ვიყავიო“.

წ ე რ ი ლ ი 6.

1. ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ი — ბერძენი ფილოსოფოსი, 384—322 ჩვ. ერამდე.

2. ლ ო ნ ლ ი ნ — დიონისი კასიოს ლონგინ, ნეოპლატონიკოსი, ცხოვრობდა მესამე საუკუნეში ჩვ. ერამდე.



3. დიონისე გალიკარნასიელი — ისტორიკოსი, რიტორი, კრიტიკოსი, ავტორი „რომის ისტორიისა“, ცხოვრობდა I საუკუნეში ჩვ. ერამდე.

4. დემოსთენი — ცხოვრობდა IV საუკ. ჩვ. ერამდე.

5. ციცერონი — რომელი ორატორი, ისტორიკოსი, ფილოსოფოსი.

6. კვინტილიანი — რომელი პედაგოგი, რიტორიკისა და ლიტერატურის თეორეტიკოსი.

7. როლენ — შარლ (1661—1741) ისტორიკოსი, პედაგოგი, რიტორიკის კათედრის გამგე ბოვეს უნივერსიტეტში.

8. ბიტტე — ჯემს, შოტლანდიელი პოეტი და ფილოსოფოსი, ლოგიკის პროფესორი, ებერდინში.

9. ლადარ — იგულისხმება ლაჰარპ (La Harpe) ჟან-ფრანსუა ლა-ჰარპ (1740—1803), ხელოვნების თეორეტიკოსი.

10. ბლერ — ინგლისელი ფიზიკოსი, გარდაიცვალა 1828 წ. ედინბურგის უნივერსიტეტის პროფესორი.

11. ეშენბურლი — იოჰან იოან ეშენბურგი, 1743—1820.

12. მოა — მოავრ აბრაჰამ დე, 1667—1754, ფრანგი მათემატიკოსი.

13. ლომონოსოვი — მიხეილ ვასილისძე (1711—1765) გამოჩენილი რუსი პოეტი და მეცნიერი.

14. რიესკი — ივანე სტეფანესძე, 1761—1811, ხარკოვის უნივერსიტეტის რექტორი, მჭერმეტყველების პროფესორი.

15. კარამზინი — რუსი მწერალი (1766—1826).

16. მეფის ძე ბ. — ბაგრატ ბატონიშვილი.

წ ე რ ი ლ ი 8.

1. მეფის ძის ბაგრატის ძე ნიკოლოზ — გიორგი XII შვილისშვილი.

2. სოლომონის ძე მიხეილ — იონა ხელაშვილის ძმისშვილი.

3. ადამ — ღარსიაშვილი.

4. მალოვი — მღვდელი, მაგისტრი, ალექსი ივანესძე, 1787—1885, მოქადაგე და კანონმეტყველი, დამთავრებული ჰქონდა პეტერბურგის სასულიერო აკადემია.

წ ე რ ი ლ ი 11.

1. მიხაილ მკურნალი — ?

2. ბარაკიელი — ?

3. ერისთავი შანშეს ძე — ელიზბარ შანშესძე ერისთავი, ერთერთი მთავარი მონაწილე და ორგანიზატორი შეთქმულებისა (1808—1871).

4. ლასსენდი — გასენდი, ფრანგი, ფილოსოფოსი (1592—1655).

წ ე რ ი ლ ი 12.

1. იმპერატორის უნივერსიტეტი — პეტერბურგის უნივერსიტეტი დაარსდა 1819 წლის 8 თებერვალს. პირველ ხანებში უნივერსიტეტს ჰქონდა ფილოსოფიურ-იურიდიული, ისტორიულ-ფილოსოფიური და ფიზიკა-მათემატიკური ფაკულტეტები. 1824 წლიდან პეტერბურგის უნივერსიტეტი მუშაობდა მოსკოვის უნივერსიტეტის დებულებით. 1825 წლიდან რექტორად არჩეული იქნა პროფესორი ანტონ ანტონისძე დეგუროვი, რომელიც რუსეთში ინგლისიდან ჩამოიყვანა ბარიატინსკიმ (დეგუროვის ბიბლიოთეკა დაედო საფუძვლად თბილისის საჯარო ბიბლიოთეკას). უნივერსიტეტში სწავლების ხანი სამ ელიწადს ვრძელდებოდა. პეტერბურგის უნივერსიტეტის შესახებ იხ. В. Григорьев — „С.-Петербургский университет...“, Плетнев — „Первое двадцатипятилетие императорского С. П.-бургского университета“ და სხვ.

წ ე რ ი ლ ი 14.

1. ფილადელფოს — კიკნაძე ნიკიფორე, სტრასბურგში ფილადელფოსად წოდებული, უნდა დაბადებულიყოს 1793



წელს, ისწავლა იოანე ნათლისმცემლის მონასტერში, შემდეგ ხირსის მონასტერში, 1826 წელს წავიდა რუსეთს, იქ გაეცნო ქართველ ბატონიშვილებს. მთავრობის საწინააღმდეგო აზრების გავრცელებისთვის პასუხისგებაში იყო მიცემული, დაპატიმრებული იყო 1827—28 წლებში ჯერ პეტერბურგს, შემდეგ ნიჟნი ნოვგოროდში. იმპერატორის ბრძანებით იგი პასუხისგებიდან გაანთავისუფლეს. აქტიური მონაწილე შეთქმულებისა, მას ეკუთვნის „აქტი გონიურის“ შედგენა, რაც შეთქმულების წესდებას წარმოადგენდა. ფილადელფოს კიკნაძე გამოძიებისას საპატიმროში გარდაიცვალა.

წ ე რ ი ლ ი 20.

1. აღრესატი ანნა დედოფალი ცნობილი იყო ქველმოქმედებითა და მეცენატობით. იგი რუსეთს გადასახლდა 1809 წელს საბოლოოდ (თორემ უფრო ადრე მან ერთხელაც იმგზავრა რუსეთს). იქ მრავალ ქართველს ეხმარებოდა რჩევით და მატერიალურადაც. ეს ანნა დედოფალი ბესიკის ტოფობის ობიექტი იყო ახალგაზრდობისას. გარდაიცვალა მოსკოვს, 1832 წლის 18 ივნისს (იხ. „ბესიკი“, 1932 წ., აღ. ბარამიძის წინასიტყვაობა). წერილი დაწერილია 1827 წელს, ს. დოდაშვილის რუსული ნაშრომის „Курс философии“-ს დაბეჭდვამდე.

წ ე რ ი ლ ი 21.

დაწერილია 1827 წელს, უნივერსიტეტის კურსის დასრულებისას. ამავე წელს დაიბეჭდა აღ. სმირდინის სტამბაში „Курс философии“, რომლის გამოქვეყნებასაც აპირებდა ავტორი ჯერ რუსულ, შემდეგ-კი ქართულ ენაზეც. კურსის მომდევნო ნაწილის ფრაგმენტები ამ ბოლო ხანებში აღმოჩნდა საქ. ცენტრ. არქივში.

1. აღამ — ღირსიაშვილი.

წ ე რ ი ლ ი 22.

1. ბაგრატ ბატონიშვილი — იხ. ზევით.

2. დედოფალი — იმ დროს რუსეთში რამდენიმე დედოფალი ცხოვრობდა საქართველოდან გადახვეწილი. სოლომონ დოდაშვილს ნაცნობობა ჰქონდა მარიამ, ანა და ნინო დედოფლებთან. რადგან წერილში გიორგი XII შვილები არიან ჩამოთვლილნი და დედოფალიც ერთერთ მათგანთაგან გამგზავრებულა, იგულისხმება ალბად გიორგი XII მეორე ცოლი მარიამ (1767, 26, X—1850, 30, III), გიორგი ციციშვილის ასული, რომელიც ლაზარევის მეკვლელობასთან დაკავშირებით გადასახლეს რუსეთს, ბელგოროდში. 1811 წლიდან ცხოვრობდა მოსკოვში.

მარიამ დედოფალთან დაკავშირებით: საქ. მუზეუმის წ. კ. გ. საზოგადოების ფონდის ხელნაწერებში № 2450 შენახულა ანონიმი ავტორის „მუხამბაზი“ შემდეგი სახისა:

ლაზაროვს წელში გაუტყეს ხანჯალი,
დედოფალი იყო მისი აჯალი.
დედოფალი წაიყვანეს ძალითა,
ოთხის წვრილის ვაჟით, ორის ქალითა,
მათი ტანჯვა ვნახე ჩემს თვალითა,
მათ მოუსვეს ერთიანად ნამტალი,
ლაზაროვს წელში გაუტყეს ხანჯალი.

—:—

დედოფალი დასკრეს მძიმეთ მკლავშია,
სისხლის ცრემლი მოსდიოდა თვალშია,
აიყვანეს, გაიყვანეს კარშია,
ჩასვეს, აღარ კითხეს თავის აფალი
ლაზაროვს წელში გაუტყეს ხანჯალი.

—:—

თამარს ფერი გადაჰკროდა ყვითელი,
აღარ ჰქონდა ლოყისფერი წითელი,
აღარ მისცეს ჭეშმაგები, მითელი,
ემზღვლეოდა ყელში, გულში აწ ძალი,
ლაზაროვს გაუტყეს წელში ხანჯალი.

—:—

ერეკლესა აღარ მისცეს ქუდია,
[ქართვე]ლებს გაუსწორდათ კუდია,

პატივები მოგვაყენეს ცუდია
[?] ვეფხვივით რო [?] კანჯალი,
ლაზაროს წელში გაურქეს ხანჯალი.

3. ოქროპირ — ძე გიორგი XII.

4. თამარ — ასული გიორგი XII.

5. ილია — ძე გიორგი XII.

6. დიმიტრი მღვდელი — ?

7. მამა ტარასი — ტარასი სოლომონის ძე ალექსი-
შვილი, ქვათახევის მოძღვარი. სოლომონ დოდაშვილი გულის-
ხმობს წიგნს, რომელიც მოსკოვში დაიბეჭდა 1827 წელს სა-
თაურით: „ერცელი კატეხისმოძ, სასწავლებლად ყრმათა
მართლ-მადიდებლობითისა ჰსჯულისა ქრისტიანებრივისა. რუ-
სულისაგან ქართულად გარდმოღებული და დაბეჭდილი ტა-
რასის მიერ მღჭდელ — მონაზონისა, სოლომონის ძის ალექსი-
შვილისა, რომელიცა ჰსძღვნის კეთილ-გონიერთა ყრმათა სა-
ქართველოსათა, დაიბეჭდა სტამბასა შინა უწმიდესის მმართვე-
ლის სინოდისასა, მოსკოვსა, წელსა 1827, თთჳსა ივ-
ლისსა“.

8. დოსითეოს არქიეპისკოპოსი — ქვათახევისა,
ცხოვრობდა რუსეთს, იმის შესახებ იხ. „მცირე უწყება...“,
„ძველი საქართველო“, ტ. I, განყ. III, გვ. 49. დოსითეოსი
ფიცხელაურთაგანი იყო. ფიცხელაურებისა და ერისთავების
ურთიერთობა მოცემულია „კალმასობაში“. დოსითეოსისა და
ს. დოდაშვილის ურთიერთობის შესახებ ლაპარაკობს გიორ-
გი იასეს ძე ერისთავის ლექსი „კავკაზის მთასა“, იხ. პუშკინის
სახ. სამასწ. ინსტიტუტის შრომები, II—ნ. ტატიშვილი და
ს. ხუციშვილი — „ფრაგმენტები“. დოსითეოსის შესახებ ამ
ლექსში ნათქვამია:

„დოსითეოსის განზრახვანი, საქმე წყობილი,
შფოთის აღმძვრელად, მრავალგვარად პირველ-
ცნობილი,

სულით და ხორციით შხამიანი, ესრეთ მკობილი,

როგორ ვერ სცანით ძველად მტერი მიმოთრეული...
ლი...
გარეგნული

ლექსი დაწერილია შეთქმულების აღმოჩენის შემდეგ.

9. პავსკი — გერასიმე პეტრეს ძე (1787—1863), გამოჩენილი ფილოლოგი, ჰებრაისტი, აკადემიაში ებრაული ენის კათედრა ეჭირა. ბელინსკი პავსკის შესახებ სწერდა: „его труд составляет новую эпоху в истории нашей грамматики“, პავსკი პეტერბურგის გუბერნიაში დაიბადა, ისწავლა ეპარქიალურ სემინარიაში. 1809 წელს, სასულიერო აკადემიის გახსნისთანავე, შევიდა მასში და დაამთავრა ექვსწლიანი კურსი. დატოვებულ იქნა იმავე სასწავლებელში ებრაული ენის ბაკალავრად. მან შეადგინა ებრაული ენის გრამატიკა და ქრესტომათია. პეტერბურგის უნივერსიტეტის გახსნისთანავე, იქ კითხულობდა ლექციებს. იგი ს. დოდაშვილის ლექტორიც იყო. პლატონ იოსელიანი სწერს: „გერასიმე პავსკი, მასწავლებელიცა ჩემი ს. პ.-ბ. ებრაულისა ენისა, მეტყოდა ვარლაამისათვის (ვარლამ, ქსნის ერისთავი, ეგზარხოსი), რომელმან მისისა თხოვნითა თარგმნა რუსულად ქადაგებები ვარლაამისა, რომელიცა დაბეჭდაცა. მისგანვე ვარლაამისა ესწავა მრავალთა ქართულთა ლექსთა, ებრაულს ენასა სახმართა“. (იხ. „ცხოვრება...“, გვ. 257).

10. ფილადელფი — ბერი ფილადელფოს კიკნაძე.

11. ადამ ღირსიევი — ღირსიაშვილი, იხ. ზევით.

წ ე რ ი ლ ი 24.

1. ს. დოდაშვილმა, პეტერბურგიდან გამომგზავრებულმა, მოსკოვზე გამოვლისას გაიცნო ბევრი მოწინავე ადამიანი. როგორცა ჩანს, გაუცვნია აგრეთვე ჟურნალების რედაქტორებიც, რომელთაც თურმე კორესპონდენტობა აღუთქვა. იმ ხანებში მოსკოვში გამოდიოდა ჟურნალები: Московский телеграф-ი და Московский вестник-ი, რომელთა ხასიათის მიხედვით სოლომონს შეეძლო მათი კორესპონდენტობა ეკისრო. შესაძლებელია მათ ჰპირდებოდა კიდევ წერილებს საქართველოსა და საერთოდ კავკასიის შესახებ.

2. ადამ ღირსიევი — ღირსიაშვილი.

3. გიორგი პაიჭაძე — ცნობილი მესტამბე. ხელობა რუსეთში ისწავლა. მოსკოვში მრავალი ქართული წიგნია მისი ნახელოვნარი დაბეჭდილი. მუშაობდა საქართველოშიც, ხოლო შემდეგ რუსეთს გადასახლდა და იქ დაიწყო ხელობა და შრომა. გიორგი პაიჭაძე კარგი და გამოცდილი მესტამბე იყო, ამის შესახებ თვითაც ლაპარაკობს მოსკოვში, 1805 წელს დაბეჭდილ „სადღესასწაულონი“-ს მინაბეჭდში: „მებრძანა უწმინდესის სინოდის ჩლენის ვარლამ არხიეპისკოპოზისაგან მე პაიჭაძე გიორგი მესტამბეს, წიგნისა ამის სადღესასწაულოს დაბეჭდვა, ვინაჲთგან არა იყო ქართულსა ზედა დაბეჭდილ, მორჩილ ვექმენ ფრიადის გულის მოდგინებით, ოთხსა წელსა არა დავსცხერ შრომითა და მღვიძარებითა, თვთ ანბანის მოჭრითა, გაწყობითა, ჩაკითხვითა, პლაკის ქრითა და ოვლისავე სტამბისა ამის სახმარისა გამართვითა და სრულ ყჷყავ“.

4. პეტრე — ?

წერილი 25.

1. ალექსანდრე — ჩოლოყაშვილი.

2. პარმენ მღვდელი — ?

3. სიპიაგინი — ნიკოლოზ მარტინის ძე (1785—1828) გენერალ-მაიორი, ნაპოლეონის წინააღმდეგ წარმოებული ომების მონაწილე; „Военный журнал“-ის რედაქტორი 1817—19 წლებში, მსახურობდა თბილისის სამხედრო გუბერნატორად; მან დააარსა გაზეთი „Тифлисские Ведомости“. გარდაიცვალა 1828 წლის 10 ოქტომბერს, თბილისში. წაასვენეს სამშობლოში, კოსტრომის გუბერნიაში.

4. ფარსადან თეიმურაზიჩი — ციციშვილი, ცხოვრობდა მოსკოვს.

წერილი 26.

1. ხარკოვიდან გაგზავნილი პირველი წერილი არ ჩანს.



2. ივანე იაკულიჩი კრონპერდი—კრონპერდი ივანე იაკობის ძე, (1788—1838), კლასიკური ფილოლოგიის სპეციალისტი, პროფესორი და რექტორი ხარკოვის უნივერსიტეტისა. გამომცემელი სამეცნიერო ჟურნალის „მინერვა“-სი.

3. ალექსანდრე რიფსიმასი—რიფსიმა ბატონიშვილის ვაჟი, ჩოლოყაშვილი.

4. დედოფალი მარიამი—იხ. ზევით.

5. ალექსანდრე პირველი—რუსეთის იმპერატორი (1777—1825).

6. იგულისხმება სიპიაგინის მეუღლე.

წ ე რ ი ლ ი 28.

1. იგულისხმება ნიკოლოზ მარტინის ძე სიპიაგინი.

2. საინტერესოა ცნობები იონა ხელაშვილის ძმებისა და მათი ჩამომავლობის შესახებ (სქემა იხ. გვ. 162).

წერილების მიწერ-მოწერისას იონას ორი ძმა, იობი და იოსებ: ცოცხალი აღარაა; ამიტომ გრიგოლი, მათა და მარიამ ობლებად იხსენებიან აქ და შემდეგაც. იონას ძმა გიორგი 1828 წელს რუსეთს, ძმასთან წასულა. იონას ძმის შვილებს გრიგოლს და იოანეს სოლომონ დოდაშვილთან ჰქონდათ ბინა თბილისში. ობოლი ქალების გათხოვებაშიც მონაწილეობას იღებდა ს. დოდაშვილი. იონას გენეალოგიისთვის იხ. აგრეთვე „სახალხო გაზეთი“, 1911 წ. № 347—8.

3. ნიკოლოზ ხელაშვილი—არქიმანდრიტი.

4. თარხანოვი—?


წ ე რ ი ლ ი 29.

1. სოლომონ—ხელაშვილი, ძმა იონასი.

2. სოლომონ დოდაშვილის მამა, მღვდელი იოანე იოსების ძე დოდაშვილი.

3. სტეფანე—მომღეწო ძმა ს. დოდაშვილისა.

11. მასალები საქართ. და კავკ. ისტ.-სათვის, ნაკვ. II, 1944.



წ ე რ ი ლ ი 31.

1. სოლომონ დოდაშვილი გულისხმობს რუსეთ-სპარსეთის ომს, რომელიც წარმოებდა 1826—1828 წლებში. ასან-ხანი ერთერთი მეთაური იყო სპარსთა ლაშქრისა.

წ ე რ ი ლ ი 32.

1. ს. დოდაშვილი სწერს თავისი მომავალი მეუღლის — ელენე კობიაშვილის ასულის შესახებ.

2. გრაფი პასკევიჩი — ერევანსკი, შემდეგ ვარშავსკიც, ივანე თევდორეს ძე (1782—1856). 1826 წლიდან იყო ყოფებოდა კავკასიაში. 1827 წელს მან შეცვალა ერმოლოვი.

3. სტეფანე — მომდევნო ძმა ს. დოდაშვილისა.

4. მარიამ დედოფალი — მეუღლე გიორგი XII.

5. ანნა დედოფალი — იხ. ზევით.

6. ნინა დედოფალი — გიორგი XII ასული, მეუღლე გრიგოლ კაციას ძე დადიანისა. (გრ. დადიანი ძმისწულია დარეჯან დედოფლისა იხ. მ. ხელთუფლიშვილი — *Грузия в состав Российской Империи*).

ნინო დედოფალი გარდაიცვალა პეტერბურგს 1847 წელს, 31 მაისს. იგი 1810 წელს მონაწილეობას იღებდა ფოთის ციხის აღებაში. („*Кавк. кал.*“ 1852 წ., გვ. 245).

7. იოანე მეფის ძე — იხ. ზევით.

8. თეიმურაზ — გიორგი XII ძე, დაიბადა 1782 წელს. 1801 წ. გაიქცა სპარსეთს, მაგრამ უკან დაბრუნდა 1810 წელს და გენერალმა ტორმასოვმა გაგზავნა რუსეთს. გარდაიცვალა 1846 წელს. რუსეთში წასვლისას მან თან წაიყვანა 11 წლის სოლომონ რაზმაძე, რომელიც მასთან და მისი დახმარებით იზრდებოდა პეტერბურგს. თეიმურაზ ბატონიშვილი პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიის საპატიო წევრი იყო, წევრი — კორესპონდენტი კოპენჰაგენის ანტიკვარული საზოგადოებისა და პარიზის სააზიო საზოგადოებისა. იგი დაახლოებული იყო აკად. მარი ბროსესთან. თეიმურაზს დარჩა მრავალი ნაშრომი, დაბეჭდილი და ხელნაწერი.

9. მიხეილ — ძე გიორგი XII, დაიბადა 1783 წ., გარდაიცვალა 1861 წ.

10. ირაკლი — ძე გიორგი XII.



11. მირიან — ერეკლეს ძე, დაიბადა 1766 წ. იმყოფებოდა რუსის სამსახურში, გარდაიცვალა 1854 წ.

12. ფარნაოზ — ერეკლეს ძე, დაიბადა 1777 წ. 1804 წლამდე იულონთან ერთად იბრძოდა რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ; 1804 წელს შეპყრობილ იქმნა, ხოლო მომდევნო წელს გაიგზავნა რუსეთს. გარდაიცვალა პეტერბურგს 1852 წელს.

13. ლუარსაბ — იულონ ბატონიშვილის ძე, დაიბადა 1787 წელს. 1805 წელს მამას გაჰყვა რუსეთში.

14. დიმიტრი — იულონ ბატონიშვილის ძე.

15. დავით ციციშვილი — „კალმასობაში“ მოხსენებული ცნობილი ვოლტერიანელი. მას ეკუთვნის ჟან ჟაკ რუსოს თხზულების თარგმანი „ჰსჯა, დაჯილდოვებული დიუონის აკადემიისგან 1750 წელსა, კითხვასა ზედა ამის აკადემიისასა წინადადებული, რომელ აღდგინება ჰსწავლათა და ხელოვნებათა შეეწეოდა წარმართვასა ზნეთა ანუ ყოფაქცევათასა?“. დავით ესტატეს ძე ციციშვილი თანამშრომლობდა ჟურნალ „ცისკარში“, იქ დაუბეჭდია: ლექსი „თეჯლიში“, 1858, I; „სოფლის სამღურავი“, იქვე; „რამე ძალისათვის მუსიკისა“ და სხვ. 1857, VII; „უსარგებლო ცბიერება და დაფარული კაცთა შორის გარეგანთა მშტეწიერებათა შინა შინაგანი უშტეწრებაჲ“, მოთხრობა, 1858, XI; „მოთხრობა ბართენისა“, 1857, IX—X; მანვე თარგმნა და „ცისკარში“ დაბეჭდა დერეფინის „ეკატერინა მეორისა მიმართ“ და „ოდა მღვთისა“.

16. ალექსანდრე ჩოლაყევი — ჩოლოყაშვილი, პეტერბურგში ნაცხოვრები, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე, ძე რიფსიმე, გიორგი XII ასულისა.

17. ზაქარია ორბელიანოვი — გრ. ორბელიანის ძმა, 1806—1847.

18. იოანე — ?

წ ე რ ი ლ ი 33.

1. ს. დოდაშვილი იყო სიპიაგინის შვილების რეპეტიტორი.

სოლომონ დოდაშვილი
გარდაიცვალა
1903 წელს

2. თომა ენდრონიკოვი — ანდრონიკაშვილი, ჰელაშვილის შვილი გიორგი XII. იზრდებოდა პაპასთან, გარდაიცვალა 1847 წ.

3. ნიკოლოზ არხიმანდრიტი — ნიკოლოზ ზელაშვილი.

4. სტეფანე — მომდევნო ძმა ს. დოდაშვილისა.

5. სოლომონი — ძმა იონა ზელაშვილისა.

6. ობოლი — ძმის შვილი იონა ზელაშვილისა, გრიგოლ იოსების ძე.

7. იოანე — ძმის შვილი იონა ზელაშვილისა, სოლომონ ზელაშვილის უფროსი ვაჟი. ამ იოანეს ბიძა მისმა ლექსი დაუწერა, იხ. საქ. სახ. მუზეუმი, ზელაშვილი № 267—S, მიწერილი ყდაზე, 1833 წლის ივლისის 1-ს.

წ ე რ ი დ ი მ 4.

1. იოანე — ძმის შვილი იონა ზელაშვილისა, სოლომონის ძე.

2. გრიგოლ — იოსებ ზელაშვილის ძე, იონას ძმისწული.

3. სტეფანე — ს. დოდაშვილის ძმა.

4. სოლომონ — იონა ზელაშვილის ძმა.

5. ნიკოლოზ ივანეს ძე გრეჩი, — პედაგოგი და ჟურნალისტი, „Сын отечества“-ს გამომცემელი ბუღგარინთან ერთად. მან დასწერა „Пространная русская грамматика“, რომელსაც ს. დოდაშვილი იხსენიებს ბარათში.

6. ადამ — ღირსი აშვილი.

7. ალექსანდრე — ჩოლოყაშვილი.

8. ზაქარია — ?

9. იგულისხმება „Московский телеграф“-ში დაბეჭდილი ნ. პოლეგოვის რეცენზია ს. დოდაშვილის ლოგიკის შესახებ.

10. ოსიპ იაკოლიჩი — იოსებ იაკობის ძე. ეს უნდა იყოს „კალმასობაში“ ნახსენები „იოსებ იაკოლიჩი, პრუსიელი და გამოცდილი სწავლასა შინა“.

წ ე რ ი ლ ი 35.

1. ეს ძმა იონასი, გიორგი, მოსკოვს იყო იმ დროს.
2. ადამ—ლირსიაშვილი.
3. ოსებ იაკოვლევიჩი—იხ. ზევით.
4. პლეშჩიევი—სასამართლოს მოხელე.

წ ე რ ი ლ ი 36.

1. სოლომონი—ძმა იონა ხელაშვილისა.
2. დემეტრაშვილი—იოანე ზაქარიას ძე, ვაჭირელი მღვდლის შვილი.

3. ლუბერნატორნი მკედართი და ქალაქთი—სიპია-გინი და პასკევიჩი.

4. ს. დოდაშვილი სიპიაგინმა დანიშნა „Тифлиские ведомости“-ს საგამომცემლო კომისიაში. კომისიამ მუშაობა დაიწყო და გაზეთი გამოვიდა 1828 წლის ივლისში.

5. ომარ-ხანი—ავარიელი, ზენძახის ბატონი, ძე ნურალი ბეგისა. სპარსთაგან მოსყიდული შემოესია კახეთს და მოისწრაფოდა თბილისისკენ; 1800 წელს 7 ნოემბერს მოხდა შეტაკება კაკაბეთში, იორჯან. ომარ-ხანი მეთაურობდა 20 ათასი კაცისაგან შემდგარ ლეკთა ჯარს. ბრძოლაში მის წინააღმდეგ მონაწილეობას იღებდნენ იოანე და ბაგრატ ბატონიშვილები და გენერლები გულიაკოვი და ლაზარევი. ომარ-ხანი გარდაიცვალა კაკაბეთთან მიღებული ქრილობებისგან 1801 წელს.

წ ე რ ი ლ ი 37.

1. ლუბერნატორი—სიპიაგინი.
2. „ლუბერნიის არხიდეკტორი“ იყო სამსახურიდან გამოსული სახაზინო ექსპედიციის არქიტექტორი, ინჟენერი, კაპიტანი თევდორე ბარაშკინი, რომელსაც შვილად ჰყავდა აყვანილი ელენე კობიაშვილის ქალი, საცოლეს ს. დოდაშვილისა.
3. სიპიაგინი.
4. გიორგი პაიჭაძე—მესტამბე, იხ. ზევით (წერ. და შენიშვნ. № 24, გვ. 164).

5. ლაპარაკია გიორგი ხელაშვილზე.
6. ბარბარე ბატონიშვილი—მეფის ძის ბაგრა-
ტის ასული, მაიორის, დიმიტრი ორბელიანის ცოლი.
7. დიაჩოქი კახაბრიძე—?
8. ჯორჯაძე—?

წ ე რ ი ლ ი 38.

1. ფარსადან ციციანოვი—ციციშვილი, იხ. ზევით.
2. გენერალი სიზაგინი.
3. ადამ—ღირსიაშვილი.
4. სოლომონი და მისი შვილი იოანე—ძმა
დ ძმის ძე იონა ხელაშვილისა.

წ ე რ ი ლ ი 39

1. იოანე—იონა ხელაშვილის ძმის სოლომონის შვილი.
2. გრიგოლ—იონა ხელაშვილის ძმის იოსების შვილი.
3. სტეფანე დოდაშვილი ბაგრატი ბატონიშვილის
მზრუნველობით ცხოვრობდა პეტერბურგს.
4. ლენერალი გიორგი ერისთავი—გიორგი
იასეს ძე ერისთავი, სენატორი, დიდი მემამულე, „დიდ კნია-
ზად“ წოდებული; 1760—1863. მონაწილე პასკევიჩის ლაშ-
ქრობათა. მისი ერთი თხზულება—„მოწოდება ივერთა მამუ-
ლის დაცვისათვის დროსა სპარსთა შემოსვლისასა საქარ-
თელოს სამძღვართა შინა“ დაიბეჭდა 1832 წელს ს. დოდა-
შვილის ჟურნალში; მეორე—„მამისაგან შვილის ღარიგება“—
„ცისკარში“, 1862 წლის ოქტომბერში. გიორგი ერისთავს
სხვა თხზულებებიცა აქვს. მის შესახებ დაწვრილებით იხ.
„ბიბლიოგრაფიის მოამბე“, № 1, 1940 წ. ს. ხუციშვილი და
5. ტატიშვილი—„სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის
უწყებათანი“ და „ფრაგმენტები“ ნ. ტატიშვილისა და ს. ხუ-
ციშვილისა, პუშკინის სახ. სამასწ. ინსტიტუტის შრომები,
II, გვ. 165—173.
5. ღირსიევი—ადამ ღირსიაშვილი.
6. გიორგი ხელაშვილი.

წ ე რ ი ლ ი 40.

1. მეფის ძის ასული ნინა—რომელიღაც ბატონიშვილის მცირეწლოვანი ასული.
2. პასკევიჩი—იხ. ზევით.
3. ქილიკი—[მოხუბარი—ს. ს. ორბ.]—?
4. იოანე—ძმის შილივ იონა ხელაშვილისა.
5. გრიგოლ—ძმის შვილი იონა ხელაშვილისა.
6. სტეფანე დოდაშვილი.
7. ოსიფ იაკოლიჩი—იხ. ზევით. (გვ. 164, № 34₁₀).
8. მეუღლე ს. დოდაშვილისა, ელენე კობიაშვილის ქალი.
9. ვიორგი ხელაშვილი.

წ ე რ ი ლ ი 41.

1. სოლომონ დოდაშვილის ცოლი.
2. პასკევიჩი.
3. სიპიაგინი, რომელიც გარდაიცვალა 1828 წლის 10 ოქტომბერს, თბილისში.
4. ადამ ღირსიაშვილი.
5. იაკობ კრუპსკი—ს. დოდაშვილს მოხსენებული ჰყავს საგამომძიებლო დაკითხვისას შეთქმულების გამომჟღავნებასთან დაკავშირებით. ს. დოდაშვილის ქალაქებში გაჩხრეკისას იპოვეს დეკაბრისტის რილევეს, საპრობილედან სიკვდილის წინ ცოლთან მიწერილი წერილის ასლი, რომლის შესახებაც შეკითხვაზე ს. დოდაშვილმა უპასუხა: „Письмо Рылеева я переписал в Санкт-Петербурге у студента Крупского в 828 г. (? 1828 წელს ს. დოდაშვილი უკვე თბილისში იყო). იაკობ კრუპსკის დაუმთავრებია პეტერბურგის უნივერსიტეტის ფილოსოფიურ-იურიდიული ფაკულტეტი კანდიდატის ხარისხით 1828 წელს.

წ ე რ ი ლ ი 42.

1. იგულისხმება იონას ძმის იოსების ქალი, ალბად მაია.
2. ს. დოდაშვილის მეუღლე.

წ ე რ ი ლ ი 43.

1. იონა ხელაშვილის ძმისწული, გრიგოლ იოსების ძე.

წ ე რ ი ლ ი 45.

1. ლაპარაკია სოლომონ ხელაშვილის ოჯახზე.
2. იონა ხელაშვილის ძმა.
3. ს. დოდაშვილი გულისხმობს თავის შემოკლებულ ქართულ გრამატიკას.
4. ს. დოდაშვილის მეუღლე ელენე.

წ ე რ ი ლ ი 46.

1. სოლომონ დოდაშვილის პირველი შვილი ივანე დაიბადა 1829 წლის 21 IX.
2. დირექტორი სასწავლებლებისა უნდა იყოს შიპულინსკი.
3. იგულისხმება საიდუმლო ორგანიზაციის ერთერთი კრება.
4. ძმა იონა ხელაშვილისა სოლომონ.
5. სვიმონ მღვდელი—?
6. იოანე—სოლომონ ხელაშვილის შვილი.
7. გრიგოლ—იოსებ ხელაშვილის შვილი.
8. სიმონ სოლომონის ძე ვაჩნაძე—?

წ ე რ ი ლ ი 47.

ნაწილი წერილისა გამოქვეყნდა „ივერიაში“ (1887 წლის № 227).

1. წ. პ.—წმინდის პეტრეს ქალაქი—სანკტ-პეტერბურგი.
2. მიხეილ და დიმიტრი—იონა ხელაშვილის ძმისწულებია, მიხეილ სოლომონის ძე, ხოლო დიმიტრი გიორგის ძე.

წ ე რ ი ლ ი 49.

წერილის ნაწილი გამოქვეყნდა „ივერია“-ში (1887, № 227).



1. ს. ლოდაშვილის გრამატიკა, რომელსაც გამოცემის წელი აწერია 1830, დაბეჭდილა და გამოსულა 1831 წელს.

2. ნახსენები ჟურნალის გამოცემა—ბეჭდვა ს. ლოდაშვილმა განახორციელა 1832 წლის იანვრიდან, ჟურნალს ერქვა „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“.

3. მუხრანის ბატონი კონსტანტინე—მამა მეფე ერეკლე ვაჟის ვახტანგის მეუღლის ქეთევანისა. კონსტანტინე შვილია იოანე მუხრანის ბატონისა. კონსტანტინე გარდაიცვალა 1843 წელს.

4. „ოდა ღვთისა“ დერჟავინის თხზულებაა. ამ თხზულებას რამდენიმე მთარგმნელი ჰყავდა რუსულიდან ქართულად. საქ. მუხ. ხელნაწერებში (H 1641) დაცულია ივანე რომანის ძე ბაზლიძის თარგმანი, გალექსილი-მირიან ირაკლის ძე საგან თავისუფალ იამბიკოდ. დაცულია იოანე ბატონიშვილის ფონდშიც, სალტიკოვ-შჩედრინის ბიბლიოთეკაში. თარგმნა ვოლტერიანელმა დავით ციციშვილმაც, რომლის თარგმანიც დაბეჭდა 1857 წელს „ცისკარში“ (№ 7).

წ ე რ ი ლ ი 50.

1. იონას ძმისწული, მიხეილ სოლომონის ძე.

2. იგულისხმება კონსტანტინე ივანეს ძე მუხრანელი.

3. ოსიფ იაკოლიჩი—იხ. ზევით.

წ ე რ ი ლ ი 51.

1. შანშე ერისთავი—შულავერის მოურავი მეფე გიორგის დროს, შემდეგ პოდპოლკოვნიკი, გორის მაზრის მარშალი, აქტიური მონაწილე 1804 წლის მთიულეთის აჯანყების ჩაქრობისა. გარდაიცვალა 1831 წელს. შანშე ძმაა გიორგი იასესძე ერისთავისა, „დიდი კნიაზისა“ და მამაა ელიზბარ ერისთავის, 1832 წლის შეთქმულების მონაწილისა.

2. დეკანოზი აარონ—ალექსის ძე მესხიშვილი. აარონ მესხიშვილი „კალმასობას“ პერსონაჟიცაა.

3. იგულისხმება გიორგი ხელაშვილი, რომელიც იონასთან იყო რუსეთში.

წ ე რ ი ლ ი 55.

1. ოქროპირ—ძე გიორგი XII.

2. იგულისხმება ალექსანდრე ბატონიშვილის მღვდლის ტალიაშვილის ვაჟი, საეკლესიო ყმათაგანი, 1822—23 წლებში სწავლობდა სიღნაღში. ს. დოდაშვილის თაოსნობით გაემგზავრა პეტერბურგს და ცხოვრობდა ოქროპირ ბატონიშვილის მზრუნველობით. ტალიაშვილი უნდა დაბადებულიყოს 1810 წელს (ალ. ორბელიანის ცნობის მიხედვით).

3. ფ ა რ ნ ა ო ზ —ერეკლეს ძე.

წ ე რ ი ლ ი 56.

ნაწილი წერილისა გამოაქვეყნა ს. ხუნდაძემ წიგნაკში—„ქართველი ინტელიგენციის პროფილი...“ გვ. 36—37.

1. ფილადელფოს კიკნაძეს უნდოდა საქართველოში ჩამოსვლა და აქ რომელიმე მონასტერში მუშაობა.

2. იგულისხმება „ტფილისის უწყებანი“ და ჟურნალი „სალიტერატურონი ნაწილნი...“

3. ე ლ ე ნ ა —ს. დოდაშვილის მეუღლე.

4. ვ ა ნ ა —ს. დოდაშვილის უფროსი შვილი ივანე.

პირთა სახელები*

პარონ დეკანოზი 147.
ადამ, იხ. ღირსაშვილი ადამ;
ღირსივეი.
ავალიშვილი გიორგი 15.
ანა დედოფალი 16, 19, 53, 104.
ანდრონიკაშვილი თომა 107.
ანტონ I კათოლიკოსი 44, 45.
ალექსანდრე ბატონიშვილი,
ერეკლეს ძე 150.
ალექსანდრე ჩოლოყაშვილი, რიფ-
სიმე ბატონაშვილის ძე 89,
90, 104, 109.
ალექსანდრე პირველი 92.
ალექსიშვილი ტარასი 86.
ალექსიძე დავით 52.
ამბროსი მიტროპოლიტი 52.
არისტოტელი 64, 83.
ასან²ხანი ერეკლესა 101.

ბაგრატ ბატონიშვილი
16, 59, 64, 78, 80, 86, 87,
118, 122, 128, 141.
ბაგრატ, მეფის ძე იხ. ბაგრატ
ბატონიშვილი.
ბარათაშვილი ნიკოლოზ 14, 47,
48, 55.
ბარატინსკი 38.
ბარაკიელი 71.
ბარბარე ბატონიშვილი 116, 135,
141.

ბარიშკინი ლევდორე 25.
ბარნაბიშვილი ივანე 51.
ბარსუკოვი 5. 42.
ბაუმეისტერი ფრიდრიხ 36.
ბიტტე ჯემს 64.
ბლერ 64.

ბასსენდი 72.
გაწერელია აკ. 7.
გვარცენი 14, 31, 32, 33.
გიორგი, მეფე 52.
გოზალიშვილი გიორგი 13, 14, 55.
გორდევი 49.
გრეჩი, ნიკოლოზ ივანეს ძე 48, 104.
გუნია ვალერიან 11.
გურამიშვილი თადეოზ 49.

დანგაძე დ. 11.
დემეტრაშვილი 113.
დემოსთენი 64.
დიმიტრი ბატონიშვილი 16, 104.
დიმიტრი შლეფელი 86.
დიონისიოს ღალიკარნასელი 64.
დიონისე ღალიკარნასელი იხ.
დიონისიოს ღალიკარნასელი.
დოდაშვილი სოლომონ...
დოდავეი სოლომონ იხ. დოდა-
შვილი სოლომონ.

* რიცხვი გვერდს აღნიშნავს. საძიებელში შესულია წერილებში,
სქოლიებში და გამოკვლევაში მოხსენებული პირნი.

დოდაგვი-მალაროელი იხ. დოდა-
შვილი სოლომონ.

დოდაგვი სფირიდონ 14.

დოდაგვი სამარაგდონ 10, 11, 13, 14
დოდაშვილი სტეფანე

13, 14, 98, 104, 107, 108, 114,
122, 128, 129, 137, 149.

დოდაშვილი იასე 13.

დოდაშვილი იოანე იოსების ძე 13,
14.

დოდაშვილი ივანე სოლომონის ძე
25, 35, 151.

დოდაშვილი ელენე, სოლომონ
დოდაშვილის მეუღლე
25, 35, 115, 126, 129, 134,
135, 146, 151.

დოსითეოს მწყემსმთავარი 52, 86.

დოსითეოს არნიებისკობოსი იხ.
დოსითეოს მწყემსმთავარი.

ენდრონიკოვი თომა იხ. ანდრონი-
კაშვილი თომა.

ელენე, იხ. დოდაშვილი ელენე.

ელენა, იხ. დოდაშვილი ელენე.

ერეკლე მეფე 45, 47, 52.

ერისთავი შანშე 146.

ერისთავი დიმიტრი 46. —

ერისთავი გიორგი დავითის ძე
27, 46, 50.

ერისთავი გიორგი იასესძე, („დიდი
კნიაზი“) 24, 37, 122.

ერისთავი ელიზბარ 26, 46, 71. —

ერისთავი გიორგი იხ. ერისთავი
გიორგი იასეს ძე.

ერისთავი შანშეს ძე იხ. ერისთავი
ელიზბარ.

ეშენბურგი 64.

შანა იხ. დოდაშვილი ივანე სოლო-
მონისძე.

ვანნაძე სიმონ სოლომონის ძე 137
ვიაზემსკი 36, 38.

ჯაქარია 109.

თამარ ბატონიშვილი 16, 86.

თარხანოვი 96.

თეიმურაზ ბატონიშვილი 16, 104.
თმოგველი 45.

იასე იხ. დოდაშვილი იასე.

იაროსლავსკი 21.

იესე, მეტეხის დეკანოზი 52.

ილია ბატონიშვილი 88.

ინგვაროყვა ა. 47.

იოანე ბატონიშვილი 16, 52, 53,
59, 104, 134.

იოანე მეფის ძე იხ. იოანე ბატონი-
შვილი.

იოანე მუხრან ბატონის ძე 141, 143.

იოანე მღვდელი იხ. დოდაშვილი
იოანე იოსების ძე.

იოანე, ბოდბელი მიტროპოლიტი
14, 15.

იოანე 104.

იოანე პეტრე წი 45.

იონა იხ. ხელაშვილი იონა.

იონა ბერმონაზონი იხ. ხელაშვილი
იონა.

იოსელიანი პლატონ 10.

ირაკლი მეორე იხ. ერეკლე მეფე.

ირაკლი ბატონიშვილი 104.

იულონ ბატონიშვილი 52.

ქალატოზიშვილი იოანე 52.

კალანდარაშვილი გრ. 55

კამინსკი ვლადიმერ 39.

კარამზინი 64.

კახაბრიძე, დიპლომატი 116.

კეკელიძე კ. 52.



კვინტილიანი 64.

კიკნაძე ფილატელფოს 11, 22, 55, 86.

კობაშვილი ელენე იხ. დოდაშვილი ელენე.

კობიევსა ელენე იხ. დოდაშვილი ელენე.

კრილოვი 43.

კრონბერგი ივანე იაკობის ძე 90.

კრუპსკი იაკობ 127.

კუჭუხიძე ლ. 11.

ლაღარა 64.

ლემკე 14, 30, 33.

ლენინძე 47.

ლოდიი პეტრე 36.

ლომონოსოვი მ. 64.

ლონდონ 64.

ლუარსაბ ბატონიშვილი 104.

შალოვი ალექსი ივანეს ძე 68.

შამაცაშვილი იოსებ 32.

შარიამ დედოფალი 51, 91, 104, 161, 165, 167.

შაყაშვილი იოანე იხ. იოანე ბოდბელი მიტროპოლიტი.

შაჩაბელი დავით 27.

შელიქიშვილი ლევან 44.

შესხი სერაჟი 9, 10.

შესხიშვილი არონ ალექსის ძე იხ. არონ დევანოზი.

შეუნარგია იონა 44.

შირიან ბატონიშვილი 104, 141.

შირიან ირაკლის ძე იხ. შირიან ბატონიშვილი.

მიხაილ მკურნალი 71.

მიხეილ ბატონიშვილი 16, 104.

მოავრ აბრაჰამ 64.

მუხრანბატონი იოანე იხ. იოანე მუხრანბატონის ძე

მუხრანის ბატონი კონსტანტინე 141, 143.

ნიკოლოზ არხიმანდრიტი 95, 107, ნიკოლოზ, ბაგრატ ბატონიშვილის ძე 67.

ნიკოლოზ პირველი 29, 33.

ნინა დედოფალი 104,

ნინა, მეფის ძის ასული 123.

ომაზ ხანი 114.

ონისიმე მღვდელი 139.

ორბელიანი ალექსანდრე 26.

ორბელიანი ვახტანგ 48.

ორბელიანი გრიგოლ 9.

ორბელიანი ზაქარია 104.

ოსებ იაკოვლევჩი 109, 111, 124, 143, 149.

ოსიფ იაკულიჩი იხ. ოსებ იაკოვლევჩი.

ოსიპ იაკულიჩი იხ. ოსებ იაკოვლევჩი.

ოსიპ იაკულიჩი იხ. ოსებ იაკოვლევჩი.

ოქროპირ ბატონიშვილი 16, 22, 86, 135, 138.

ოქროპირ, მეფის ძე იხ. ოქროპირ ბატონიშვილი.

პავსკი გერასიმე პეტრეს ძე 86.

პაიკაძე გიორგი დავითის ძე 24, 51, 88, 116.

პარმენ მღვდელი 89.

პასკევიჩი 23, 123, 129, 146.

პასკევიჩ-გრივანსკი, იხ. პასკევიჩი.

პეროვსკი ალექსი 36, 37.

პეტრე დიაკონი 51.

პეტრე 88.

პლემჩიევი 111.

პოგოდინი მიხეილ 39, 41.

პოგორელსკი იხ. პეროვსკი ალექსი.

ოლეკო ნიკოლოზ 38, 42, 43.
პუშკინი 27, 36, 38, 43.

შუკოვსკი 36, 38, 43.

რაზმაძე სოლომონ 27, 53.

რილევი 22, 49.

რიესკი ივანე 61.

რიფსიმა მეფის ასული 109

როლდენ შარლ 64.

რუსთაველი შოთა 45.

სვიმონ მღვდელი 136.

სიბიგინი ნიკოლოზ მარტინის ძე
23, 89, 109, 123, 131, 134.

სნარდინი ალექსანდრე ფილიპეს ძე
43.

სტეფანე იხ. დოდაშვილი სტეფანე.

ტარასი მამა იხ. ალექსიშვილი
ტარასი.

ტატიშვილი ნიკო 6, 11, 24.

ტიტოვი ვ. 41, 42.

ტოლსტოი ალ. 36.

ტუფაიევი კირილე 31.

უმიკაშვილი პეტრე 53, 54.

ფალავანდიშვილი იასე 29.

ფარნაოზ ბატონიშვილი 16, 52,
104, 151.

ფარსადან თეიმურაზიჩი იხ. ციცი-
შვილი ფარსადან.

ფილადელფი იხ. კიკნაძე ფილა-
დელფოს.

ფიცხელაური დოსითეოს იხ. დოსი-
თეოს მწყემსმთაფარი.

ფურცელაძე ანტონ 35.

ძილიკი 124.

ქუთათელაძე ლილი 7.

ქუთელია ალ. 55.

ლასენდი იხ. გასენდი.

ღირსიევი 18, 59, 68, 84, 87, 88,
108, 111, 114, 119, 122, 125,
127.

ღრეჩი ნიკოლოზ იხ. გრეჩი ნიკო-
ლოზ ივანეს ძე.

შანიძე აკაკი 44.

შიპუტინი 25.

შირიბაი 43.

ჩაბრუხაძე 45.

ჩერნიშოვი 33.

ჩოლოყაშვილი ალექსანდრე იხ,
ალექსანდრე ჩოლოყაშვილი
რიფსიმე ბატონიშვილის ძე.

ჩოლაყევი ალექსანდრე იხ. ალექ-
სანდრე ჩოლოყაშვილი, რიფსიმე
ბატონიშვილის ძე.

ჩუგუნოვი გიორგი 53.

ცაგარეჯი ალ. 44.

ცაიშვილი ს. 11.

ციცერონი 64.

ციციშვილი დავით 104.

ციციშვილი ფარსადან 53, 89-90,
117.

ციციანოვი ფარსადან იხ. ციციშვი-
ლი ფარსადან.

ჭავჭავაძე ილია 13, 49.

ჭიჭინაძე ზაქარია 9, 10, 11, 14,
35, 44.

ხაზანაშვილი ალ. 10, 11.

ხელაშვილი ნიკოლოზ იხ. ნიკოლოზ
არხიმანდრიტი.

ხელაშვილი იონა...

ხელაშვილი გიორგი (მამა იონასი) 52.

ხელაშვილი იობი (პირველი ძმა იონა ხელაშვილისა) 94.

ხელაშვილი იოსებ (მეორე ძმა იონა ხელაშვილისა) 91, 95.

ხელაშვილი სოლომონ (მესამე ძმა იონა ხელაშვილისა) 91, 95, 98, 100, 107, 108, 113, 117, 119, 121, 132, 135, 136, 138, 139, 140, 143, 144, 145.

ხელაშვილი გიორგი (უმცროსი ძმა იონა ხელაშვილისა) 95, 113, 134, 139.

ხელაშვილი გრიგოლ იოსების ძე 94, 95, 108, 121, 124, 135, 136.

ხელაშვილი მაია იოსების ას. 94.

ხელაშვილი მარიამ იოსების ას. 94.

ხელაშვილი იონა სოლომონის ძე 95, 100, 101, 108, 119, 121, 122, 124, 126, 132, 135, 136, 138, 139, 140, 142, 143, 145.

ხელაშვილი მიხეილ სოლომონის ძე 67, 95, 136, 139, 143, 144.

ხელაშვილი ნოდარ სოლომონის ძე 95.

ხელაშვილი კონია სოლომონის ას. 95.

ხელაშვილი სოფიო სოლომონის ას. 95.

ხელაშვილი დიმიტრი გიორგის ძე 95, 139.

ხელაშვილი მაია (ცოლი სოლომონ ხელაშვილისა) 94.

ხელაშვილი მართა (ცოლი იოსებ ხელაშვილისა) 94.

ხელაშვილი ნატალია (ცოლი გიორგი ხელაშვილისა) 95.

ხირსელაშვილი 100.

ზონელი მოსე 45.

ზუნდაძე სიმონ 37.

ზუციშვილი ს. 11, 24

პელიაევი ნიკოლოზ იხ. ნიკოლოზ არხიმანდრიტი.

ჯანაშვილი (ინგილო) დიმიტრი 10.

ჯანაშია სიმონ 7.

ჯორჯაძე 116.



ფასი 20 მან.

48 49



„ 49/37

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
გამომცემლობა

